


# სსსრ კავშირი



## II

საქართველოს საპატრიარქო

თბილისი—1979







ქართული

რეცენზია





დაიბეჭდა უწმიდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათალიკოსპატრიარქის, ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს პრესიდენტის

**ილია II**

ღვაწლითა და ღოცვან-კურთხევით





სრულიად საქართველოს კათოლიკოს-  
პატრიარქის, ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს  
პრეზიდენტის უფიძესი და უნეტარესი

## ილია II

### საშობაო ეპისტოლე

წმიდა სინოდის წევრებს – ღვთივგანბრძნობილ  
ყოვლადსამღვდელო მიტროპოლიტებს, მთავარეპისკოპოსებს  
და ეპისკოპოსებს, მოძღვრებს, ბარ-მონოზვნებს და წმიდა  
საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის  
ყველა ღვთივპურთხეულ შვილს, მცხოვრებს  
ღმდა-სამშობლოში და მის საზღვრებს გარეთ

„რამეთუ ესრეთ შეიყუარა ღმერთმან სოფელი ესე, ვითარმედ  
ძეცა თვისი მხოლოდ შობილი მოსცა მას, რაითა ყოველსა, რომელ-  
სა ჰრწმუნდეს იგი, არა წარწყმიდეს, არამედ აქუნდეს ცხოვრებაი  
საუკუნოი“ (იოანე, 3,16).

სიხარულისა და სიყვარულის სიტყვებით  
კვლავ მოგმართავთ ყოვლადსამღვდელონი მიტ-  
როპოლიტნი, მთავარეპისკოპოსნი და ეპისკო-  
პოსნი, მოძღვარნი, ბერნი და მონაზონნი,  
ძვირფასნი ძმანი და დანი – საქართველოს  
საპატრიარქოს კურთხეულნი შვილნი – მცხოვ-  
რებნი დედასამშობლოში და ჩვენი ძვირფასი  
მამულის საზღვრებს გარეთ! ღვთივდაცულ სამ-  
წყსოს გულითადად გილოცავთ ქრისტეს შო-  
ბის დიდებულ დღესასწაულს, და გისურვებთ  
სრულ მშვიდობას და მარადიულ სიხარულს,  
რამეთუ დედამიწაზე იესო ქრისტეს მობრძანე-  
ბით ზეცა შეერწყა მიწას და ყოველი ჩვენგანი-  
სათვის გაიღო საუკუნო ნეტარების კარი.

განვლო საუკუნეებმა, მიდის წლები, ქრის-  
ტიანული სამყარო კი, როგორც ყოველთვის,  
ზეიმით ხვდება ერთ-ერთ უდიდეს საეკლესიო  
ღღესასწაულს – ქრისტეს შობას. დღეს ჩვენი  
ფიქრები მიმართულია იმ შორეული დროისა-  
კენ, ბეთლემის იმ კურთხეული გამოქვაბული-  
საკენ, რომელმაც შეიფარა ახალშობილი იესო-  
გზა, ჭეშმარიტება და ცხოვრება მთელი კაცობ-  
რიობისა. ის იშუა, როდესაც ეძინა ბეთლემს, ეძი-  
ნა იერუსალიმს, ეძინა იუდეველთა ქვეყანას,  
ეძინა მთელ კაცობრიობას. პირველნი, რომელ-  
თაც შემოესმათ ანგელოსთა გალობა – „დიდება მა-  
ღალთა შინა ღმერთსა, ქუწყანასა ზედა მშვიდო-  
ბა და კაცთა შორის სათნოება“ და რომელნიც

ღირსიქმენ თაყვანი ეცათ ახალშობილი იესო-სათვის — იყვნენ უბრალო, წმიდა გულის პალესტინელი მწვემები. ეს იყო დასაწყისი ახალი აღთქმისა, დასაწყისი ახალი, ქრისტიანული რწმენისა, რომელსაც უნდა გარდაექმნა მთელი კაცობრიობა. „სიტყვა განკაცნა, რათა ჩვენ ღმერთ-ვიქმნეთ“, — თქვა წმიდა ათანასე დიდმა.

წმიდა იოანე ოქროპირი ამბობს, რომ ქრისტეს დაბადება შეუძლებელია გააზრებული იქნას ადამიანური ლოგიკით. ეს არის სასწაული, რომელიც აღემატება ადამიანის გონებას. „ნუ შემეკითხები: როგორ მოხდა ეს სასწაული? რამეთუ, როდესაც ბრძანებს უფალი, ბუნება მხოლოდ მორჩილებს; მან ინება და შესძლო, მოვიდა და გვიჩხნა! ღვთის ნებამ არ იცის რა არის წინააღმდეგობა და არსებული უწინარეს ყოველთა საუკუნეთა — დღეს ხორციელდება!“ მაგრამ ღვთის განხორციელების საიდუმლო გასაგები ხდება მისთვის, ვისი გულიც გამთბარია რწმენითა და სიყვარულით, იმიტომ, რომ ეს არის სიყვარულის საიდუმლო. სიყვარულის საიდუმლო გაუგებარია იმათთვის, ვისაც არ ძალუძს რწმენა და სიყვარული, მაგრამ გასაგებია მათთვის, ვისაც ძალუძს თავისი სიყვარულით უპასუხოს ჩვენში შეყვარებულ უფალს.

„სიყვარულითა საუკუნითა შეგიყვარე შენ“ (იერემია, 31, 3), — ეუბნება ღმერთი მის მიერ შექმნილ ადამიანს, და ამ გამოუთქმელმა მარადიულმა სიყვარულმა განაწყო შემოქმედი გაღებად ენით გამოუთქმელი მსხვერპლისა. მსხვერპლი შეწირულია. საიდუმლო აღსრულდა. ახლა უფალი მოდის თითოეულ ჩვენგანთან და გვიხმობს. მაგრამ ყველას არ ესმის ეს ხმა; ერთნი შეიტკბობენ მას და იმყოფებიან მასთან, სხვანი უარყოფენ მას. უფლის მიღება ანუ მისი რწმენა არის თავისუფალი, ჭეშმარიტად საოცარი რამ, მსგავსი ხელახალი დაბადებისა.

ადამიანი იმდენადაა გარემოცული მიწიერი გრძნობებითა და ფერებით, რომ მას ხშირად უძნელდება ღვთიური ნათელის აღქმა, მაგრამ დგება ჟამი, როდესაც ყველა ეს გრძნობა და ფერი სადღაც ქრება, ადამიანი გადადის სხვა სამყაროში და იბადება ახალი შეგრძნება, შეგრძნება არაამქვეყნიურისა, შეგრძნება რაღაც მშობლიურისა და ამავე დროს შორეულისა და მიუწვდომელისა — შეგრძნება ღვთისა.

წმიდა მამათა აზრით, ღმერთი ძლიერ ახლოსაა ჩვენთან, ის განუშორებელია ადამიანისაგან. ნეტარი ავგუსტინე ამბობს: „როგორ შემიძლია მოვიხმო ჩემში ღმერთი? არის კი ჩემში ადგილი, სადაც შეეძლება ღმერთს მოსვლა? მე არ ვიარსებებდი, ღმერთო ჩემო, შენ რომ არ იყო ჩემში, ანუ არ ვიარსებებდი, მე რომ არ ვიყო შენში, რამეთუ ყოველი არსება იმყოფება შენში და შენით არსებობს. სად მოგიწოდო შენ,

როდესაც მე ვიმყოფები შენში და საიდანაა შესძლებ შენ ჩემში მოსვლას?“

ადამიანს შეუძლია უსასზღვროდ ამაღლდეს სულიერად და შეუძლია შთავარდეს ვნებათა უსასრულო, უძირო უფსკრულში, — ორივე შემთხვევაში ის მაინც ადამიანად რჩება, მასში არ ქრება „ხატი ღვთისა“. ხშირად ადამიანში ვხედავთ წინააღმდეგობას, კეთილი საწყისის გვერდით ვხვდებით სრულიად სხვა ხასიათის ენერჯიას, დემონურ ძალას, ბოროტსა და საშიშს; საშიშს უპირველესად თავად ამ ძალის მატარებელისათვის, ადამიანი ვალდებულია იბრძოლოს ბოროტების წინააღმდეგ. რა იქნება ჩვენი დასაყრდენი ამ ბრძოლაში? — ღმერთი, ქრისტე, ჭეშმარიტება, სიმართლე. „ნათელი ქრისტესი განეუანათლებს ყოველთა“ ეს ნათელი იმდენად ძლიერია და ცხოველყოფელი, რომ იგი აცისკროვნებს ხილულსა და უხილავ სამყაროს, აღწევს ადამიანის სულისა და სხეულის ყველა ნაწილში, იგი ანათებს ქვეყანას, გარდაქმნის მას, ის განსაკუთრებით ბრწყინვალედ ანათებს სიბნელეში, რომელიც ცდილობს მის შთანთქმას, მაგრამ სიბნელე, თუმცა დიდია თავისი მოცულობით, უძლურია ნათელის წინაშე. ნათელი, რომელიც გვიანათებს ჩვენ ცხოვრებაში და რომლის მეოხებითაც ჩვენ საშუალება გვქმნება გავარჩიოთ კეთილი და ბოროტი, მართალი და ტყუილი, გვიანათებს ჩვენ არა გარედან, არამედ შიგნიდან, ჩვენი ზნეობრივი არსების, ჩვენი გულის სიღრმიდან. ამიტომ ადამიანს უნდა ჰქონდეს კავშირი ნათელთან, ღვთიურ ენერჯიასთან. ჩვენ ვცხოვრობთ ისეთ დროს, როდესაც მექანიზმის გენიას სურს მოაშთოს ადამიანი, როდესაც ამ მექანიზმს სურს გამოამეგოს ჩვენგან სული და ატოვოს მხოლოდ მკვდარი მატერია. ამან გამოიწვია ის, რომ კაცობრიობამ განიცადა მერყეობა სულიერ ფასეულობათა აღქმაში. ეს ჩვენი დროის დამახასიათებელი თავისებურებაა. ამაზე გვაფრთხილებდა წმიდა მოციქული პავლე, როდესაც წერდა: „და ნუ თანა-ხატ ექმნებით სოფელსა ამას, არამედ შეიცვალენით განაზღვრებითა მით გონებისა თქუწნისათა...“ (რომ. 12, 2).

მაგრამ ადამიანმა ჰპოვა ძალა თავის თავში, რათა წინააღმდეგე ამ ცთუნებას. დღევანდელი ადამიანს აინტერესებს სულიერი და საღვთისმეტყველო საკითხები. იმისათვის, რომ ღრმად ჩავწვდეთ სულიერი პრობლემების არსს, გავხედეთ ღვთისმეტყველნი, საჭიროა ჭეშმარიტად ქრისტიანული ცხოვრება და არა მხოლოდ ეკლესიური დოგმატების შესწავლა.

თანამედროვე ახალგაზრდობას არ შეიძლება დაეწამოთ ინდიფერენტობი. ეს არის მოაზროვნე, მძებნელი, ნიჭიერი ახალგაზრდობა. მიება ახალგაზრდობისა, მისი უნარი მსხვერპლის გაღებისა, სწრაფვა მეცნიერებისაკენ — ყოვე-

ლივე ეს მეტყველებს მის სულის ძალასა და სიდიადეზე. სასიხარულოა, რომ ჩვენი ახალგაზრდობა არ ღებულობს ყოველივე გაყინულს, უძრავს, უსიცოცხლოს, უსულოს. ბევრს გაუჩნდა წყურვილი ნამდვილი სახარებისეული ცხოვრებისა, დღეს ბევრს მეტად აინტერესებს სულიერი სიმდიდრე, ვიდრე მატერიალური კეთილდღეობა. ადამიანმა გაიგო, რომ სიმდიდრე არავის აკურთხებს არავის აბედნიერებს, ალამაზებს, არავის ჰმატებს სიკეთეს და გონიერებას. დღემდე — არავის.

ქრისტიანობა თავისი უბრალოებით და არაჩვეულებრიობით სუსტი და უძლური ჩანდა, მაგრამ მან ბრძოლაში გამოიწვია ძველი სამყარო. ქრისტიანობამ უშუალოდ ადამიანის გულს მიმართა და აიყვანა იგი ისეთ სულიერ და ზნეობრივ სიმაღლეზე, რომლის მსგავსი ძველ რელიგიებს და ფილოსოფიას ვერც კი წარმოედგინათ.

ადამიანთა გულების დაპყრობისათვის საჭირო იყო არა მტკიცებები, არამედ მაღლიან ცხოვრებასთან ზიარება; არა დარწმუნება, არამედ ქრისტიანობის ჩვენება, რამეთუ მოციქულ პავლეს სიტყვებით: „არა სიტყვითა არს სასუფეველი ღმრთისაი, არამედ ძალითა“ (1 კორ. 4, 20).

ჩვენს დროში სამყარო სწრაფად იცვლის სახეს: ახლა წელიწადი მთელი ეპოქაა. ეს შეიძლება ჩვენი ეკლესიის ცხოვრებაშიც. იგრძნობა მოსწრაფება მთელი მსოფლიოს ქრისტიანთა ურთიერთგაგებისა და დაახლოებისაკენ, რაც ზელს უწყობს ხალხთა და სახელმწიფოთა ურთიერთგაგებას. ქრისტიანთა დაახლოება იწვევს იმას, რომ მტრობა და უნდობლობა წარსულს ბარდება, ისპობა ფსიქოლოგიური და სხვა წინააღმდეგობები. ჩვენი მიზანია ადამიანური ურთიერთობების — პირადი ოჯახური, საზოგადოებრივი, საერთაშორისო ურთიერთობების ქრისტიანულ პრინციპებზე დაფუძნება — დამყარება. ეს უნდა გახდეს საერთო ქრისტიანული საქმე, ქრისტიანთა გამაერთიანებელი და დედამიწაზე მშვიდობის, თავისუფლების და სამართლიანობის დამყარების განმაპირობებელი საქმე.

„რაი-იგი არს ქრისტეს მიერ, ახალი დაბადებული“ (2 კორ. 5, 17) — ამბობს მოციქული პავლე. აღდგენა ადამიანში „ხატისა ღვთისა“, გარდაქმნა ადამიანისა ნამდვილ ღვთისნიერ ქმნილებად — ესაა მიზანი ქრისტეს შობისა, ესაა მიზანი ახალი აღთქმისა.

„დიდებაი მაღალთა შინა ღმერთსა და ქუწყანასა ზედა მშვიდობაი და კაცთა შორის სათნობაი“ (ლუკა, 2, 14). რა შეიძლება იყოს კაცთათვის უფრო სანატრელი, ვიდრე „ქუწყანასა ზედა მშვიდობა“ და სათნობა ღვთისა? მხოლოდ განხორციელებული უფლის დედამი-

წაზე მობრძანებას შეეძლო ადამიანისათვის მონიჭებინა ეს სიკეთე.

იესო ქრისტე ბეთლემში იშვა. მაგრამ ეს საკმარისი არაა. ის უნდა იშვას ყოველი ადამიანის გულში, და არა მარტო იშვას, არამედ მუდამ იმყოფებოდეს მასთან. მხოლოდ ამ შემთხვევაში იქნება ჩვენთვის მისაწვდომი ის ზეციური მადლი, რომელიც დედამიწაზე საუკუნეთუწინარესმა ლოგოსმა მოგვიტანა — მშვიდობა ღმერთთან, მშვიდობა მოყვასთან, მშვიდობა საკუთარ თავთან.

იესო ქრისტემ გვიბოძა შინაგანი განახლების და სულიერი ზრდის უნარი. მაგრამ ეს შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, როდესაც მთელი ჩვენი ცხოვრება, ყოველი ჩვენი მოძრაობა და ფუძემდებელია რწმენაზე, რწმენაზე, რომლითაც განმსჭვალულია ჩვენი გული და რომელიც წმიდას ყოფს ჩვენს გულს. „გული წმიდაი დაჰბადე ჩემთანა, ღმერთო, და სული წრფელი განმიახლე გუამსა ჩემსა“ (ფს. 50). ქრისტეს დაბადებით სამყარო ეზიარა ზემიწიერს, ზეკეყნიურს, შენ ვერასოდეს ვერ შეიტყობ ამას, თუ სასწაულთმოქმედი ბარძიმიდან თავად არ შესვი ის მაცოცხლებელი მადლი, რომელიც ჰკლავს სულიერ წყურვილს. შესვი და აღარასდროს არ მოგწყურდება. შესვი და შენს წინაშე წარმოჩინდება მანამდე უხილავი და უცნობი ახალი სამყარო, სულიერი სამყარო, რომელიც თავისი მაღლიანი სხივებით ათბობს და ანათებს დედამიწას.

იესო ქრისტე და ქრისტიანობა სამყაროში არამიწიერი გზით შემოვიდა. მაცხოვარმა თავისი განკაცებით მიმართა არა მხოლოდ ადამიანის გულს, არამედ გონებასაც. სახარებამ დაიმორჩილა ადამიანის ნებისყოფა, მისცა კაცობრიობას ახალი სიცოცხლე. მოციქულ პავლეს სიტყვებით სახარებისეული ჭეშმარიტება კაცობრიობას წარუდგა არა ადამიანური სიბრძნის დამაჯერებელი სიტყვებით, არამედ „მოვლინებითა სულისა და ძალისა“. სულმა და ძალამ დაიპყრო მსოფლიო. „მოვედინ სუფევაი შენი! იყავნ ნებაი შენი ქუწყანასა ზედა, ვითარცა ცათა შინა!“ ასეთია ჩვენი ლოცვა, ასეთია ჩვენი სურვილი.

დღეს ჩვენ შევთხოვთ უფალს ჩვენი რწმენისა და სიყვარულის გაძლიერებას, სულიერ და მატერიალურ ფასეულობათა სიუხვის, სიკეთის გამრავლებას და ბოროტების აღმოფხვრას, ჩვენი სამოციქულო ეკლესიის და ჩვენი ხალხის ნათელ მომავალს.

ჩვენ აღვავლენთ ლოცვებს, რომ მსოფლიოში აღარ იყოს ომი, შიმშილი და უსამართლობა.

ლოცვითა და მფარველობითა ყოვლადწმიდა ღვთისმშობლისა და ღვთისა და მამულისათვის თავდადებულ ყოველთა წმიდათა, უფალმან



განწმიდოს და გარდაქმნას ჩვენი შინაგანი სამყარო, რათა ჩვენი გულები და აზრები მიმართულ იქნას წმიდა ძღვნის სახით ახალშობილი ყრმისადმი.

განვლო ოცმა საუკუნემ, მაგრამ შობის ღამე მორწმუნე გულისათვის ისევ დაუვიწყარი და მომწუსხველია: ბაგა, ახალშობილი ყრმა დედასთან და მართალ იოსებთან ერთად, მწყემსები, მოგვები თავიანთი ძღვნით, გამოქვაბულს დაჰნათის ვარსკვლავი; ყოველივე ეს დღესაც მახლობელი და მშობლიურია ჩვენთვის.

კიდევ ერთხელ გილოცავთ ყველას ბრწყინვალე დღესასწაულს. ჩვენი სულიერი დაბადების და განახლების დღესასწაულს – ქრისტეს შობას. მარად გვემახსოვრება ჩვენი დიდებული წინაპრები, რომელთაც ახასიათებდათ ღრმად რწმენა და სიყვარული, შთაგონებული და შემოქმედებითი აზროვნება და თავდავიწყე-


ბული ძიება. დაე, ეს წელი მთელი მსოფლიოსათვის, ყველა ჩვენგანისათვის, ჩვენი სამშობლოსა და ჩვენი ღვთივდაცული ერისათვის მშვიდობის, კეთილდღეობის და ბედნიერების მომტანი ყოფილიყოს.

„აღორძინდებოდეთ მადლითა და მეცნიერებითა უფლისა და მაცხოვრისა ჩუშნისა და იესო ქრისტესითა. მისა დიდებაი აწ და დღეთა მათ საუკუნეთასა. ამინ“ (2 პეტრე, 3, 18).

## ილია II

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი,  
ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს პრეზიდენტი.

ქრისტეშობა  
1979/1980  
თბილისი



ღვთისმშობელი  
(დიდუბის ეკლესიის ახალი მოხატულობა)



წმ. მოციქული მარკოს მახარებელი  
(ძველი ქართული მინიატურა. კეკელიძის სახ. ხელთნაწერთა ინსტიტუტი)





სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, ეკლესიათა მსოფლიო საბუღოს პრეზიდენტი,  
უწმიდესი და უნეტარესი ილია II





**სრულიად საქართველოს კათოლიკოს-  
პატრიარქის ილია II ინტრონიზაციის მეორე  
წლისთავი**

1979 წლის 25 დეკემბერს სიონის საპატრიარქო ტაძარში ჩატარდა საღმრთო-სადღესასწაულო ლიტურდია, რომელიც მიეძღვნა უწმიდესისა და უნეტარესის, სრულად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II ინტრონიზაციის მეორე წლისთავს.

სრულიად საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის წმიდა სინოდის დადგენილებით, კათოლიკოს-პატრიარქი ილია II ქართული ეკლესიის წინაშე განსაკუთრებული დამსახურებისათვის დაჯილდოვდა წმ. ნინოს პირველი ხარისხის ორდენით.

მრავლარიცხოვან მრევლისადმი მიმართულ სიტყვაში კათოლიკოს-პატრიარქმა უღრმესი მადლობა გადაუხადა ყველა იქ დამსწრეთ, მისი მოღვაწეობის ესეოდენ მაღალი შეფასებისათვის და გააცნო ქართული ეკლესიის ცხოვრების მომავალი გეგმები, რამაც უდიდესი მოწონება დაიმსახურა.

# სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის უწყებების და უწყებების ილია II

## ვიზიტი კონსტანტინეპოლში

1979 წლის 2-8 მაისი

საქართველოს ეკლესიის მამათმთავარი, ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს პრეზიდენტი, უწყებების და უწყებების ილია II კონსტანტინეპოლისა და ახალი რომის, მსოფლიო პატრიარქ დიმიტრიოსის მიწვევით 2 მაისიდან 8 მაისამდე სტუმრად იმყოფებოდა კონსტანტინეპოლში. საქართველოს კათოლიკოს — პატრიარქს ვიზიტის დროს ახლდნენ: ცხუმ-აფხაზეთის მთავარეპისკოპოსი ნიკოლოზი, საპატრიარქოს საგარეო საქმეთა განყოფილების თავმჯდომარე; ბათუმ-შემოქმედელი ეპისკოპოსი დავითი; მცხეთის სასულიერო სემინარიის რექტორი, დეკანოზი გურამ შალამბერიძე და პროტოდიაკონი ხეთისო შალიკაშვილი.

საქართველოს დელეგაცია თბილისიდან მოსკოვს გაეშვავრა 1 მაისს. მოსკოვის აეროდრომზე მათ დახვდნენ: რუსეთის ეკლესიის საგარეო განყოფილების თავმჯდომარის მოადგილე, ზარაიის ეპისკოპოსი იობი, სსრკ მინისტრთა საბჭოსთან არსებული რელიგიის საქმეთა საბჭოს წარმომადგენლები და სხვა სასულიერო და ოფიციალური პირნი.

2 მაისს საქართველოს ეკლესიის დელეგაცია მოსკოვიდან ჩაფრინდა კონსტანტინეპოლში. საქართველოდან წარგზავნილთა აეროპორტში დახვდნენ: ქალკედონის მიტროპოლიტი მელიტონი, ირინოპოლის მიტროპოლიტი სიმეონი, კოლონისის მიტროპოლიტი გაბრიელი, პერგის მიტროპოლიტი ევანგელოსი, ფილადელფიის მიტროპოლიტი ბართლომე, პროტოდიაკონი მელიტონი, პროფესორი ემანუელ ფოტიადისი და საბჭოთა კავშირის გენერალური კონსული სტამბოლში შ. გ. ორლოვი.

საქართველოს დელეგაციისათვის გამოყოფილ რეზიდენციაში მცირე დასვენების შემდეგ უწყებებსმა და უწყებებსმა ილია II მიტროპოლიტთა, ეპისკოპოსთა, მღვდელმონაზონთა და ადგილობრივი მრევლის თანდასწრებით საპატრიარქო ტაძარში გადაიხადა პარაკლისი, რომელიც სრულდებოდა ქართულ და ბერძნულ ენებზე. პარაკლისის დასასრულს, საქართველოს ეკლესიის დელეგაციამ ქართულ ენაზე იგალობა „ქრისტე აღსდგა“.

პარაკლისის დამთავრებისთანავე, ნაშუადღევს მოხდა ორი უძველესი სამოციქულო ეკლესიის — საქართველო-

სი და კონსტანტინეპოლის — პატრიარქთა შეხვედრა უწყებებს დიმიტრიოსის საპატრიარქო რეზიდენციაში, რომლის დროსაც მათ მისასალმებელი სიტყვებით მიმართეს ერთმანეთს.

ილია II თავის მისასალმებელ სიტყვაში ბრძანა:

წარსული საუკუნეების ფათა სიხვედრით დაშორა ჩვენი ორი ძველი სამოციქულო ეკლესიის ახლო მეგობრობა და შესუსტა ურთიერთთანამშრომლობის ტრადიციები. მაგრამ დადგა ღმრთობა: მრავალი საუკუნის შემდეგ დღის განგებობა და მოწყობა ჩვენ ისევ ერთად ვართ და, წაზსულის გახსენებასთან ერთად, ვლოცულობთ ზღვსა მშველბისა და კეთილდღეობისათვის.

მე და ძველი ქართული სამოციქულო ეკლესიის წარმომადგენლები დიდ სიხარულს განვიცდით პირადად თქვენთან, თქვენი ეკლესიის წმიდა სინოდთან და სამღვდელთა სასთან შეხვედრის გამო.

ამ დღეებში კიდევ უფრო კარგად გავიწინებთ ერთმეთის საერთო მიზნებს და დავსახავთ მომავლის გეგმებს მეგობრობისა და თანამშრომლობისათვის, აგრეთვე, მსოფლიო ქრისტიანულ ეკლესიათა ურთიერთგანმტკიცებისათვის.

ჩვენი მიზანია ვიყოთ ერთად, მაღა ერთობაშია და ერთობა პლეურების ხსწინდარა: ერთობლივი იდეით, ქრისტიანული ეკლესიების განმტკიცებით, ჩვენ პლეურნი ვიქნებით.

ჩვენ მოხარული ვიქნებით, თქვენს უწყებებსა, გვეწვიოთ საქართველოში, რაც კიდევ უფრო დაახლოვებს ჩვენს უძველეს ეკლესიებს. თქვენი ვიზიტი იქნება მნიშვნელოვანი მოვლენა უძველეს ეკლესიათა ისტორიის მატანეში.

მსოფლიო პატრიარქმა დიმიტრიოსმა საპასუხო სიტყვაში ბრძანა:

პირადად მე და მთელი ჩვენი ხალხი მოხარული ვართ თქვენი ჩამობრძანებით კონსტანტინეპოლის საპატრიარქოში. თქვენი ჩამობრძანებით გამოწვეულს ჩვენს სიხარულს საზღვარი არ აქვს.

თქვენს ჩამობრძანებას და ჩვენს შეხვედრას ვანიჭებთ დიდ მნიშვნელობას ჩვენი ეკლესიების ერთობლივი განმტკიცებისა და გაძლიერებისათვის.

ჩვენი ეკლესია ყოველთვის აკეთებს იმისათვის, რათა მპურ დამოკიდებულებაში იყვნენ ყველა მართლმადიდებელი ეკლესიები, ერთობლივი მიზნით და მისწრაფებით იმეშაონ ეკლესიათა ერთიანობისა და გაძლიერებისათვის.

დიდ სიხარულს ვგრძნობთ თქვენთან შეხვედრის გამო. ეს არის საერთო მშობისა და ერთიანობის აღიარება ქრისტიანულ მართლმადიდებელ ეკლესიათა საქართში.

უწმიდესი და უნეტარესი, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს პრეზიდენტი ილია II და კონსტანტინეპოლისა და ახალი რომის მსოფლიო პატრიარქი დიმიტრიოსი.



საუბრის შემდეგ მსოფლიო პატრიარქმა დიმიტრიოსმა ვახშამი გაუმართა საქართველოს ეკლესიის წარმომადგენლებს.

3 მაისს უწმიდესი და უნეტარესი ილია II და ცხუმ-აფხაზეთის მთავარეპისკოპოსი ნიკოლოზი მიიწვია ქალაქის მერმა, შემდეგ — გუბერნატორმა. ამავე დღეს საქართველოს ეკლესიის დელეგაცია ეწვია წმ. იოანეს ტაძარს, რომელიც აშენებულია წმ. კონსტანტინეს მიერ IV საუკუნეში იმ ადგილზე, სადაც მოხდა, ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის გამოცხადება და სადაც ამჟამად მუზეუმია. გაისმა ქართული გალობა — „ღირს არს ჭეშმარიტად“.

დელეგაცია ეწვია, აგრეთვე, ლაქერნის ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის ტაძარს, სადაც დასვენებულია ლაქერნის სასწაულთმოქმედი ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის ხატი. დელეგაციამ დაათვალიერა ქართული კათოლიკური მონასტერი სტამბოლში; ამ მონასტერში აღზრდილა და განათლება მიუღია დიდ ქართველ მეცნიერსა და სასულიერო მოღვაწეს მიხეილ თამარაშვილს. ამჟამად მონასტერი მომქმედია; მაგრამ, სამწუხაროდ, ქართველი მღვდელი არა ჰყავთ და ამის გამო წირვა-ლოცვები სრულდება ფრანგულ-ლათინურ ენებზე.

მონასტრის დათვალიერების შემდეგ უწმიდესი და უნეტარესი ილია II პატივსაცემად სადილი გამართა უწმიდესმა პატრიარქმა დიმიტრიოსმა, რომელსაც ესწრებოდნენ მრავალრიცხოვანი უმაღლესი სასულიერო და საერო პირები სხვადასხვა ქვეყნიდან, მათ შორის მიტროპოლიტები: მელიტონი, კირილე, იერონიმე, მაქსიმე, ქრიზოსტომი, გაბრიელი, კონსტანტინე, ქ. სტამბოლის მერი პალიტ ტოგლუივილი, სსრ კავშირის გენერალური კონსული მიხეილ ორლოვი და სხვანი.

4 მაისს საქართველოს ეკლესიის წარგზავნილებმა დაათვალიერეს ქალაქის ღირსშესანიშნავი ადგილები. ამის შემდეგ უწმიდესი და უნეტარესი ილია II შეხვდა უწმიდეს პატრიარქ დიმიტრიოსს მის რეზიდენციაში, სადაც მას ჰქონდა საქმიანი საუბარი ქალეკდონის მიტროპოლიტ მელიტონთან.

— ჩვენ შევიკრიბეთ აქ კონსტანტინეპოლის ეკლესიის წმიდა სინოდის სახელით, — თქვა მიტროპოლიტმა მელიტონმა — რათა ძმური სიყვარულით გავაშუქოთ ერთობლივი საკითხები ჩვენი ეკლესიებისა და საბოლოოდ განვამტკიცოთ ჩვენი დამოკიდებულება ორ უძველეს მართლმადიდებელ ეკლესიას შორის, ამით კი ხელს შეუწყობთ სხვა ეკლესიების განმტკიცების საქმეს.



**უწმიდესმა და უნეტარესმა ილია II საპასუხო სიტყვაში ბრძანა.**

— დიდი მადლობელი ვარ ასეთი გულბილი მიღებისათვის და მშობი მისაღებებისათვის. ჩვენ დიდ მნიშვნელობას ვანიჭებთ ამ ვიზიტს, როგორც კონსტანტინეპოლის, ასევე საქართველოს ეკლესიისათვის.

საქართველოს და კონსტანტინეპოლის ეკლესიებს ჯერ კიდევ იმპერატორ კონსტანტინე დიდის დროიდან ჰქონდათ კარგი დამოკიდებულება. 1420 წელს იმპერატორმა კონსტანტინემ საქართველოში დელეგაციაც კი გაგზავნა, მაგრამ მოლაპარაკება არ შედგა, საქართველოში იმ დროს არსებული რთული მდგომარეობის გამო.

მრავალი მაგალითის მოყვანა შეიძლება იმისა, თუ საქართველოს და კონსტანტინეპოლის მართლმადიდებელ ეკლესიებს რაოდენ კარგი დამოკიდებულება ჰქონდათ ერთმანეთის მიმართ.

ჯერ კიდევ ადრე საუკუნეებში წმიდა იოანე ოქროპირი იყო ამ თბი ეკლესიის დამაკავშირებელი, მან საქართველოში დაასრულა თავისი სიცოცხლე. ჩვენ გვაქვს მისი სასახლე, რომელსაც სათუად ვინახავთ. მისი წმიდა ნაწილები კი გადასვენებულია კონსტანტინეპოლში.

კიდევ ერთი ძირითადი ხიდი, რომელიც აკავშირებდა ჩვენს ეკლესიებს, იყო ათონის ქართული მონასტრები.

ასეთი მეტობრული ურთიერთობა გრძელდებოდა 1811 წლამდე. ამ დროს საქართველოში კათოლიკოს-პატრიარქი იყო ანტონ მეორე, მამა ქართველი მუხისა. 1811 წელს რუსეთის იმპერატორის არაკანონიერი ბრძანებით საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია გაუქმდა და ეკლესიის მმართველად დააყენეს გეზარტოსი.

106 წლის განმავლობაში საქართველოს სამოციქულო ეკლესია მუდამ ცდილობდა და იბრძოდა, რომ აღედგინა თავისი ავტოკეფალია, რომელიც ჯერ კიდევ V საუკუნეში ჰქონდა მიღებული. საქართველოს ავტოკეფალიის აღდგენა მის-

და მხოლოდ 1917 წელს, როცა საქართველოს საეკლესიო კრების მიერ კათოლიკოს-პატრიარქად არჩეულ იქნა კირიონი.

ვიმეორებ, საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას კარგი დამოკიდებულება ჰქონდა კონსტანტინეპოლის ეკლესიისათვის, ჩვენ გვინდა აღვადგინოთ ეს მტკიცე კავშირი.

ამის შემდეგ საუბარი შეეხო მსოფლიო კრების მოწვევის საკითხს. ქალკედონის მიტროპოლიტმა მელიტონმა აღნიშნა, რომ, როგორც კონსტანტინეპოლის მართლმადიდებელი ეკლესია, ასევე, ალბათ, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიაც დიდ მნიშვნელობას ანიჭებს მსოფლიო საეკლესიო კრების მოწვევას.

— ამ საქმისათვის ბევრი რამ არის გაკეთებული, — თქვა მან — რასაკვირველია, ჩვენ უნდა გავითვალისწინოთ მსოფლიო მართლმადიდებელი და სხვა ეკლესიათა საერთო აზრი და განწყობილება ამ კრების მოწვევის შესახებ. ჩვენ დიდ ყურადღებას უუთმობთ არა ამ საქმის დაჩქარებას, არამედ სწორი კონკრეტული საკითხების მომზადებას მსოფლიო საეკლესიო კრებისათვის. ჩვენ გვინდა წინასწარ იყოს დადგენილი მსოფლიო ეკლესიათა შეხედულებანი კრების მოწვევის თაობაზე, ამისათვის ყველა ეკლესიას დაეგზავნება საკითხები განსახილველად და თითოეულმა უნდა გვიპასუხოს თავისი მოსაზრებანი. თუ ყოველივე რიგზე იქნება, ვფიქრობთ კონფერენცია მოვიწვიოთ ამ წლის შემოდგომაზე შამბეზში (შვეიცარია).

უწმიდესი და უნეტარესი ილია II კონსტანტინეპოლის წმ. სინოდის წევრებთან ერთად მსოფლიო პატრიარქის რეზიდენციაში.



საქართველოს პატრიარქმა ილია II აღნიშნა, რომ საქართველოს ეკლესიის პასუხი დადებითი იქნება ამ კონფერენციის მოწვევის თაობაზე. და შემდეგ შეეხო საქართველოს ეკლესიისა და მისი მეთაურის სტატუსს მსოფლიო ეკლესიათა შორის.

— როდესაც წერილს ან მოლოცვას გვიგზავნის კონსტანტინეპოლის მსოფლიო საპატრიარქო, სწორად არ არის მოხსენებული სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, ისე როგორც წოდებულია V საუკუნეიდან, — აღნიშნა მან, — საქართველოს კათოლიკოსს პატრიარქი ეწოდებოდა. ამ ჟამითგან დღემდე საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია თავის მამამთავარს უწოდებს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს.

საეკლესიო ფორუმებსა და კონფერენციებზე საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია კანონიერად უნდა იკავებდეს თავის ადგილს. საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიას, როგორც უძველესსა და სამოციქულოს, ავტოკეფალია მიღებული ჰქონდა ჯერ კიდევ V საუკუნეში და იკავებს VI ადგილს. როცა ხდება კუთვნილი ადგილის დარღვევა, ეს გავლენას ახდენს საქართველოს ეკლესიაზე და მის ავტორიტეტზე მთელს მსოფლიოში.

ჩვენ გვსურს, რომ ეს საკითხი ერთხელ და სამუდამოდ მოწესრიგდეს.

მსოფლიოს ყველა ავტოკეფალური ეკლესია საქართველოს ეკლესიის მამამთავრებს მიმართავს ტიტულს, როგორც კათოლიკოს-პატრიარქს, გარდა კონსტანტინეპოლის ეკლესიისა. ჩემი აზრით, კი პირიქით უნდა ხდებოდეს, რადგან ყველაზე ახლო ურთიერთკავშირში ჩვენ ვიყავით კონსტანტინეპოლის ეკლესიასთან.

ჩვენ არ ვითხოვთ ახალი რაიმეს მოცემას ან დამტკიცებას, ჩვენ მხოლოდ მოვითხოვთ მრავალი საუკუნის წინ დაწესებული ეკლესიური ტიტულის წოდებას ჩვენ მიმართ. ჩემი აზრით, კონსტანტინეპოლის მსოფლიო საპატრიარქომ არ უნდა დაუშვას, რომ უძველესი ქართული მართლმადიდებელი ეკლესია დააყენოს ახალი ეკლესიების გვერდით. ჩვენ გვინდა აღვადგინოთ წინანდელი ჩვენი მდგომარეობა, რომელიც სამწუხაროდ, დაკარგეთ 1811 წელს.

ქალკედონის მიტროპოლიტმა მეტილონმა ამ საკითხის შესახებ სთქვა:

— მინდა დაგარწმუნოთ, თქვენო უწმიდესობავ, რომ მე ეს საკითხი ცოცხალ აზრად მქონდა გულში ჯერ კიდევ თქვენთან შეხვედრისას თბილისში, როდესაც საუბარი გვქონდა ამ საკითხზე.

მე მოვასხენე კონსტანტინეპოლის საპატრიარქოს წმიდა სინოდს ეს საკითხი. მე მინდა გულახდილად ვითხოვთ, რომ ჩვენი ეკლესიის სინოდი ამ საკითხს დადებითად გადაჭრის, მხოლოდ ჩვენ გვჭირდება დასაბუთებული ისტორიული მასალები საქართველოს ეკლესიის შესახებ, რომ ეს საკითხი გადაიჭრას უმოკლეს ხანში.

შემდეგ მიტროპოლიტმა მეტილონმა გამოთქვა სურვილი, რომ ორმა ქართველმა სტუდენტმა ისწავლოს თესლონიკის უნივერსიტეტის ღვთისმეტყველების ფაკულტეტზე და დასძინა, რომ ყოველგვარ ხარჯებს ისინი გაიღებენ; რომ თონის ქართულ მონასტრებში სამოღვაწეოდ გაგზავნილ იქნან საქართველოს ეკლესიის მღვდელ-

მსახურნი. გარდა ამისა მიტროპოლიტმა მეტილონმა წამოაყენა წინადადება, რათა საქართველოს ეკლესიის დელეგაციამ (მღვდელმსახურებმა, სემინარიის სტუდენტებმა და ეკლესიის სხვა მსახურებმა) მოაწიოს მოგზაურობა წმიდა ადგილებზე სინას მთაზე და დაათვალიეროს ქართული მონასტრები.

საუბრის დასასრულს მიტროპოლიტმა მეტილონმა საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს მიულოცა მსოფლიო ეკლესიათა საბჭოს პრეზიდენტად არჩევა, უსურვა ჯანმრთელობა და ნაყოფიერი მოღვაწეობა ამ საპასუხისმგებლო სარბიელზე და დასძინა:

— მე მინდა დაგარწმუნოთ, თქვენო უწმიდესობავ და უნეტარესობავ, რომ ჩვენ შემოვიკრიბებით თქვენს გარშემო და თქვენი დახმარებით ვეცდებით მივალწიოთ იმას, რომ თქვენი სიტყვა იყოს ქრისტიანული ეკლესიების საერთო გამოძახილი.

5 მაისს საქართველოს ეკლესიის წარმომადგენლებმა დაათვალიერეს ხალკის კუნძულზე მდებარე წმიდა სამების მონასტერი, სადაც ამჟამად საერო გიმნაზიაა. განსაკუთრებით დიდი შთაბეჭდილება დატოვა მონასტრის ბიბლიოთეკამ, რომელშიც ინახება 50 000 წიგნი მსოფლიოს მრავალ ენებზე გამოცემული საღვთისმეტყველო ნაშრომები. საქართველოს ეკლესიის მამამთავარმა მონასტრის ბიბლიოთეკის საპატიო სტუმართა წიგნში ჩაწერა:

დავათვალიერეთ ხალკის გიმნაზიის ბიბლიოთეკა, რომელშიც ძალიან ალგაფრთოვანა, ღმერთმა დალოცოს ხალკის სასწავლებელი და მას შინა მშრომელნი.

ილია II

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი.  
5 VI—1979 წ.

საქართველოს დელეგაციამ ხალკის კუნძულზე ინახულა აგრეთვე X საუკუნის წმიდა სპირიდონის მონასტერი, სადაც ქართულად იგალობეს „ღირს არს ჭეშმარიტად“. შემდეგ ისინი ეწვივნენ იერუსალიმის მონასტრსა და სხვა ეკლესიებს.

5 მაისს, საღამოს, საქართველოს ეკლესიის მამამთავრისა და მსოფლიო ეკლესიათა საბჭოს პრეზიდენტის პატივსაცემად, ქალკედონის მიტროპოლიტმა მეტილონმა თავის საეპარქიო რეზიდენციაში მიიწვია მრავალი მღვდელთმთავარი და დიდძალი საზოგადოება.

მიღების დროს მიტროპოლიტმა მეტილონმა მოკლე სიტყვით მიმართა უწმიდეს და უნეტარეს ილია II, მან სთქვა:

— ღრმად პატივისცემით და დიდი გულითადი გრძობით ვარ განწყობილი თქვენი ვიზიტის გამო, თქვენო უწმიდესობავ!

თქვენ და საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის წარმომადგენლებს გესალმებიან არა მარტო კონსტან-

უწმიდესი და უნეტარესი ილია II და მსოფლიო პატრიარქი დიმიტრიოსი ერთობლივი წირვის დროს.



ტინეპოლის საპატრიარქოს წარმომადგენლები, არამედ აქ ბრძანდებიან სხვადასხვა ქალაქების, სხვადასხვა რელიგიისა და ჩვენი მთავრობის წარმომადგენლები.

თქვენმა ჩამოსვლამ შეასრულა მართლმადიდებელ ეკლესიათა დიდი საერთო სამსახური. ჩვენი შეხვედრა კიდევ უფრო განამტკიცებს მომავლის იმედს.

ყოველ ეკლესიას აქვს თავისი მიზანი, მაგრამ ჩვენ ყველამ უნდა ვისწრაფოთ საერთო საქმისათვის — ქრისტიანული ეკლესიების ერთიანობისა და გაძლიერებისათვის. თქვენი ეიზიტი ბრწყინვალე ფურცელს ჩაწერს კონსტანტინეპოლისა და საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიების მატთანეში.

სიტყვის დასასრულს ქალკედონის მიტროპოლიტმა მელიტონმა საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს ილია II მიართვა ტრაპეზზე დასვენებული ჯვარი.

6 მაისს, დღის 10 საათზე, კონსტანტინეპოლის საპატრიარქო ტაძარში შედგა ერთობლივი წირვა, რომელიც აღასრულა ორმა დიდმა პატრიარქმა — ილია II და დიმიტრიოსმა. წირვაში მონაწილეობდა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის დელეგაცია და კონსტანტინეპოლის მრავალი მღვდელთმთავარი. წირვის დამთავრების შემდეგ მსოფლიო პატრიარქმა დიმიტრიოსმა სიტყვით მიმართა კათოლიკოს-პატრიარქს ილია II და, ნიშნად ერთობლივი ღოცვისა, მიართვა ოქროს სამკერდე ჯვარი. საქართველოს ეკლესიის მწყემსმთავარმა საპასუხო სიტყვაში ბრძანა:

თქვენო ყოვლადუწმიდესობაჲ, ქრისტეს მიერ საყვარელი მამო, მსოფლიო პატრიარქო, ბატონო დიმიტრიოს პირველო!

თქვენი მაღალყოვლადესამღვდლოესობაჲ, მღვდელთმთავარნო წმიდისა კონსტანტინეპოლის ეკლესიისანო და ყოველნო მამანო და დანო — თანაზიარნო ქრისტეს მადლისანო და დამსწრენო საღმრთო ღოცურდიისა!

ჩვენი მოპაზოვა მე მინდა დავიწყო წმიდა იოანე ოქრობაბის სიტყვებით, — იმ მღვდელთმთავრისა, რომელმაც შეაერთა ჩვენი ობი უძველესი ეკლესია, რომელმაც დაიწყო თავისი მოღვაწეობა კონსტანტინეპოლში და დაამთავრა საქართველოში.

ჩვენც ვმადლობთ ღმერთს ყველაფრისათვის; ვმადლობთ, რომ მან გვიკურთხა ეს ბედნიერი დღე ჩვენი შეხვედრისა, დღე ქრისტეს მიერ საყვარულისა; ჩვენ ვმადლობთ ღმერთს, რომ აღსდგა ის ტრადიციული უზოთიერობა, რაც პირველი საუკუნეებიდან არსებობდა ჩვენს ობ უძველეს ეკლესიას შორის. ეს ინტენსიური კავშირი გრძელდებოდა XIII საუკუნემდე. შემდეგ ჩვენი ქვეყნების ავტონომიამ შეასუსტა ჩვენი უზოთიერობისეყვარული, უზოთიერთბატვისცემა და უზოთიერთმიზიდულობა კი არასდროს არ შეწყვეტილა.

თითქმის რვაასი წელია, რაც კონსტანტინეპოლში არ ყოფილა საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი და მე ბედნიერი ვარ, რომ მსგავს წილად და ღვთის ღოცვა-კურთხევით ჩამოვედი ამ დიდებულ ქალაქში, რომელიც საუკუნეების განმავლობაში იყო ცენტრი ეკლესიური, კულტურული და სამეცნიერო ცხოვრებისა და მოღვაწეობისა.

მე ქრისტეს მიერ საყვარული მოგესალმებით იმ ერის სახელით, რომელიც ობი ათასი წლის განმავლობაში წმიდად ინახავს მართლმადიდებელ ქრისტიანობას; იმ ეკლესიის სახელით, სადაც იქადაგა წმიდა მოციქულმა ანდრია პირველწოდებულმა, და სადაც ეწაპა და განისვენებს წმიდა მოციქული სვიმონ კანანელი. ჩვენ ვაბთ იმ მიწა-წყლის



შედეგები, სადაც ინახება მთელი ქრისტიანობის სანუკვარი სიმბოლო — კაპოტი უფლისა ჩვენი სახის ქრისტესი; ჩვენ განსაკუთრებით ივერიან, სადაც დანთხა სისხლი მრავალი აიასი მოწამისა, რომელთაც თავისი სიცოცხლის ფასად დღემდე შემოგვინახეს ჩვენი ენა და რწმენა.

ჩვენი ეკლესია მუდამ გრძნობდა, თუ რა დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა და ენიჭება მსოფლიო საპატრიარქოს. ის მუდამ უნდა ყოფილიყო იმ ძალად, რომელიც დააკავშირებდა ავტოკეფალურ ეკლესიებს. ეს არც თუ ისეთი ადვილი მოვალეობაა — დაახლოვო და დააკავშირო ეკლესიები, სადაც საუკუნეების განმავლობაში ჩამოყალიბდა ეროვნული ტრადიციები.

სწორედ დაახლოების მიზნებია დასახული, როდესაც ჩვენ ვფიქრობთ მართლმადიდებელი ეკლესიების დიდი კრების მოწვევაზე. ამ კრებამ უნდა უჩვენოს ის სულიერი ძალა და ენერჯია, რომელიც ასე უსვავდ მიაინიჭა უფალმა ჩვენს ეკლესიებს და რომელიც აკლავს დღეს კაცობრიობას.

ეს კრება ნამდვილად უნდა იყოს დიდი, როგორც თავისი მასშტაბებით, ისე თავისი სულიერი მნიშვნელობით. ეს კრება არ უნდა გასდეს ადგილად, სადაც წამოიჭრება სხვადასხვა აზრი, რომელიც გათიშავს ჩვენს ეკლესიებს. ჩვენი აზრით, ის საკითხები და პრობლემები, რომელნიც ვერ კიდევ არსებობს მართლმადიდებელ ეკლესიათა შორის, უნდა იყოს დამლეული კრების დაწყებამდე. მე ვფიქრობ, ამ საკითხში ყველაზე დიდი პასუხისმგებლობა ეკისრება კონსტანტინეპოლის ეკლესიას, როგორც მსოფლიო საპატრიარქოს. და ეს სრულად შესაძლებელია, თუ ვისეულმდგანელებლად წმიდა პავლე მთციქულის სიტყვებით: „ხოლო ჩვენ სული არა ამისა სოფლისა მოგვიდებებს, არამედ სული იგი, რომელ არს ღმერთისაგან, რათა ვიცოდით ღმერთისა მიერ მონიჭებული იგი ჩვენდა“ (1 კორ. მ. 12).

გისურვებთ, თქვენთა ყოვლადუწმიდესობავ, დიდ ენერჯიას, ჯანმრთელობას და მრავალეამიერ სიცოცხლეს მართლმადიდებელი ეკლესიების საკეთილდღეოდ. ვიმედოვნებ, რომ ჩვენი კმურთა ურთიერთკავშირი და თანამშრომლობა მიიღებს მეტ რეალურ სახეს და უფრო მეტად გაღრმავდება და გაფართოვდება.

დღეს, როდესაც კონსტანტინეპოლის და საქართველოს პატრიარქებმა და სამღვდლოებამ ერთად შეკასრულეთ ხალხობით ლიტურჯია, როდესაც ადვანსიონი ჩვენი მსურვარე ლოცვები ჩვენი ერების კეთილდღეობისათვის, ჩვენ დიდი სიყვარულით გამოგვცემთ ჩვენი თანამედროვე ქართველი ოსტატების მიერ შექმნილ წმიდა გიორგის ხატს, ნიშნად ჩვენი ეკლესიების კმაზისა და სიყვარულისა.

წმიდაო დიდი მოწამეთა და ძლევათა გიორგო, იყავ მფარველი ჩვენი ერებისა!

უწმიდესმა და უნეტარესმა ილია II ტაძარს საჩუქრად გადასცა წმ. გიორგის ჭედური ხატი. იმავე დღეს კონსტანტინეპოლისა და ახალი რომის მსოფლიო პატრიარქმა დიმიტრიოსმა საქართველოს ეკლესიის დელეგაცია მიიწვია დიდ ტრაპეზზე, რომელსაც ესწრებოდა როგორც სასულიერო, ისე საერო პირთა სამასამდე წარმომადგენელი. სადილზე სიტყვები წამოთქვეს ილია II და დიმიტრიოს I.

საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის დელეგაციის წევრები კონსტანტინეპოლის საბჭოთა საკონსულოში



ილია II სიტყვა:

თქვენი ყოვლადუწმინდესობაგ, მსოფლიო საპატრიარქოს მამათაყვარო, ბატონო დიმიტრიოს პირველო! თქვენი მადლყოვლადუსამღვრელოესობაგ! ქალბატონებო და ბატონებო!

ნება მამოპეტ მოგესალმეთ წმიდა საქართველოს ავტოკეფალური მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის სახელით. იმ საქართველოს სახელით, რომელიც ორი კონტინენტის, ორი ტელიგიის გზაჯვარედინზე მდებარეობს და რომელიც საუკუნეთა მანძილზე მონაპატივად შეუპოვრობით იცავდა ქრისტეს ჭეშმარიტ მოძღვრებას.

ჩვენი ურთიერთობა ახლა არ იწყება. ჩვენ გვაქვს გაცილებით ურთიერთობის მრავალსაუკუნოვანი ტრადიცია. ჯერ კიდევ IV საუკუნის დასაწყისში იმპერატორ კონსტანტინეს დასტურებით საქართველოში ჩამოვიყვანეთ ანტიოქიის მამათაყვარო ევსტატე, რომელმაც საქართველოს პირველი მთავარეპისკოპოსი ითანე აკურთხა. ამ დღიდან საქართველოში სახელმწიფო რელიგიად ქრისტიანობა იქნა გამოცხადებული. ეს იყო განმტკიცება იმ დიდი და ჭეშმარიტი ზრუნვის, რომელიც ჩვენს სამშობლოში წმიდა მოციქულებმა — ანდრია პირველწოდებულმა და სვიმონ კანანელმა — დათესეს.

V საუკუნიდან, როდესაც საქართველოს ეკლესიამ ავტოკეფალია მიიღო, საქართველოში ყალიბდება ძლიერი ერთეული ეკლესია — ერთნული ტრადიციებით. მაგრამ, ამავდროულად, საქართველოს ეკლესია კავშირს არ სწყვეტს სხვა ავტოკეფალურ ეკლესიებთან და, პირველ რიგში, კონსტანტინეპოლის ეკლესიასთან. ამ ფაქტის დამადასტურებელია ის მრავალრიცხოვანი ხაზანები, რომლებიც ჩვენმა ხალხმა მკვლ პერმანენტული სამყაროში დააბნა. ამ ხაზანეთა შორის განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ათონის ივერიის მონასტერს, რომელიც საუკუნეების მანძილზე ჩვენი ორი ეკლესიის დიდ შემაკავშირებელ ძალას წარმოადგენდა. ამ მონასტერში მოღვაწეობდნენ ჩვენი დიდი წინაპრები: ექვთიმე, იოანე, გაბრიელი, გიორგი, თორნიკე ერისთავი და მრავალი სხვანი, რომელნიც ანა მხოლოდ გამოჩენილი სასულიერო პირნი, არამედ დიდი ბოლიტიკური მოღვაწეებიც იყვნენ. მაგრამ ჩვენ არ უნდა დაგვავიწყდეთ მხოლოდ წარსულის დიდი ტრადიციებით. ჩვენ ვაღივებულნი ვართ ვიფიქროთ მთავარზე. ვიფიქროთ ჩვენს ორ ეკლესიას შორის საქმიანი და მეგობრული კონტაქტების გაძლიერებაზე ჩვენ აქ ვგულისხმობთ თანამშრომლობას და ერთსულოვნებას იმ დიდ საქმეში, რომელიც მართლმადიდებელ ეკლესიათა წმიდა და დიდ კრებას მოამზადებს.

ჩვენ დიდ ყურადღებას ვაქცევთ ქრისტიანულ ეკლესიებს შორის ეკუმენურ თანამშრომლობას. ამ მომართაში არის ბევრი ისეთი საკითხი, რომლებიც მართლმადიდებლური ეკლესიებისათვის აქტუალურია; მაგრამ, ამავდროულად, ოგონობა პრეტესტანტული ელემენტის ძლიერი ზეგავლენა და ამიტომ ჩვენ უნდა ვეცადოთ ამ ეკლესიათა შორის მომართაში მართლმადიდებლური ეკლესიის წარმომადგენლობის გაძლიერებას.

დაბოლოს, ჩვენ არ შეგვიძლია გვეზღო ავიაროთ იმ უაღრესად მნიშვნელოვან საკითხს, რომელზეც ფიქრობს და ზრუნავს მთელი მსოფლიო — მშვიდობის დაცვის საკითხს.

როგორც ამბობს ნეტარი აგუსტინე — „მშვიდობა ყველას სურს, მაგრამ ყველას თავისებურად ესმის“. ჩვენი ვალა მოგანსოთ გზები და საშუალებები იმ პოზიტური ძალების დასმარებისათვის, რომლებიც აქტუალად იღვიან საყოველთაო მშვიდობისათვის.

მე ვისურვებდი, რომ მომავალი ურთიერთობა ჩვენს ეკლესიებს შორის გახდეს ინტენსიური, საქმიანი და ნაყოფიერი. დაე, ჩვენი ერები და ქრისტეს ეკლესია იყვნენ მუდამ ერთად — ამ ერთობაშია მადლი და ძლიერება. დაე, მშვიდობა და კეთილშეშობა ყოფილიყო ჩვენს ერებსა და სახელმწიფოებს შორის. ვუსურვებ თქვენს ყოვლადუწმინდესობას დღევანდელ და ნაყოფიერ მოღვაწეობას ქრისტიანული სამყაროს საკეთილდღეოდ, ხოლო ჩვენს ორ ეკლესიას — ქრისტეს სიყვარულს, მადლსა და ერთხმებას!

სადილის შემდეგ სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II, მსოფლიო პატრიარქ დიმიტრიოსთან ერთად დაათვალიერა ჰოსპიტალი.

6 მაისს, საღამოს საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II მიიწვია სსრ კავშირის გენერალურმა კონსულმა — მ. გ. ორლოვმა. შეხვედრას ესწრებოდნენ: მსოფლიო პატრიარქი დიმიტრიოსი, ქალკედონის მიტროპოლიტი მელიტონი, ქ. სტამბულის გუბერნატორი ადნას კივილი-მელი. მიღების დროს უწმიდესმა და უნეტარესმა ილია II და მსოფლიო პატრიარქმა დიმიტრიოსმა წარმოსთქვეს სიტყვები.

იმავე დღეს საღამოს გამოსამშვიდობებელი შეხვედრა ჰქონდა მსოფლიო პატრიარქ დიმიტრიოსთან, რომლის დროს საქართველოს ეკლესიის მესვეურმა უღრმესი, გულწრფელი მადლობა გადაუხადა მსოფლიო პატრიარქს გულთბილი და მეგობრული მიღებისთვის და გამოთქვა რწმენა, რომ ურთიერთობა ორ ეკლესიას შორის კიდევ უფრო განმტკიცდებოდა.

8 მაისს, საქართველოს ეკლესიის დელეგაცია გამოემგზავრა სამშობლოსაკენ. იგი გააცილეს კონსტანტინეპოლის საპატრიარქოს მიტროპოლიტებმა და სსრ კავშირის გენერალურმა კონსულმა მ. გ. ორლოვმა. ვარშავის აეროპორტში საქართველოს ეკლესიის დელეგაციას შეხვდა უნეტარესი ვასილი, მიტროპოლიტი ვარშავისა და სრულიად პოლონიეთისა. მოსკოვში მათ შეხვდა ზარაიის ეპისკოპოსი იობი, ბოდბელი ეპისკოპოსი ათანასე, დეკანოზი ამბროსი ქოთამაძე და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული რელიგიის საქმეთა საბჭოს წარმომადგენელი ვ. ს. ვალოდინი.

საქართველოს ეკლესიის დელეგაციას მეორე დღეს ელოდა ახალი ვიზიტის დაწყება ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკაში, სადაც მიწვეული იყო სრულიად ბულგარეთის პატრიარქის, უწმიდესი მაქსიმეს მიერ.

ენიხიკოვსკი ღამითი

# სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმიდესი და უნეტარესი

## ილია II

### ვიზიტი გუდგარეთის სახალხო რესპუბლიკაში

1979 წლის 9—15 მაისი

სრულიად ბულგარეთის პატრიარქის, უწმიდესი მაქსიმეს მიწვევით ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკაში იმყოფებოდა საქართველოს სამოციქულო ეკლესიის დელეგაცია უწმიდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს პრეზიდენტის ილია II მეთაურობით. დელეგაციის შემადგენლობაში იყვნენ: ცხუმ-აფხაზეთის მთავარეპისკოპოსი ნიკოლოზი, საპატრიარქოს საგარეო საქმეთა განყოფილების თავმჯდომარე; ბოდბელი ეპისკოპოსი ათანასე; ნიკორწმინდის საკათედრო ტაძრის წინამძღვარი, დეკანოზი ალექსანდრე ქათამაძე; სიონის საპატრიარქო ტაძრის პროტოდიაკონი ზეთისო შალიკაშვილი.

საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის დელეგაციას 9 მაისს ქალაქ სოფიის აეროპორტში შეხვდნენ: უწმიდესი მაქსიმე, პატრიარქი სრულიად ბულგარეთისა; ბულგარეთის მართლმადიდებელი ეკლესიის საგარეო განყოფილების გამგე, მიტროპოლიტი პანკრატი; მეგროპოლიის მიტროპოლიტი ჰიმენი; ველიკოტირნოვის მიტროპოლიტი სტეფანე; დოროსტოვის მიტროპოლიტი სოფრონი; პლოვდივის მიტროპოლიტი ვარლამი; ვიტონის მიტროპოლიტი ფილარეტი; ლოვჩინის მიტროპოლიტი გრიგოლი; მლაინის მიტროპოლიტი კალინიკე; ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე პოპოვი; ბულგარეთის მართლმადიდებელი ეკლესიის განყოფილების გამგე რადიჩევი; ბულგარეთის საპატრიარქოს სასულიერო აკადემიის პროფესორები და პატრიარქის რეფერენტები.

იმავ დღეს პატრიარქმა მაქსიმემ და ბულგარეთის ეკლესიის წმიდა სინოდმა სადილი გაუმართა საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს ილია II და მის თანმხლებ პირთ.

10 მაისს უწმიდესმა მაქსიმემ თავის რეზიდენციაში მიიწვია უწმიდესი და უნეტარესი ილია II დელეგაციის სხვა წევრებთან ერთად და კარის ეკლესიაში საპატიო სტუმართა პატივსაცემად გადაიხადა პარაკლისი.

პარაკლისის დამთავრების შემდეგ უწმიდესმა მაქსიმემ სიტყვით მიმართა უწმიდესსა და უნეტარეს ილია II:

თქვენო უწმიდესობაე და უნეტარესობაე, ქრისტეს მიერ საქართველოს თანამოქმედ!

ამაღლების ნათელ დღეებში მე განსაკუთრებით მსიამოვნებს მოგხალმობ როგორც ბულგარეთის მართლმადიდებელი ეკლესიის ძვირფას სტუმარს — საქართველოს მართლმადიდებელი წმიდა ეკლესიის მამათათაგანს და თქვენს თანამგზავრთ. თქვენი რამდენჯერმე ბრძანდებოდით ბულგარეთში, მაგრამ თქვენი ეს ვიზიტი პირველად საქართველოს ეკლესიის წინამძღვრად თქვენი არჩევის შემდეგ. თქვენი აქ ყოფნის დროს საშუალება გვექნება დღისმოსახურებაში გავყოთ საადღგომო სინარული, მშობრად გავიზიაროთ აზრები ეკლესიურ საკითხებზე, მოკრძალებით მოვიყაროთ პუსლი ჩვენი სალოცავების წინაშე. თქვენი გვეწებათ საშუალება გავცნოთ ჩვენს ეკლესიას, ქვეყანასა და ხალხს, მწყვსმთავრული მიაგოთ მათ.

საუკუნეების წინ ქართველი მშობლები — ბაკურიანების მიერ შეიქმნა ბანკოვოს წმიდა სავანე. ბულგარელები კეოლი გომნობებით ახსენებენ თქვენს ხალხს; ბულგარელი და ქართველი ხალხების ბოლო დროის შეგობობა და ჩვენი მართლმადიდებელი ეკლესიების ძმური დამოკიდებულება ჩვენ კიდევ უფრო გვაახლოებს. ჩვენ ეძვირ არ გვეპარება, რომ თქვენი ახლანდელი ვიზიტი იქნება ღილი წვლილი და სასიკეთო წმიდა მართლმადიდებლობისათვის და მსოფლიოში მშვიდობის განმტკიცებისათვის.

წმიდა სინოდის სახელით, ჩემი სახელითა და მთელი ჩვენი ეკლესიის სახელით მოგხალმობთ თქვენ: კეთილი იყოს თქვენი მიზნანება! და გისურვებთ საამუღ ყოფნას ჩვენს ქვეყანაში.

საქართველოს ეკლესიის დელეგაციამ დაათვალიერა ბულგარეთის საპატრიარქო რეზიდენცია კეთილმოწყობილი კაბინეტებით, ოთახებითა და სამლოცველოებით. შემდეგ გაიმართა გულთბილი საუბარი ილია II და მაქსიმეს შორის, რომლის დროსაც უწმიდესმა და უნეტარესმა ილია II საქართველოში სტუმრად მოიწვია ბულგარეთის პატრიარქი, უწმიდესი მაქსიმე, რომელმაც ეს მიწვევა მიიღო უღრმესი მადლობის გრძნობით. საუბრის დამთავრებისას ბულგარეთის პატრიარქმა უწმიდესმა მაქსიმემ, მოციქულთასწორ წმიდათა — კირილეს და მეთოდეს ორდენით დააჯილდოვა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმიდესი და უნეტარესი ილია II, ცხუმ-აფხაზეთის მთავარეპისკოპოსი ნიკოლოზი და ბოდბელი ეპისკოპოსი ათანასე. ამავე წმიდანების სახელობის მედლით



დაჯილდოვებულ იქნენ: ნიკორწმიდის საკათედრო ტაძრის წინამძღვარი, დეკანოზი ალექსანდრე ქათამაძე და ღიორის საპატრიარქო ტაძრის პროტოდიაკონი ზეთისო შალიკაშვილი. ილია II უწმიდეს პატრიარქს და ბულგარეთის ეკლესიის მსახურთ საჩუქრად გადასცა საქართველოდან ჩატანილი ეროვნული სუვენირები.

იმავე დღეს, საღამოს, საქართველოს დელეგაცია მიიღო ბულგარეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ და ბულგარეთის ეკლესიათა სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარემ ლუბომირ პოპოვმა. უწმიდეს პატრიარქ მაქსიმესა და წმიდა სინოდის წევრთა გარდა მიღებას ესწრებოდნენ: თავმჯდომარის მოადგილე, ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის გმირი მიხაილოვი, საბჭოთა ელჩის მოადგილე ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკაში ა. ს. ლუზინი, სასულიერო აკადემიის პროფესორები.

საქართველოს დელეგაციის პატივსაცემად გამართულ მიღებაზე სიტყვები წარმოსთქვეს ილია II და ლუბომირ პოპოვმა.

**ლუბომირ პოპოვის სიტყვა:**

უწმიდესი და უნეტარესო, სრულიად საქართველოს კათოლიკოს — პატრიარქო, მგონჯასო ილია, დელეგაციის წევრებო! ბულგარულ ხალხში არის თქმულება: ერთი წვეთი მაისის წვიმა თქმის ფასიაო. დიდ, ერთი თვის ძლიერი გვილის შემდგომ თქვენმა მოზარდებმა უხვი ნალექები მოუფლანა ბულგარეთის მაღლიან მიწას, რაც მეტად სასიხარულოა. 1983 წელს მთელი ბულგარული ხალხი დიდი ზეიმით აღნიშნავს ქართველი ძმების — ბაკურიანების მიერ ბანკოვის მონასტრის ცხრაას წლისთავს. ეს კიდევ ერთი ნათელი გამოხატულება იქნება ქართველი და ბულგარული ხალხების მრავალსაუკუნოვანი მეგობრობისა. ილია II, აზრზე მითრიაოლიტის სარისში მყოფი, ყოველთვის იყო დუცნობილი მეგობარი დედამიწაზე მშვიდობისა და სამართლიანობისათვის, როგორც ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს წევრი. ამის მკაფიო აღიარება გახლავთ მიმდინარე წლის ანკარაში მისი უწმიდესობის არჩევა ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს პრეზიდენტად. ბედნიერია დიდი კულტურის მქონე ქართველი ერთი და მისი უძველესი ქართული ეკლესია, რომელსაც მეთაურობს მშვიდობის დამფუძნებელი, მთელს მსოფლიოში ცნობილი დიდი საეკლესიო მოღვაწე, კათოლიკოს-პატრიარქი ილია II.

დიდი სიხარულით ვადრეგებებ ჩვენს სახუცველ სტუმრებს!

დღევანდელია მთელს დედამიწაზე მშვიდობის სულისჩამდგმელსა და ირგანიზატორს დიდ საბჭოთა კავშირს, გენერალური ძლიერის ლ. ი. ბრეჟნევის მეთაურობით.

გაუმარჯოს საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ ბესპუბლიკას.

**სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II საპასუხო სიტყვაში ბრძანა:**

დიდად პატივცემული საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე, ბულგარეთის მართლმადიდებელი ეკლესიებისა და რელიგიური კულტების კომიტეტის თავმჯდომარე, ბატონო ლუბომირ პოპოვ, თქვენი უწმიდესობა, მგონჯასო მეგობრებო!

ჩვენ ჩამოვედით ბულგარეთში ჩვენი მგონჯასო თანამოძის, უწმიდესი პატრიარქის მაქსიმეს მოწვევით. დღეს, მეცნიერებისა და ტექნიკის საუკუნეში ადამიანები სწრაფ უსვამენ კითხვას თავიანთ თავს: ვინა ვართ ჩვენ და საით მივჭაგრებთ? მე ვფიქრობ, რომ ეს კითხვა ყოველთვის იყო აქტუალური, მაგრამ ჩვენს დროში იგი განსაკუთრებით სმა-

მაღლა უდრის. აქ ბრძანდებიან ბულგარეთის სახელმწიფო სელისუფალა თანამდებობის პირნი, ინტელექტუალის წარმომადგენლები, საქართველოს და ბულგარეთის მართლმადიდებელი ეკლესიის მსახურნი, რომელთაც შეიძლება აქვთ სხვადასხვა შეხედულება ცოვრებაზე, სხვადასხვა ფილოსოფიური თვალსაზრისი, მაგრამ ჩვენ გვაერთიანებს ერთი — ჩვენ ყველანი ვემსახურებთ ჩვენი ხალხებს, ჩვენ ყველას გვსურს სული შუენიყვით ჩვენი ქვეყნების და ერების სულიერ და მატერიალურ ზრდასა და კეთილდღეობას.

ჩვენი ეკლესია ჩვენივე ხალხების ცხოვრებით ცხოვრობდნენ, ისინი ყოველთვის ნაცონალური თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის მეგობრობა პირველ რიგებში იმყოფებოდნენ. ჩვენი ეკლესიები ყოველთვის იყვნენ და იქნებიან მშვიდობისა და სამართლიანობის ქადაგნი. ჩვენი ეკლესიები არა მარტო ქრისტიანული და მართლმადიდებლური არიან, არამედ ნაცონალურნიც. ჩვენი ხალხები იცავდნენ ქრისტიანობას, ქრისტიანობა გვიცავდა ჩვენ. ყოველივე ამან სული შუენიყვით, ახალ სოციალურ პირობებში ეკლესიას და სახელმწიფოს შორის დაკავრებული სრულიად კეთილი, საქმიანი და ნორმალური დამოკიდებულება. მე ვფიქრობ, როგორც ეკლესიას, ისე სახელმწიფოს განჩნა ერთი მიზანი: სული შუენიყვის ჩვენი ხალხების სულიერ და მატერიალურ კეთილდღეობას. ჩვენი ქვეყნებისა და ეკლესიების მეგობრობა და თანამშრომლობა ხელს უწყობს ასეთ განვითარებას.

მე კამოფილებით ვცაბა საბჭოთა კავშირის დიდი მეგობრის ტოლონ თევთის სადღეგრძელოს, საბჭოთა კავშირის და ბულგარეთის მეგობრობის სადღეგრძელოს, ქართლ-ველი და ბულგარული ხალხების მეგობრობისა და თანამშრომლობის სადღეგრძელოს, თქვენი ბედნიერების სადღეგრძელოს!

11 მაისს, დილით, ქ. სოფის ალექსანდრე ნეველის სახელობის საპატრიარქო ტაძარში შედგა ერთობლივი საღმრთო-სადღესასწაულო ლიტურგია, რომელშიც მონაწილეობდნენ ბულგარეთის მართლმადიდებელი ეკლესიის პატრიარქი, უწმიდესი მაქსიმე და თხუთმეტი მღვდელთმთავარი. ილია II თანამწირველნი იყვნენ: ცხუმ-აფხაზეთის მთავარეპისკოპოსი ნიკოლოზი, ბოდბელი ეპისკოპოსი ათანასე, დეკანოზი ალექსანდრე ქათამაძე და პროტოდიაკონი ზეთისო შალიკაშვილი.

საღმრთო-სადღესასწაულო ლიტურგიის აღსრულების შემდეგ სიტყვებით მიმართეს ერთმანეთს უწმიდესმა და უნეტარესმა ილია II და ბულგარეთის მართლმადიდებელი ეკლესიის პატრიარქმა, უწმიდესმა მაქსიმემ.

**ბულგარეთის პატრიარქის მაქსიმეს სიტყვა:**

თქვენი უწმიდესობა და უნეტარესობა, უფლისმიერო საყვარელი უწმიდესო და უნეტარესო მუშუკო!

თქვენი მაღალსამღვდლოესობა და ყოვალმსამღვდლოესობა!

საქართველოს მართლმადიდებელი წმიდა ეკლესიის მგონჯასო სტუმრებო,

უფლის მიერ საყვარელო მამო და დანო!

ნათელი და სასიხარულოა ეს დღე ჩვენთვის, რომელიც შეგვიქმნა უფალმა. ჩვენ ვერ კიდევ ვიმყოფებით ქრისტეს აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულის წყალობით გაცნისკრთვებულნი. მე მსიამოვნებს ამ დღის შესანიშნავი შეხვედრის გამო მოვსალმით თქვენ, ძველქრისტიანული ტრადიციული მიღოცით:

„ქრისტე აღსდგა!“.

დღეს ჩვენ ვისწენეთ წმიდა მიტოქელთასწორებს მეოთხეს და კიბილეს, სღაგ-ბულგაროთა განმანათლებლებს. სოლუნელმა წმიდა მამებმა დმეტოს კეთილი ნებით შექმნეს სლავური დამწერლობა, თარგმნეს დმეტოს სიტყვა და დგომის მსახურების წიგნები ძველბულგარულ ენაზე, მთაწმინდის მი-

წიგნები, რომლებზეც განგებებს მათი საქმე და ამით ბუღ-ტრული აღწევებისაკენ. იმათი განმანათლებლები საქმის წყალობით დღეს სლავური დამწერლობითი სიტყვა და ბუღ-ტურა მიღობის ადამიანის საყოფიერებად იქცა.

დღეს ჩვენ სისაბუღალსა და ზემოთ კიდევ ერთი საბაბი გავგანხილავთ — ეს არის კათოლიკოს-პატრიარქის, მისი უწმი-დესობის ილია II და საქართველოს წმიდა ეკლესიის მა-ღალღობის წარმომადგენელთა სტუმრობა.

თქვენი უწმიდესობა, უწმიდესო მუფთო!  
თქვენი ჩამობრძანება დიდ სისაბუღალს გვანიჭებს. სა-ქართველოს წმიდა ეკლესია ერთ-ერთი უძველესი ეკლესია-თავანია თავისი სასულიერო წარსულით, სოფლ ქართველი ხალხი — ეს არის ხალხი თავისი უძველესი თვითმყოფადი კულტურით. ქართველმა ხალხმა მოციქულთა სწოების წმ. ნინოს განმანათლებელი მოღვაწეობის წყალობით უფრო კი-დეგ ქრისტიანობის განათარსის მიხედვით ქადაგება სისაბუღა-სა. სუთი წლის წინ, როცა თქვენი ეკლესიის სტუმრები ვიყავით, ჩვენ ვიგბრებოთ სიყვარულის ძალა, რომელიც ჩვენ მიმართ გამოავლინა თქვენმა წინამორბედმა, ნეტარსწენ-ბულმა კათოლიკოს-პატრიარქმა დავითმა, მთელმა მრევლმა და მოწმუნებებმა.

დღეს ჩვენ მივესალმებით თქვენს უწმიდესობას, საქარ-თველოს წმიდა ეკლესიის წინამძღვრს და თქვენს თანმხლებ პირთ ისეთთვე სიყვარულით, როგორი სიყვარულითაც რბე-ხვდნენ ჩვენ მთავრებს სტუმრები თავიანთი ხალხი და გვწამს, რომ თქვენი ეს ჩამობრძანება კიდევ უფრო განამ-ტკიცებს ჩვენს ეკლესიებსა და ხალხებს შორის მძებ და-მოკიდებულებას, ვინაიდან ნათქვამია: „ვითარ შეუიერ არიან ფერხნი მისაბუღელთა მათ მშვიდობისათანი, რომელნი ახა-რებენ კეთილს“ (რომ. 10, 15).

როგორც უფლისადაც ჩვენი მძებ სიყვარულის ნივ-თიერი გამოვლენა და როგორც თქვენი დღევანდელი მობრ-ძანების ღირსებითი გახსენება, გთხოვთ, მიიღოთ ეს წმიდა ხატი დედა-ღვთისა და ზედა-ღმერთის ქრისტეს ხატებისა.

ჩვენი უფლის იესო ქრისტეს წყალობა და სიყვარული დამობისა და მამისა და კავშირი სულისა წმიდისა, დე იუსო ყოველთა ჩვენთა თანა! ა მ ი ნ.

**სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II საპასუხო სიტყვაში ბრძანა:**

თქვენი უწმიდესობა, ბულგარეთის ეკლესიის წინამ-ძღვართ და ჩვენი საყვარელი მამო, უწმიდესო პატრიარქო მაქსიმე!

თქვენი ძალაღუწმიდესობა, მთავრისა მამო და დანო! ჩემი პირველი მისაღობა მე მსუბრ დაიწყო წმიდა მოციქულის პეტრეს სიტყვებით: „კურთხეულ არს დმერთი და მამო უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი, რომელმან-თავი მზავლობა მით წყალობითა თვისითა კუალად გუშენა ჩვენ სა-სოებად ცხოველად აღდგომითა იესო ქრისტესითა მკუდრე-ითი, საქვიდრებლად უზრწველად და შეუგინებლად და რუჰკ-ნობლად დამარხულთა ცათა შინა თქვენდა მიმართ“ (პეტ-რე I-უბის. 1, 3-4).

მე ვფიქრობ, სწორედ ამ შინაგან სულიერ ბროცესს გან-ვიცდით ჩვენ ვველანი, როცა აღდგომის ამ ცხოველყოფილ და სისაბუღლო დღეებში ბულგარეთის წმიდა მიწაზე ერთ-მანეთს ხვდებოდნით თბი წმიდა ავტოკეფალური მართლმადი-დებელი ეკლესიის — საქართველოს და ბულგარეთის — მე-თაურნი და წარმომადგენელნი. მე აღბე იგზის ვიყავი ბულგარეთში. ახლანდელი ვიზიტი — ჩემი პირველი ვიზი-ტი, როგორც საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მეთაურისა.

ვევლა ჩემი ჩამოსვლის დროს მე მისაბუღა და აღ-მავრთოვანება ერთი რამ: მონოლითური ერთიანობა მთელი ბულგარელი ხალხისა, ერთიანობა და კეთილანამშრომლო-ბა ეკლესიისა და სახელმწიფოსისა, თანამშრომლობა ეკლესიასა და მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწეთა შორის და საბრ-

თოდ განყოფილება, — ამაშია ძალა თქვენი ხალხისა, ამა-შია ძალა ყოველი ქვეყნისა და ერისა.

ჩვენი ვიზიტი — ეს მხოლოდ გავბელებია იმ მრავალ-მსრები ამერი დამოკიდებულებების, რომლებიც ყოველთვის აზნებობდნენ ჩვენ შორის. ჩვენ არ გვაიწვევდა ის დირს-სისხობა დღე, როდესაც უწმიდესის და უნეტარის, კა-თოლიკოს-პატრიარქის დავით V მოწვევით თქვენ, თქვენი უწმიდესობა, მთინსულით საქართველოს მართლმადი-ბელი ეკლესია. უზეთერთიანობის დროს მტკიცდება სრუ-ლიად მართლმადიდებლები ერთიანობა, რაც ასე მკვირვარია ჩვენივეს და რომელსაც ვითვისებთ ჩვენ, როგორც სული-წმიდის ნიჭს.

ჩვენ კმაყოფილებით აღვინანოთ, რომ უკანასკნელ ხანს ჩვენი ეკლესიები აქტურებენ თავიანთ მოქმედებას, ეკუმე-ნურ მოძრაობაში შეიტანენ თავიანთ წვლილს და იმ სულიერ გამოცდილებას, რომელიც საუკუნეთა მანძილზე დაგროვეს ჩვენმა ეკლესიებმა.

ჩვენი ეკლესიები გვერდს ვერ აუვლიან დიდმნიშვნელო-ვან საქათს — მშვიდობის დღეის ბრობლებს, რომლითაც დაკავშირებულია დღეს მთელი კაცობრიობა.

ჩვენ ყოველთვის გვახსოვს, რომ ვიდრე აზნებობს დაბა-ბუღობის სამში კერები, იარსებებს ასალი მსოფლიო ომის სამში მოზობა. „რამეთუ შეიღობას გავწოდნა ჩვენ დმერთ-მ.ი.“ (I კორინთ. 7, 15).

ჩვენ ვმადლობთ უფალს, რომ ჩვენი ეკლესიები ერთ-გულნი არიან მოციქულთა ამ ანდრძობისა და ყველგვრს გააკეთებენ დამაწაწე მშვიდობისა და სამართლიანობის განსამტკიცებლად.

მე აღვავლენ ჩემს ღოცვას, რათა უფალმა მშვიდობითა და კეთილდღობით აკურთხოს ჩვენი ეკლესიები და ხალხები. უფალი მშვიდობისა და სიყვარულისა დაე იუსო ყოველ-თა ჩვენთა თანა.

იმავე დღეს ბულგარეთის პატრიარქმა უწმიდესმა მაქ-სიმემ, ილია II და მის თანმხლებ პირთა პატივსაცემად გამართა სადღესასწაულო სადილი, რომელსაც ესწრე-ბოდნენ: ბულგარეთის პატრიარქი და მღვდელთმთავრები, სახელმწიფო მოღვაწეები, მეცნიერების, ლიტერატურის და ხელოვნების მუშაკები.

სადილზე სიტყვებით მიმართეს ერთმანეთს ბულგარე-თის პატრიარქმა უწმიდესმა მაქსიმემ და უწმიდესმა და უნეტარესმა ილია II.

თავის სიტყვაში ბულგარეთის პატრიარქმა უწმიდეს-მა მაქსიმემ თქვა: ისტორიულად ბევრი საერთო აქვს საქართველოსა და ბულგარეთს. ამის მტკიცე დადასტუ-რებაა წმ. ბაჩკოვის სავანე, რომელიც ქართველმა მძებ-მა ბაკურიანებმა დააარსეს XI საუკუნეში. უკანასკნელ ათწლეულებში როგორც ნეტარგანსვენებულ საქართვე-ლოს წმ. ეკლესიის სახელოვან წინამძღვრებს კალისტრა-ტეს, მეღქისდეკ III ეფრემ II და დავით V ასევე აწ-დღევრებულ უწმიდეს და უნეტარეს კათოლიკოს-პატ-რიარქს ილია II კეთილი გრძობები გააჩნია ჩვენი ეკლე-სიისა და ხალხის მიმართ, რაც ხელს უწყობს მათ შორის კავშირის განმტკიცებას.


უწმიდესი პატრიარქის ილია II სტუმრობის ცნობები ჩვენს ორ დიდ საეკლესიო-სახალხო დღესასწაულს ბულ-გარეთისა და სრულიად სლავთა მასწავლებლობა, წმ. მოციქულთა სწორებისა და განმანათლებლების კირილესა და მეთოდეს ხსოვნის დღეს და ბულგარეთის მართლმადი-







ბულგარეთის გათავისუფ-  
ლებისათვის დაღუპულ მე-  
ომართა ძეგლი შიპკას  
მთაზე.



ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს მიერ თქვენი უწმიდე-  
სობის არჩევა ამ ორგანიზაციის პრეზიდენტად საქართვე-  
ლოს უძველესი ეკლესიისა და მისი უწმიდესი მოძღვ-  
რის ავტორიტეტზე მეტყველებს, რომელმაც ეკუმენური  
მოძრაობისა და მართლმადიდებლური ერთიანობის განვი-  
თარების საქმეში თავისი მრავალნაყოფიერი შრომებით  
მთელი ქრისტიანული სამყაროს ავტორიტეტი მოიხვეჭა.

თქვენო უწმიდესობაე და უნეტარესობაე, ნიშნად  
თქვენი მობრძანებისა სოფიის რუსულ ეკლესიაში, მიი-  
ღეთ ეს ხატი ყოვლადწმიდა ქალწული ღვთისმშობლისა.  
დაე უფალმა ღმერთმა ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის ლო-  
ცვებით მოგანიჭოს თქვენ მრავალი წლის სიცოცხლე,  
ჯანმრთელობა და ძალა საქართველოს წმიდა ეკლესიის  
შემდგომი ბრძნული ხელმძღვანელობისათვის წმიდა  
მართლმადიდებლობის სადიდებლად სრული მართლმადი-  
დებლური ერთიანობისათვის და დედამიწაზე მშვიდობის  
განმტკიცებისათვის!

კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმიდესმა და უნეტარეს-  
მა ილიის II ეკლესიას საჩუქრად გადასცა წმიდა  
გიორგის ხატი.

წმ. ნიკოლოზის ეკლესიის დათვალიერების შემდეგ,  
საქართველოს ეკლესიის დელეგაციამ ცოცხალი ყვაეი-  
ლებით შეამკო დიდ სამამულო ომში ბულგარეთის გა-  
თავისუფლებისათვის ბრძოლაში დაღუპული საბჭოთა  
მეომრების ძეგლი.

უწმიდესმა და უნეტარესმა ილია II და მისმა თან-  
მხლებმა პირებმა იმავე დღეს გვირგვინით შეამკეს გიორ-  
გი დიმიტროვის მავზოლეუმი. ამ ცერემონიაზე საქარ-  
თველოს ეკლესიის დელეგაციას თან ახლდნენ: ბულგარე-  
თის სახალხო რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრის  
მოადგილე ვლადიმერ პოპოვი; რელიგიის სახელმწიფო  
კომიტეტის განყოფილების გამგე ივანე რადიჩევი; საბ-  
ჭოთა საელჩოს პირველი მდივანი ოლეგ ლეზინი და ბულ-  
გარეთის მართლმადიდებელი ეკლესიის წმ. სინოდის  
წევრი ათი მღვდელთმთავარი.

ღღის მეორე ნახევარში საქართველოს ეკლესიის დე-  
ლეგაცია გაემგზავრა ქალაქ პლოვდივში. უნდა აღინიშ-  
ნოს, რომ როგორც სოფიაში, ისე ყველა ეპარქიაში საპატ-  
რიარქოს აქვს თავისი სასტუმროები და, საერთოდ, საპატ-  
რიარქო და საეპარქიო რეზიდენციები შესანიშნავად არის  
მოწყობილი, შექმნილია ყველა პირობა ნორმალური მუშა-  
ობისათვის, რაც ნათლად მეტყველებს ბულგარეთის სახალ-  
ხო რესპუბლიკის მთავრობის ყოველდღიურ ზრუნვაზე ეკ-  
ლესიის მიმართ. ქ. პლოვდივში საქართველოს ეკლესიის  
დელეგაცია წმ. მარინეს საკათედრო ტაძარში დაესწრო  
მწუხრისა და ცისკრის ლოცვას, სადაც მათ საზეიმო შე-  
ხვედრა მოუწყო პლოვდივის მიტროპოლიტმა ვარლამმა.

ილია II პლოვდივის მიტროპოლიტ ვარლამს საჩუქ-  
რად გადასცა წმ. ნინოს ხატი.

მიტროპოლიტმა ვარლამმა ილია II პატრიარქსად  
გამართა საზეიმო ვახშამი, რომელზედაც პლოვდივისა  
და მთელი ბულგარეთის ეკლესიის სახელით დიდი მად-  
ლობა გადაუხადა კეთილი ნების ვიზიტისათვის.

13 მაისს პეტრიწონის დიდებულ სავანეში ბულგარე-  
თისა და საქართველოს ეკლესიათა მღვდელმსახურებმა  
ადასრულეს ერთობლივი საღმრთო-სადღესასწაულო ლი-  
ტურდია.

აღსანიშნავია, რომ უწმიდეს და უნეტარეს ილია II  
მიერ ჩატარებული წირვების შესახებ იბეჭდებოდა სპე-  
ციალური განცხადებები, რომლებიც გამოიკვრებოდა  
ბულგარეთის ყველა ეკლესიაში; ამდენად, მთელი ბულგა-  
რელი ხალხისათვის ცნობილი იყო, თუ როდის და რო-  
მელ ეკლესიაში ბრძანდებოდა სრულიად საქართველოს  
კათოლიკოს-პატრიარქი, ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს  
პრეზიდენტი, უწმიდესი და უნეტარესი ილია II.

საქართველოს ეკლესიის დელეგაცია ეწვია პლოვდივ-  
ში აგებული დიდ სამამულო ომში დაღუპულ მეზობლთა  
მონუმენტს და ყვაეილებით შეამკო იგი. შემდეგ დელეგა-  
ციამ დაათვალიერა ბულგარელი ხალხის გამათავისუფ-  
ლებელი ბრძოლებისადმი მიძღვნილი დიდებული მონუ-

მენტი-კომპლექსი, რომელიც მოგვიტოვებს ბულგარელი ხალხის ისტორიას — მათი სახელმწიფოს შექმნიდან ჩვენ დღემდეამდე.

14 მაისს საქართველოს ეკლესიის დელეგაცია გაემგზავრა ქალაქ შიპკაში. ქრისტეს შობის სახელობის დიდებული ტაძრის ზარებმა მთელს მოსახლეობას აუწყეს მაღალი სტუმრის — კათოლიკოს-პატრიარქის ილია II მობრძანება.

ბულგარელმა მღვდელმსახურებმა სტუმართა პატივსაცემად ტაძარში გადაიხადეს პარაკლისი.

მოკლე სიტყვა წარმოთქვა კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II. — ეს დიდებული ტაძარი — თქვა ილია II აგებულია უფლის სახელზე, იმ უფლისა, რომელმაც მოგანიჭათ თავისუფლება, რომელსაც 500 წლის მანძილზე ელოდა თქვენი მამაცი ხალხი. ეს ეკლესია აგებულია შობის სახელზე, რაც ბულგარეთის დაბადებასაც ნიშნავს. საუკუნო დიდება ქართველ, რუს და ბულგარულ მეომრებს, რომლებიც დაეცნენ ბულგარეთის გათავისუფლებისათვის ბრძოლაში.

შემდეგ ორმა პატრიარქმა — ილია II და მაქსიმე — თანმხლებ პირებთან ერთად გადაიხადეს პანაშვიდი ქართველ და რუს მეომართა საფლავებთან.

სტაროზაგორსკის მიტროპოლიტმა პანკრატიმ მოაწყო საზეიმო სერობა, რომელსაც ესწრებოდნენ: ბულგარეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ნიკოლაი ტრინკოვი, ქ. შიპკის ადმასკომის თავმჯდომარე ივო ეპიტრაპოვი და მდივანი ნედილაკო პენჩევი. სადილის დროს სიტყვა წარმოთქვა ბულგარეთის მართლმადიდებელი ეკლესიის საგარეო განყოფილების გამგემ, სტაროზაგორსკის მიტროპოლიტმა პანკრატიმ. მან სთქვა:

— შიპკა ეს — წმიდა სახელია ჩვენს გმირულ ისტორიაში, სალოცავი ყველა პატრიოტისა. აქ, ამ მწვერვალთან თავისუფლების მზე ამობრწყინდა ოსმალ-თურქებისაგან დაპყრობილი ჩვენი სამშობლოსი.

საყოველთაოდ აღიარებულია, რომ შიპკის გმირთა თავდადების გარეშე არ იშვებოდა თავისუფლება. ჩვენ მაღლივობით აღვნიშნავთ, რომ შიპკის ეპოქაში ჩაუქრობელი დიდებით ბრწყინავს რუსეთისა და საქართველოს სახელოვანი შვილების სახელები, რომლებმაც აქტიური მონაწილეობა მიიღეს შიპკის, შეინოვის, პლევენის და სტაროზაგორის გათავისუფლებისათვის ბრძოლაში.

როგორც მატთან გვამცნობს, კიშინოვში ჩამოყალიბდა ექვსი ბულგარული რაზმი. მესამე სახალხო რაზმის მეთაურად დანიშნული იქნა მამაცი ქართველი ჭილაშვილი (მაიორი კონსტანტინე ბორისის ძე ჭილავევი). ამ სახელგანთქმული მეთაურის სახელი ლეგენდარული გახდა შიპკისა და სტაროზაგორისათვის ბრძოლაში. 1877 წლის 27 აგვისტოს, როცა გამძინვარებული მტრის შეტევისას რამდენიმე რაზმმა უკან დაიხია, ჭილაშვილის რაზმი თავგანწირვით ეკვეთა მტერს და უკუაქცია იგი. შიპკაზე, არტილერიის ბრიგადიდან გმირულად დაიღუპა, აგრეთვე, ვანჩაძე, მისი სახელი ოქროს ასოებით არის წარწერილი შიპკის დიდებულ ტაძარ-მეკლის მარმარილოს დაფებზე. შიპკისათვის ბრძოლაში განსაკუთრებით თავი გამოიჩინა ფიგელ-ადიუტანტმა, გენერალ-მაიორმა მიგ-

რელსკიმ (დადიანი). მან სიმამაცის გამოჩენისათვის დამსახურებულად მიიღო ორი სამხედრო ორდენი და ოქროს ხმალი.

რუსეთის არმიაში შედიოდნენ მეორე და მესამე ფეხოსანი დივიზიები. პირველი დივიზიის მეთაური იყო თავადი იმერეტინსკი (ბაგრატიონი). იგი მეთაურობდა აგრეთვე სპეციალურ რაზმს ქ. ლოვენის ალექსის დროს. სახელმწიფო გენერალი დაჯილდოვდა უმაღლესი საბრძოლო ორდენით. მასვე მიენიჭა გენერალ-ადიუტანტის წოდება. მოგვიანებით გენერალი იმერეტინსკი ხელმძღვანელობდა გამათავისუფლებელი არმიის შტაბს, იბრძოდა პლევენისათვის, დანიშნული იქნა რუსეთ-რუმინეთის არმიის შტაბის უფროსად. ქ. პლევენის გარემოცვის დროს განსაკუთრებით თავი გამოიჩინა გენერალ-მაიორ ლაშქარაშვილის მეცხრე ცხენოსანთა დივიზიონმა, რომელიც მოქმედებდა მარჯვენა ფრთაზე. ქ. პლევენისათვის იბრძოდნენ და თავი გამოიჩინეს მარცხენა ფრთის ჯარების მეთაურმა გენერალ-ლეიტენანტმა წითლანაძემ, მეცამეტე კორპუსის მეთაურმა მაველაშვილმა, დონის კაზაკთა დივიზიის უფროსმა, გენერალ-ადიუტანტმა შან-შაიშვილმა, კორნეტმა სუმბათაშვილმა და სხვებმა. რუსეთ-თურქეთის გამათავისუფლებელ ომში აქტიური მონაწილეობა მიიღო აგრეთვე თავადმა წერეთელმა. იგი იყო კაზაკთა ასეულის მეთაური, რომელსაც სარდლობდა სახელოვანი გენერალი გურკო.

საუკუნო და ნეტარი განსვენება მეომრებს, რომლებიც დაეცნენ ოსმანთა უღლისაგან ბულგარეთის გათავისუფლებისათვის. დღევრძეობდეს და მტკიცდებოდეს საუკუნო მეგობრობა ჩვენს ხალხებს შორის, ძმობა და ერთგული მეგობრობა ბულგარეთისა და საქართველოს და ჩვენი ძმის — რუსეთის მართლმადიდებელ ეკლესიებს შორის.

ცხუმ-აფხაზეთის მთავარეპისკოპოსმა, საქართველოს ეკლესიის საგარეო განყოფილების გამგემ ნიკოლოზმა საპასუხო სიტყვაში თქვა:

— დიდ მადლობას მოგახსენებთ საქართველოს ღირსეული შვილების ხსენებისათვის, რომლებიც დაეცნენ ბულგარეთის გათავისუფლებისათვის ბრძოლაში. დღეს, ბულგარეთის წმიდა ეკლესია, მისი წმიდა სინოდი და მათი მამამთავარი უწმიდესი მაქსიმე ლოცვა-კურთხევით აღიბევენ მათ და უგალობენ საუკუნო განსვენებას.

დიდება ბულგარეთის და საქართველოს საუკუნო მეგობრობას!

დიდება საბჭოთა კავშირის და ბულგარეთის მშვიდობისმოყვარე ხალხებს!

15 მაისს, დილით გამართულ საუსმეზე მოხდა გამოთხოვება ორ პატრიარქს შორის, რომლის დროსაც უწმიდესმა მაქსიმემ ბრძანა:

— მე მინდა დავლოცო საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მამამთავარი უწმიდესი და უნეტარესი ილია. თქვენო უწმიდესობავ, თქვენი აქტიური მოღვაწეობა ცნობილია არა მარტო საქართველოში, არამედ მთელს მსოფლიოში. თქვენმა არჩევამ ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს პრეზიდენტად განუზომელი სიხარული მოუტანა ბულგარეთის მართლმადიდებელ ეკლესიას.





სრულიად საქართველოს კათოლიკოს პატრიარქი, ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს პრეზიდენტი  
უწმიდესი და უნეტარესი ილია II და სრულიად ბულგარეთის პატრიარქი უწმიდესი მაქსიმე.





სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II, ბულგარეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ლ. პოპოვი და საბჭოთა ელჩის მოადგილე ბულგარეთში ა. ლეზინი



საქართველოს ეკლესიის დელეგაციის წევრები ცოცხალი ყვავილების გვირგვინით ამკობენ გიორგი დიმიტროვის მავზოლეუმს

გაუმარჯოს საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას!

გაუმარჯოს გმირ ქართველ ხალხს!

ბულგარეთის უწმინდეს პატრიარქ მაქსიმესთან გამოთხოვისას უწმიდესმა და უნეტარესმა ილია II ბრძანა:

თქვენო უწმიდესობავ, წმიდა სინოდის წევრებო, ძვირფასო მღვდელმსახურნო, ჩემი ხანმოკლე ვიზიტის პერიოდში განუზომლად შემაყვარა თავი მამაცმა ბულგარელმა ხალხმა, მაგრამ ჩემი გული საქართველოს ეკლესიის, რომლითაც თან მიმაქვს თქვენი ძმური სიყვარული, რათა მოწინებთ მოვიხსენიოთ იგი წმიდა ტრაპეზის წინაშე, სადაც დაკრძალულია კვართი ჩვენი მხსნელის და

უფლის იესო ქრისტესი, სადაც ინახება ღვთისმშობლის ბოძებული ჯვარი წმიდა ნინოსი.


გამგზავრების წინ ვლოცავ თქვენს უწმინდესობას, წმიდა სინოდის წევრებს, მთელს ბულგარელ ხალხს!

გაუმარჯოს ჩვენს სიყვარულით აღჭურვილ მეგობრობას!

გაუმარჯოს საბჭოთა საქართველოს და ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის მტკიცე კავშირს!

15 მაისს, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმიდესი და უნეტარესი ილია II და მისი თანმხლები პირნი ქ. სოფიიდან მოსკოვში ჩამოვიდნენ.

ვაისკოვოსი აფაროსი



# ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს პრეზიუმენტის ილია II ვიზიტი ქენევაში

1979 წლის 10—16 სექტემბერი

საქართველოს ეკლესიის ოცსაუწევანი ისტორიის მატანეში კიდევ ერთი ახალი ქრონიკა აღინუსხა. საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის დღეგაცა, რომელსაც ხელმძღვანელობდა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმიდესი და უნეტარესი ილია II, ამა წლის 10—16 სექტემბერს ეწვია მსოფლიო ეკუმენურ ცენტრს ქალაქ ქენევაში, სადაც მიმდინარებდა ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს აღმასკომის სხდომა.

ეს იყო ილია II პირველი ოფიციალური ვიზიტი ეკლესიათა მსოფლიო საბჭოში, როგორც ამ საბჭოს პრეზიდენტისა.

გზად მიმავალმა საქართველოს ეკლესიის დღეგაცამ მონაწილეობა მიიღო მოსკოვისა და სრულიად რუსეთის უწმიდესი პატრიარქის, პიმენის ანგელოსის დღისადმი მიძღვნილ ღოცვაში. უწმიდესმა პატრიარქმა პიმენმა, უწმიდესისა და უნეტარესის ილია II პატივსაცემად გამართა სადილი, რის შემდგომ საქართველოს ეკლესიის დღეგაცა შევიცარიაში გაემგზავრა.

ქენევის აეროპორტში ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს პრეზიდენტს, კათოლიკოს-პატრიარქს ილია II დახვდნენ: ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს გენერალური მდივანი დოქტორი ფილიპ პოტერი, ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარე, კანადის მთავარეპისკოპოსი ელვარდ სკოტი, გენერალური მდივანი მოადგილე — ტოდორ საბევი, მსოფლიო პატრიარქის წარმომადგენლები, მიტროპოლიტები დამანსკინოსი და ემელიანოსი, რუსეთის საპატრიარქოს წარმომადგენელი ეკლესიათა მსოფლიო საბჭოში, პროტობრევიტერი ვიტალი ბოროვოი და, აგრეთვე, მსოფლიოს ქრისტიანული ეკლესიების წარმომადგენლები.

ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს ხელმძღვანელობამ დიდ სააქტო დარბაზში საზეიმო მიღება გაუმართა თავის ღირსეულ პრეზიდენტს ილია II. მიღებაზე სიტყვები წარმოთქვეს დოქტორმა პოტერმა და ილია II, რის შემდეგ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს საუკრძად გადასცა იქნის მაცხოვრის ქედური ხატის ასლი, რამაც დიდი მოწონება დაიმსახურა.

აღმასკომის სხდომები მიმდინარეობდა მსოფლიო საბჭოსა და ბოხეს სახელობის ინსტიტუტის შენობაში. სხდომებს შორის შუალედში კათოლიკოს-პატრიარქი ილია II ხვდებოდა სასოციალისტური წარმომადგენლებს მათივე თხოვნით და მქონდა მათთან საუბარი. მათ შორის ყველაზე ამაღლებული იყო პარზის წმ. ნინოს სახელობის მართლმადიდებელი ქართული ეკლესიის წინამძღვრის, დეკანოზ ილია მელიას და საზღვარგარეთ მცხოვრებ ქართველების შეხვედრა საქართველოს ეკლესიის საქეთმშურობელთან, რომლის დროსაც ბევრი ცრემლი დაიღვარა და მრავალი კეთილი სიტყვა წარმოთქვა დედა-საქართველოს მიმართ.

შევიცარიაში ყოფნისას ილია II შეხვდა სსრ კავშირის დაბლობპატრიარქის მისიის ხელმძღვანელს გაერთიანებული ერების ასამბლეაში ზოია მირონოვას აგრეთვე, სსრ კავშირის გენერალური კონსულს ქალაქ ქენევაში ოროლოვს, ქალაქ ქენევის მერს, ქენევის კანტონის პრეზიდენტსა და სხვა ოფიციალურ პირებს.

კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II მსოფლიოს საპატრიარქოს მართლმადიდებლურ ცენტრში — შამბეში მოაწყო ოფიციალური მიღება, რომელსაც ესწრებოდნენ ეკლესიათა მსოფლიო

საბჭოს ხელმძღვანელობა და მსოფლიოს ქრისტიანული ეკლესიების წარმომადგენლები. ვიზიტის დასასრულს ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს გენერალურმა მდივანმა დოქტორმა ფილიპ პოტერმა საქართველოს ეკლესიის დღეგაციის საპატივსაცემოდ გამართა საზეიმო სადილი, რომელზედაც მოწვეულნი იყვნენ: ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს ხელმძღვანელები, აღმასკომის წევრები, სხდომის მონაწილეები და მსოფლიოს ქრისტიანული ეკლესიების წარგზავნილები. სადილს ესწრებოდნენ აგრეთვე: ქენევის მერი, ქენევის კანტონის პრეზიდენტი, სსრ კავშირის დიპლომატიური მისიის ხელმძღვანელი გაერთიანებული ერების ასამბლეაში ზ. მირონოვა, მეცნიერები, ლიტერატურის, ხელოვნების და პრესის წარმომადგენლები.

სადილზე ვრცელი სიტყვა წარმოთქვა ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს პრეზიდენტმა კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II, რამაც დამსწრეთა ცხოველი ინტერესი გამოიწვია. ეს იყო მოწონება აღამანთა შორის ურთიერთსიყვარულისა, რამეთუ მოყვანისადმი ჭეშმარიტ სიყვარულს შესწევს უნარი, მოუპოვოს კაცობრიობას მშვიდობა, კეთილდღეობა და ნათელი მომავალი.

დამთავრდა კეთილი ნების ვიზიტი, რომელმაც ერთხელ კიდევ ცხადყო საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ცხოველყოფილობა და შრომისმოყვარე საქმიანობა თანამედროვე საზოგადოებაში.

## სიტყვა წარმოთქმული მსოფლიო ეკლესიათა საბჭოს პრეზიუმენტის ილია II მიერ

ვიზიტი და ქრისტეს მიერ საყვარელი ძმანი და დანა!

ფრთხილად ამაღელვებელი იმ თბილმა მიღებამ და მისაღებად, რომელიც ჩვენს პატივსაცემად იქნა წარმოთქმული. უღრმეს მადლობას მოგახსენებთ! ჩემი პირველი ვიზიტი მ. ე. ს. ეკუმენურ ცენტრში და ჩემი, როგორც პრეზიდენტის, პირველი გამოხვედრა მინდა დავიწყო წმიდა მოციქული პავლეს სიტყვებით:

„რათა მოგცეს თქვენ (უფალმა) სიამაღლისაგებ დიდებისა მისისა, ძალითა განმტკიცებდეს სულითა მისისა შინაგანსა კაცსა, სიყვარულითა დამტკიცებულნი და დაფუძნებულნი, რათა შეუძლოთ წარწევნად ყოველთა თანა წმიდათა, რა-იგი არს სიგრძე და სიგრძე, სიმაღლე და სიღრმე...“ (ეფესელთა 3. 16, 18).

მე ვფიქრობ, რომ ჩვენ მოწოდებულნი ვართ ჩვენი მოღვაწეობის სწორედ ასეთი ფართო გაგებისთვის. ამით ხელმძღვანელობს მ. ე. ს. და ალბათ ამიტომაც მიღწეული საგარეო შედეგებიც. ჩვენს საუკუნეში სხვადასხვა საზღვრების ადამიანები უფრო და უფრო ხშირად შეიგრძნობენ თავს ერთი შემოქმედის — ზეციური მამის შვილებად და ვაკაცურად სძლევენ რა საუკუნეების მანძილზე შელოცვნილ შექმნილ წინააღმდეგობებს, ისწავიან ურთიერთდახლოებისაკენ. ყოველივე ეს ჩვენში ამტკიცებს სასაბჭოში ნაანდობევი სანატრელი ერთიანობის მოხსენიების იმედი (იოანე 17. 22).





სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, მსოფლიო ეკლესიათა საბჭოს პრეზიდენტი, უწმიდესი და უნეტარესი ილია II და მისი თანხლები პირნი ჟენევის აეროდრომზე.



უწმიდესი და უნეტარესი ილია II გამოსვლა ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს სხდომაზე ქ. ჟენევაში.



უწმიდესი და უნეტარესი ილია II საპატრიარქოში გამართულ მიღებაზე. მარცხნიდან მარჯვნივ: მთავარეპისკოპოსი ნიკოლოზი, ილია II და საბჭოს გენერალური მდივანი ფილიპ ბოტიერი

წარსული წლების მანძილზე ეკუმენურმა მოძრაობამ საკმაოდ საფუძვლიანად შეისწავლა ის თეოლოგიური პრობლემები, რომლებიც გვიყვანს და გვაერთიანებენ ჩვენ. დადგა დრო, როდესაც უფრო ღრმად უნდა ვიფიქროთ ჩვენი ერთიანობისაკენ მიმართულ პრაქტიკულ ღონისძიებებზე.

სასულიერო-თეოლოგიური და პრაქტიკული გამოცდილებით ურთიერთგამდობების გზით უფრო ეფექტური უნდა გავხადოთ ჩვენი ერთობლივი მსახურება ქვეყნად, რომელიც მიმართულია სეკულარიზებული და არაქრისტიანული სამყაროს წინაშე. ამით შევქმნით ანა მსოფლიო ჩვენი ქრისტიანული მასობრივობის (მოქმედების) ზნეობრივი ავტორიტეტის ამაღლებას, არამედ დავესამაგრებთ დედამიწაზე მშვიდობის, სამართლიანობის და თავისუფლების საფუძვლების განმტკიცებას.

დამატებით, შემოქმედი ქვეყნისა, ზრუნავს მთელს კაცობრიობაზე. მისი სიყვარული ყველას ეფინება. ამიტომ ჩვენ სხვა რელიგიის ანდა სულაც ურწმუნო ადამიანებს წინაშე და ქრისტიანობისთვის დამახასიათებელი თავმდაბლობით უნდა მივუტანოთ სიყვარულის სახარება.

მიმოვიხილოთ რა მთელს განვიღო გზას, ვხვდებით კითხვას: საკმარისად ეფექტური იყო თუ არა ჩვენი საქმენი და სურვილები წარსულში? იმავე კუროსით და ტემპებით უნდა ვიაროთ თუ არა მომავალში? ვფიქრობ აზრებთ ჩვენ-თავანს ეჭვი არ ეპარება, რომ უნდა ვვიყოთ ახალი-გზები, ახალი ადამიანები ახალი იდეებით.

დღეს საკმარისი არაა იყო ღვთისმეტყველი, უნდა იყო სოციოლოგიც, ეკუმენისტიც, გულმხურვალედ მქადაგებელიც და „ფსიქელი“ რეალისტიც. თუ გვინდა დაახლოება, ჩვენ თვითონ უნდა ვიქცეთ სიღად ადამიანური აზროვნების სხვადასხვა ფორმების შორის, სხვადასხვა რელიგიური და კულტურული ტრადიციების მქონე ადამიანებს შორის. მ. ე. ს. მისია, ისევე როგორც ყოველი ეკლესიის მისია, უნდა განსწორდებოდეს ორი ძალის შედეგით: ღვთიური ძალის — სულიწმიდის მადლით, და ადამიანურის — ყველა ქრისტიანის თავისუფალი და კეთილი ნებისყოფით.

მე ისევ ვუბრუნდები იმას, რომ დროა ვიფიქროთ პრაქტიკულ ნაბიჯებზე. ერთ-ერთი პირველი ნაბიჯი უნდა იყოს ურთიერთდასწრება ჩვენს ღვთისმსახურებებსა და ქადაგებებზე. ეს მოსაზრება არაკეთილგანწყობილებას და სულიერად გაამდიდრებს ჩვენს შინაგან სამყაროს. ეკუმენური მოძრაობის პატრიარქმა ჯონ მოტმა ერთხელ ბზბანა: „არ არსებობს უფრო ეკუმენური მსახურება, ვიდრე მართლმადიდებლური ღიღინა“. ეს მას შეეძლო ეთქვა მსოფლიო იმით, რომ იგი აქ გზმნიობდა განუყოფელი ქრისტიანობის სულს.

მე კვლავ მოგესალმებით ქრისტესმეორე სიყვარულით. მჯერა, რომ ქრისტეს ნათელი განცანათლებს და გაგვერთიანებს ყველას. უნდა მივაღწიოთ იმას, რომ ჩვენ ყველამ ვიცხოვროთ ერთი სულით და ეს სული უნდა იყოს სული ქრისტესი, რამეთუ მისგან და მის მიერ და მისა მიმართ არს ყოველი. მისა დიდება უკუნითი უკუნისამდე. ამინ“ (რომაელთა. 11. 36).

მიხეილ თარხნიშვილი  
საპატრიარქოს რეფერენტი.

# საქართველოს ეკლესიის სწავლების განხილვა

მეორე განხილვა

×  
1979 წლის 10 ივნისს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმიდესმა და უნეტარესმა ილია II სიონის საპატრიარქო ტაძარში აღასრულა სული წმიდის გარდამოსვლის-სულთმოფენობის დღისადმი მიძღვნილი საღმრთო-სადღესასწაულო ლიტურდია.

×  
11 ივნისს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმიდესმა და უნეტარესმა ილია II თბილისის სამების ეკლესიაში აღასრულა სამების დღისადმი მიძღვნილი საღმრთო-სადღესასწაულო ლიტურდია.

×  
17 ივნისს სიონის საპატრიარქო ტაძარში ჩატარდა საკვირაო საღმრთო-სადღესასწაულო ლიტურდია, რომელიც მიძღვნა საფრანგეთის მართლმადიდებელი ეკლესიის, კორსუნის ეპისკოპოსის პეტრე რულიეს ჩამოსვლას საქართველოში. ლიტურდიის აღსრულების შემდგომ საპატრიარქო სტუმარს სიტყვით მიმართა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა უწმიდესმა და უნეტარესმა ილია II. მან ხაზი გაუსვა იმ ფაქტს, რომ პარიზში არსებული წმ. ნინოს სახელობის ქართული მართლმადიდებელი ეკლესია იყო საქართველოს უძველესი დედა-ეკლესიის განუყოფელი ნაწილი და ასეთად რჩება.

საღმრთო-სადღესასწაულო ლიტურდიის აღსრულებისას კათოლიკოს-პატრიარქის თანამწირველნი იყვნენ: საფრანგეთის კორსუნის ეპისკოპოსი პეტრე რულიე, მთავარეპისკოპოსი იოანე, ეპისკოპოსი დავითი.

×  
2 აგვისტოს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმიდესმა და უნეტარესმა ილია II სიონის საპატრიარქო ტაძარში აღასრულა ილია წინასწარმეტყველის ხსენების დღისადმი მიძღვნილი საღმრთო-სადღესასწაულო ლიტურდია. ლიტურდიის დამთავრების შემდგომ ილია II მღვდელთმთავრებისა და მრავალრიცხოვანი მრევლის თანხლებით აღვიდა მთაწმიდის ქართველ მოღვაწეთა პანთეონში, სადაც ილიას საფლავზე გადაიხადა პანაშვიდი.

საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა დააკანონა, რომ ყოველ წელს, 2 აგვისტოს ახალი სტილით, საქართველოს სამოციქულო ეკლესია ილია ჭავჭავაძის საფლავზე გადაიხდის პანაშვიდს.

×  
3 დეკემბერს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმიდესისა და უნეტარესის ილია II ლოცვა-კურთხევით გაიმართა კათოლიკოს-პატრიარქის, კალისტრატეს (ცინცაძის) წმიდანად შერაცხვის მოსამზადებელი კომისიის პირველი სხდომა.



კათოლიკოს-პატრიარქი კალისტრატე  
(ცინცაძე) (1932—1952).



## ი მ ა მ ე

1979 წლის 10 ივნისს, სულიწმიდის გარდამოსვლის დღეს, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმიდესმა და უნეტარესმა ილია II მთავარეპისკოპოსის ხარისხში დაადგინა წილკნელი ეპისკოპოსი თადეოზი.



მთავარეპისკოპოსი თადეოზი

19 ივლისს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II ნაყოფიერი მუშაობისათვის ოქროს ჯვრით დააჯილდოვა მესხეთ-ჯავახეთის ეპარქიის მკვიდრი, ახალგაზრდა მღვდელი სტეფანე ნადირაძე.

22 ივლისს, თბილისის სიონის საპატრიარქო ტაძარში სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II დიაკონის ხარისხში აკურთხა ინგილო მოსე ოთარაშვილი. მოსე ოთარაშვილი გამოირჩევა განსაკუთრებული ღვთისმორწმუნეობით, თავმდაბლობით და საქმისადმი ერთგულებით.

ჩვენი უფალი და მაცხოვარი იესო ქრისტე შეეწიოს ახალგაზრდა დიაკონს მოსე ოთარაშვილს დიდად საპატიო საქმეში.

26 აგვისტოს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II სიონის საპატრიარქო ტაძარში მოსე ოთარაშვილი მღვდლად აკურთხა.



მღვდელი მოსე ოთარაშვილი

30 სექტემბერს, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II სიონის საპატრიარქო ტაძარში დიაკონად აკურთხა ომინდე კორძაია, მინიჭა მას სასულიერო სახელი — იოანე და გაგზავნა სამოღვაწეოდ ლენჩუმ-სვანეთის ეპარქიაში.

30 სექტემბერს ილია II სიონის საპატრიარქო ტაძარში ქუთათელ-გენათელ მთავარეპისკოპოსის შიოს მინიჭა მიტროპოლიტის წოდება.



მიტროპოლიტი შიოს

**სრულიად საქართველოს კათოლიკოს-  
პატრიარქმა, უწმიდესმა და უნეტარესმა  
ილია II მიიღო:**

1979 წლის 21 ივნისს დასავლეთ გერმანიის გაზეთ „რეინშიშე პოსტ საარბრიუენის“ კორესპონდენტები.

X

24 ივლისს ირლანდიელ კათოლიკეთა „იესოს საზოგადოების“ წევრთა დელეგაცია:

X

24 ივლისს ფრანგ ქრისტიანთა დელეგაცია კათოლიკე მღვდლების რენე ჟენარის, პატონ ჟან კლოდეს და გოდენის მეთაურობით,

X

27 ივლისს საფრანგეთის საერთაშორისო სავაჭრო ბანკის პრეზიდენტი, ბ-ნი ფრანსუა ჟისკარ დ სტენი და მისი თანმხლები პირები.

X

8 აგვისტოს ამერიკის შეერთებული შტატების მართლმადიდებელ ქრისტიანთა დელეგაცია ნიუ-იორკის სასულიერო აკადემიის ინსპექტორის, მამა პავლე ლაზარის და პიტსბურგის წმ. იოანე ნათლისმცემლის სახელობის ტაძრის წინამძღვრის, დეკანოზ პავლე ზიატკის მეთაურობით.

X

9 აგვისტოს დანიის გაზეთის „აქტუ ელტის“ თანამშრომლები,

X

12 აგვისტოს იტალიელ კათოლიკე-ეპიმთა დელეგაცია რომის პაპის იოანე-პავლე II სპეციალური წარმომადგენლის მეთაურობით, რომელმაც რომის პაპის ვიტილას სამახსოვრო ოქროს მედალი გადასცა უწმიდესსა და უნეტარეს ილია II,

X

16 აგვისტოს ამერიკის შეერთებული შტატების წმ. ვასილის ფონდის წევრთა დელეგაცია ბ-ნ ტარსარისა და ქ-ნ მაიკლ რობაის ხელმძღვანელობით.

X

25 აგვისტოს ამერიკის შეერთებული შტატების წმ. ვასილის სახელობის საქველმოქმედო ფონდის წევრთა დელეგაცია, რომელთა მოღვაწეობა ძირითადად ხელს უწყობს ამერიკის მართლმადიდებელი ეკლესიის განმტკიცება-გაძლიერების საქმეს,

X

26 აგვისტოს ფრანგ კათოლიკეთა და პროტესტანტთა დელეგაცია 25 კაცის შემადგენლობით, რომელსაც ხელმძღვანელობდნენ მღვდელმსახურნი: რენე ჟერონი, ჟან კლოდე, გიდენი და მარტინი,

X

30 სექტემბერს კანადის უდიდესი გაზეთის „ტორონტო სტარის“ რედაქტორი ბ-ნი ჯერალდ ატდინგი,

X

16 ოქტომბერს ცნობილი ფრანგი ქართველოლოგი, აბატი ბერნარ უტიე და საუბარი ჰქონდა მასთან უცხოეთში დასტამბულ ქართულ სასულიერო გამოცემათა ირგვლივ;

X

24 ოქტომბერს სომეხთა ეპისკოპოსები კომიტასი და გევორჯი, რომელთაც ესაუბრა ყოველთა სომეხთა პატრიარქის ვაზგენ I საქართველოში მომავალი ვიზიტის თაობაზე,

X


16 ნოემბერს მოსკოვის სასულიერო აკადემიის უცხოელ სტუდენტთა დელეგაცია,

X

3 დეკემბერს ამერიკის შეერთებული შტატების მოსკოვის საელჩოს თანამშრომლები.



უწმიდესი და უნეტარესი ილია II და ბ-ნი ფრანსუა ჟისკარ დესტენი.



# გზავილობა ყოველთა

## ნიკოლოზი

ცხუმ-აფხაზეთის მთავარეპისკოპოსი,  
საქართველოს საპატრიარქოს ხაზარეო  
ურთიერთობათა განყოფილების თავმჯდომარე.

### ქრისტიანული საგზავილო კონფერენციის საერთაშორისო საკითხების კომისიის სხდომები თბილისში

1979 წლის 29 ნოემბრიდან 3 დეკემბრამდე ქ. თბილისში მუშაობდა ქრისტიანული სამშვიდობო კონფერენციის (ქსკ) საერთაშორისო საკითხების კომისია, რომლის დღის წესრიგში იდგა ერთი საკითხი: „ჩვენი წუთისოფელი, მისი პრობლემები და იმედები ქრისტიანული თვალსაზრისით“.

კომისიის სხდომების დაწყებამდე თვენახევრით ადრე, სახელდობრ 1979 წლის 10 ოქტომბერს საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს პრეზიდენტმა, უწმიდესმა და უნეტარესმა ილია II მიიღო ქრისტიანთა სამშვიდობო კონფერენციის წარმომადგენელი ჩეხოსლოვაკიდან — მიროსლავ მენჩიკი და მოელაპარაკა მას თბილისში დანიშნულ საერთაშორისო საკითხების კომისიის სხდომათა ჩატარების საორგანიზაციო საკითხებზე. საუბარს ესწრებოდა სსრკ მინისტრთა საბჭოსთან არსებული რელიგიის საქმეთა საბჭოს რწმუნებული საქართველოს რესპუბლიკაში — გივი მისურაძე.

29 ნოემბრისათვის საქართველოს დედაქალაქში შეიკრიბნენ ქრისტიანული სამშვიდობო კონფერენციის საერთაშორისო საკითხების კომისიის დელეგატები:

ამბროსი ნიკორწმიდელი და მარგველი ეპისკოპოსი (საქართველო).

პროფ. პ. ბეკმანი (ფინეთი).

პროფ. დოქტორი გერპარდ ბასსარაკი — ქსკ ვიცე-პრეზიდენტი (ბერლინი — გდრ)

დეკანოზი დოქტორი ფერიზ ბერკი (უნგრეთი).

გონზალეს ქასერესი (ჩილი),

გ. კუპერი (დიდი ბრიტანეთი).

პარტმუტ დრუესი (გფრ).

კლაუს ერლერი (ჩეხოსლოვაკია).

ქ-ნი მაპატ ფერან ელ კაური (სირია).

ეპისკოპოსი გევორქ სერდარიანი — სომხური ეკლესიის ეპარქიის მმართველი საქართველოში.

როლფ-დიეტერ გიუნტერი (გდრ).

იოანე — ჭყონდიდელი მთავ. ეპისკოპოსი (საქართველო).

ვიოსეჩ კენტრზინსკი (პოლონეთი).

ქორეპისკოპოსი ქრისტეფორე (საქართველო).

პროფ. ლუის კროლერი (კუბა).

დეკანოზი ელგუჯა ლოსაბერიძე (საქართველო),

მაკარი, უმანელი მთავარეპისკოპოსი.

უილფრიდ მიჩლერი (დასავლეთ ბერლინი).

მიროსლავ მენჩიკი (ჩეხოსლოვაკია).

მიქაეა გია — მცხეთის სასულიერო სემინარიის სტუდენტი (საქართველო).

ირენა მირელოვსკა (ჩეხოსლოვაკია).

დოქტორი ლუბომირ მირეკოვსკი — ქსკ გენერალური მდივანი (ჩეხოსლოვაკია).

ნიკოლოზი, ცხუმ-აფხაზეთის მთავარეპისკოპოსი (საქართველო).

პროფ. ივან პანტოვსკი (ბულგარეთი).

პროფ. როჯერ პარმენტერი (საფრანგეთი).

ეპისკოპოსი პაულოს მარ პაულოსი (ინდონეზი).

ზდისლავ პაულიკი (პოლონეთი).

პროფ. კაროლი პროლე (უნგრეთი).

ქ-ნი ლიბუზე რუზიჩკოვა (ჩეხოსლოვაკია).

ა. პ. სამარჯიუა.

პროფ., დოქტორი იოკიმ ჩუფლერი (გდრ)

სერგეი ფომინი (საბჭოთა კავშირი).

დეკანოზი გურამ შალამბერიძე (საქართველო)

სირაძე ზურაბ, მცხეთის სემინარიის სტუდენტი (საქართველო).

რობერტ სმილი (ამერიკის შეერთებული შტატები).

მღვდელი ალექსანდრე სობოლი (საქართველო).

ა. სოკოლოვი (მოსკოვი).

ბერტალამ ტამასი (უნგრეთი).

პროფ. ფრანტიშეკ ვიმეტალი (ჩეხოსლოვაკია),

დოქტორი გუნტერ უირთი (გდრ).

პიტერ ზიმერმანი (გდრ).

ეპისკოპოსის მოვალეობის შემსრულებელი ა. კოვაჩი (ჩეხოსლოვაკია).

29 ნოემბერს 17 საათზე უცხო ქვეყნებიდან საქართველოს მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საზოგადოების დიდ დარბაზში კომისიის სხდომა საზემოდ გახსნა უწმიდესმა და უნეტარესმა ილია II.

2 დეკემბრის დღის სხდომაზე ქრისტიანული სამშვიდობო კონფერენციის საერთაშორისო საკითხების



**პატივცემული სტუდენტო, კვირვასო კვირეო და  
დღე!**



მან-ს სხლომაზე სიტყვას ამბობს მთავარეპისკოპოსი ნიკოლოზი.

კომისიამ შეიმუშავა და მიიღო კომუნეკე. საღამოს რესტორან „მთაწმინდაში“ დელეგატთა პატივისცემად გაიმართა ბანკეტი, რომელზედაც საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს პრეზიდენტმა, უწმიდესმა და უნეტარესმა ილია II კომისიის მუშაობის დამთავრებასთან დაკავშირებით დელეგატებს მიმართა სიტყვით.

3 დეკემბერს დელეგატებმა დაათვალიერეს დედაქალაქის ღირსშესანიშნაობანი, იყენენ საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტსა და ხელოვნების მუზეუმში. მათ ნახეს დოკუმენტური ფილმი „საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II ინტრონიზაცია“ და მხატვრული ფილმი „ქართული საეკლესიო საგალობლები“.

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს პრეზიდენტის, უწმიდესი და უნეტარესი ილია II სიტყვა კომისიის სხდომების საზეიმო გახსნაზე:

დღეს ჩემი გული ადვსილია მრავალი გზნობით და აზრით. უბარველეს ყოვლისა მინდა გამოთქვა რდი სისარული და ჩვენი თქვენდამი უღრმესი პატივისცემა. ქსკ-ის საერთაშორისო კომისიის სხდომა ტარდება საქართველოში, სადაც ხალხი თითქმის ორი ათასი წლის მანძილზე სისხლის ფასად იცავდა ქრისტიანულ რწმენას, თავის კულტურას და ეროვნულ თვითშეგნებას. ჩვენი სამოციქულო ეკლესიის და ჩვენი ხალხის სახელით მოგესალმებით პეიზჟას სტუმრებს.

თქვენი სხდომა მიმდინარეობს იმ დღეებში, როდესაც ჩვენ ვეწინააღმდეგებოდით მშვიდობის და უფლის უღრმესი წყალობის დღესასწაულისათვის — ქრისტიანობისათვის. წინასწარმა დღეებში ჩვენ განსაკუთრებით ვფიქრობდით დღეთს განსორციელების სიყვარულის ძალაზე. დღეთს სიყვარულის ძალა ჩვენდამი განსაკუთრებით შეგიძლია ნანს იმ ფაქტთან, რომ ეს სიყვარული გამოვლინდა მაშინ, როდესაც ადამიანს, თავის ზნობაშიც მდგომარეობიდან გამოძლიანდა, არ ძალუქდა საპასუხო სიყვარული: „ესე არს სიყვარული, არა რამეთუ ჩვენ შევიუარეთ დემონი, არამედ რამეთუ მან ჩვენი შევიუარა“ (I იოანე, 4. 10).

თუ ჩვენ მივიღებთ მხედველობაში, რომ მშვიდობა არის ნორმალური დემოკრატიული წესი მსოფლიო სიცოცხლისა, თითოეული პიროვნებისა და მთელი კაცობრიობის თანდათანობითი, პიროვნული განვითარებისა, — მაშინ განსაკუთრებით გასდება ადამიანის მისწრაფება ამ დემოკრატიული კანონისაკენ. მაგრამ ადამიანს ხშირად შეაქვს დისონანსი დემოკრატიული წესობაში, რასაც სამწუხარო შედეგები მოჰყვება.

ჩვენ უნდა ვადიაროთ, რომ დღესაც არსებობს ვითარება, რომელიც ემუქრება მშვიდობას მთელს მსოფლიოში. სხვადასხვა კონტინენტებზე დღესაც ჩნდება დაძაბულობის კერები, რომელთაც შეუძლიათ საყოველთაო ომის წარმოშობა.

მთელი კაცობრიობა, მთი შორის ქრისტიანული ეკლესია, დღეს გულისხმობს მიაპრობს ისეთ აქტუალურ საკითხებს, როგორცაა: ყველა ხალხის ატომური იარაღის და მისობრივი მოსაზრების საშუალებების სრული აკრძალვა, ასეთი იარაღის წარმოების დაუკუფრებული შეწყვეტა, არსებული მარაგის მოსაზრება, სტრატეგიული იარაღის შეზღუდვა; შიმშილი, რასობრივი დისკრიმინაციის პოლიტიკა, ადამიანის უფლებათა დაცვა და ა. შ. ყველა ეს პრობლემა არსებობს და ისინი უნდა გადაიჭრას. მე გისურვებთ, რომ საერთაშორისო კომისიის სხდომის მოწყვეს მნიშვნელოვანი შედეგები, ხოლო ეს მოხდება მაშინ, როდესაც თქვენი სიტყვები და სურვილები მსოფლიო ქალაქზე არ ღაზრება.

წმიდა გბგოლ ნოსელი ამბობს: „მშვიდობა — ეს არის სიყვარულით აღსავსე განწყობილება“. ვისურვებდი, რომ ყველა ხალხები და სახელმწიფოებო შეკომპლენელობდნენ სიამბოლისა და სიყვარულის კანონებით.

და, განსორციელებულმა უფალმა ჩვენმა, მეუფემ სიამბოლისამ და მეთაურმა მშვიდობისამ დეკლარაციის თქვენი შრომა თავისი ზეცურით დოცვა-კურთხევით. ჩვენთვის პეიზჟასია სიცოცხლის და მშვიდობის აღქმა, რომელიც დღეობრივი შემოიბრუნების განსორციელებისა და გამოსყიდვის მაღლით, რეალობად იქცა. მაღლმა უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი განაპლიეროს თქვენი შემოქმედებით აზრი, რომ თქვენი სიტყვა და შრომა მშვიდობისათვის, სიამბოლისათვის და სიყვარულისათვის ცხოვრებისეულ რეალობად იქცეს.

## თანამედროვე მსოფლიო მშვიდობისა და სამართლიანობის ძიებაში\*

ქვეყნის შექმნის ღვაწლები საწყისი მშვიდობა და სიყვარულია: „და შექმნა ღმერთმა კაცი ხატად თვისად, შექმნა იგი მამაკაცად და დედაკაცად შექმნა იგინი. და აკურთხა იგინი ღმერთმა, მეტყველმან: აღორძინდით და განმრავლდით, და აღავსეთ ქვეყანა, და ეუფლუნით მას“ (შესაქმე. 26,28). ორი ათასი წელი სრულდება მის შემდეგ, რაც ბეთლემელ მწყემსებს ზეცით ჩამოესმათ ანგელოზთა ვალობა: „დიდება მალალთა შინა ღმერთისა, ქვეყანასა ზედა მშვიდობა და კაცთა შორის სათნობა“. ეს ღიალი მოწოდება მთელმა კაცობრიობამ გაიგონა, მაგრამ არცერთ ეპოქაში ხალხები-სათვის ესოდენ საჭირო არ აყოფილა იგი, როგორც დღეს, როდესაც ადამიანებმა იმდენი მომპყვნიებელი იარაღი დააგროვეს, რომელსაც ძალუქს მოსპოს სიცოცხლე დედამიწაზე. „მზე დაბნელდეს და მოოვარებან არა გამოცხეს ნათელი თვისი, და ვარსკვლავნი დამოცივდენ ზეცით, და ძალნი ცათანი შეიძრნენ“ (მთ.24,29).

**რას წარმოადგენს დღევანდელი თანამედროვე მსოფლიო?** — იგი გაყოფილია პოლიტიკურად, იდეოლოგიურად და სოციალურად. დღეს, როდესაც კაცობრიობას გააჩნია ინფორმაციის ვაკუუმის სრულყოფილი საშუალებანი, ეს დაყოფა უფრო ხელშეწყობილია... მშფოთვარე დღეებს განიცდის ჩვენი პლანეტა: დედამიწის სხვადასხვა რეგიონში კვლავ იღვრება უდანაშაულო ხალხის სისხლი; არ არის კონტინენტი შეიარაღებული კონფლიქტის, შიმშილის, ტერორისა და ადამიანთა უფლებების შელახვის გარეშე ამის ნათელი დამადასტურებელი კამპუნიული ხალხის გენოციდი, ვიეტნამ-ჩინეთის კონფლიქტი, ისრაელ-არაბეთის უთანხმოებანი, სისხლის ღვრა როდუზიაში, ოლსტერში, ალგირასშილი რასიზმი სამხრეთ აფრიკასა და ამერიკაში.

ცივილიზაციის განვითარებას თითქოს უფრო უნდა გაეკეთილშობილებინა ადამიანი, თითქოს მეტად უნდა მიეპყრო მისი შურა სულიერი საწყისებისაკენ, მაგრამ მოხდა საწინააღმდეგო: ადამიანმა ზურგი შეაქცია ქეშპირტებს და დააღვა უძლები შვილის გზას, რომელმაც მამონას სამსახური არჩია ღვთის სამსახურს; მატერიალური ღირებულებები, ეკონომიური კეთილდღეობა — სულიერ ღირებულებებზე მალა დააყენა და შვიდ მომპყვნიებელ ცოდვას

\*) სიტყვა წარმოთქმული ქ.კ სხლომაზე. იბეჭდება შემოკლებით. რედ.

შვიდი კერპი აუგო. აი, რატომ ემუქრება დღეს მშვიდობას ასეთი დიდი საფრთხე.

**მშვიდობა და სამართლიანობა** — ის ცნებებებია, რომელნიც დამოკიდებული არიან ერთი-მეორისაგან: დაცულია სამართლიანობა, დაცულია მშვიდობაც; დაირღვა სამართლიანობა, დაირღვა მშვიდობაც. ვისაც წყურია მშვიდობა, ის გადაქრით უნდა გაემიჯნოს სამართლიანობის დარღვევას. ჩვენ ვიცით, რომ უზენაესი მოსამართლე ღმერთია თავად, მაგრამ მისმა შეუშტდარმა ნებამ აღამიანესაც მოგვმალა ნიჭი სამართლიანობისა და უფლება, ვიყოთ მოსამართლენი ჩვენს მიწიერ საქმეებში.

კენში თუ ვერ აინთო სამართლიანობის ნიჭი და მასში იფეთქა შურიანობის სისხლიანმა ღვარძლმა, ეს იყო ადამიანზე ღვთისაგან მიმდღებელი თავისუფლების ბოროტად გამოყენების პირველი დღე. სამწუხაროდ, ეს პირველი დღე ვერ გახდა იმისი მაგალითი, რომ ადამიანს შეეგნო და ცდილობო, თავისი განსჯა, თავისი სამართალი დაეახლოვებინა ღვთიურ სამართალთან.


როდესაც დედამიწას მოველინა ჩვენი უფალი და მხსნელი იესო ქრისტე, მისმა ჭეარკმამ და მკვდრეთით აღდგომამ უღაო და ხელშეისახები გახადა ადამიანის უკვდავება და ნათელი მარადიულობისა. ამის შემდეგ თითქოს აღმასვლით უნდა წარმართულიყო ადამიანთა, საზოგადოებათა და სახელმწიფოთა ურთიერთობანი; მაგრამ აუკარად ებრძოდა ბოროტება სიკეთეს, არ ისვენებდა კანის-ეული შური, სიხარბე. სიძულვილი და ეროვნული ანტაგონიზმი თითვდა სიკეთისა და სიყვარულისათვის ღვთისაგან ერთი უფლებით გაჩენილ ადამიანებს.

განშორების ესამ მაცხოვარმა თავის მოწაფეებს დაუბარა: „მშვიდობასა დაგიტევებ თქვენ...“ (იოანე, 14,27), რომელ მშვიდობას გულისხმობდა იგი? — ცხადია, საღვთო მშვიდობას, ღვთის გზაზე დამდგარი ადამიანის სულში დავანებულს, რამეთუ ღვთის გარეშე მშვიდობა არ არსებობს.

ქრისტიანული ევროპისა და მამადიანური აზიის გზაჯვარდინზე მდებარე საქართველომ უამრავი მსხვერპლი გაიღო ქრისტეს-მიერი მშვიდობისათვის. ღვთის წინაშე მეოხად გვევანან წმიდანებად შერაცხული მამულიშვილები: ჭეღალ ედღინის მიერ 100 000 თავმოკვეთილი ქართველი; ქრისტეს ბრწყინვალე აღდგომის დამეს გარეჯის მონასტერში ამოწყვეტილი 6000 ბერი; ფრეიდანში გადა-



ქსე სხლომის პრეზიდენტში.



სახლებული 300 000 ქართველი; ძუძუებდაზნაღი ქართველი წამებული ღვთაული ქეთევანი; შალვა, ბიძინა და ელიზბარ ერისთავები; კონსტანტინე და დავით მხეიძეები... და ვინ მოთვლის კიდევ რამდენი ეწაა ღვთისა და მოყვასის სიყვარულისათვის, მშვიდობისა და სამართლიანობისათვის. ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყნის შვილები სიციხის ფასად ინარჩუნებდნენ და გადასცემდნენ შთამომავლობას ცხოველყოფელ ჭვარასა და იმ წმიდა მიწას, სადაც დაფლულია კვართი უფლისა.

ჩვენ, ქრისტიანებს, შეგნებული გვაქვს, რომ მშვიდობა და სამართლიანობა ჩვენი შინაგანი მრწამსია. ეს რწმენა მამა-პაპათაგან მოგვდგამს ქართველებს და მისთვის სიციხის გაცემა მიგვაჩნია ჩვენი მხსნელი იესო ქრისტეს მიერ კაცობრიობისათვის ნაბოძები მშვიდობისა და სამართლიანობის უწყვეტი გზის გაგრძელებად.

ჩვენ, ქრისტიანებმა, ვიცით, რომ მშვიდობა არ არის მხოლოდ ზეთისხილის რტოთა ხელში დაჭერა. ღვთის განგებამ ადამიანი მიიყვანა იმ საზღვრამდე, როდესაც აღარ შეიძლება ცეცხლთან თამაში. ცეცხლთან თამაში შეიძლება ადამიანის ცოდვიან სიციხეს, როდესაც ცეცხლი ჭოხის ჭოხზე გახახუნებით ჩნდებოდა, მაგრამ როდესაც იგი ატომის ატომზე გახახუნებამ უნდა გააჩინოს, აქ უკვე თამაში აღარ შეიძლება; და თუ მაინც ეთამაშებიან ასეთ საბედისწერო საქმეს, ქრისტიანობის წმიდათა წმიდა მოვალეობაა, ღვთიერობისა და გონიერებისაკენ მოუწოდოს ცოდვიანობის ბოროტ თავდავიწყებას. თითქოს გზაზე ჩვენ დასაყენებლად დაწერა წმიდა მოციქულმა პავლემ: „უწყით, რამეთუ ქირი მოთმინებასა შეიქმს, ხოლო მოთმინებაი — გამოცილებასა, ხოლო გამოცილებაი — სისოებასა“ (რომ. 5.3—4); ე. ი. გამოვიცადოთ, გამოვიბრძმდეთ, სისოება მოვიკრიბოთ, რათა: „ღმერთმან სისოებისამან აღგვეცენინ თქვენ ყოვლითა სიხარულითა და მშვიდობითა“ (რომ. 15, 13).

**ქრისტიანული რწმენა და სიყვარული — მშვიდობისა და სამართლიანობის საფუძველი!** ყველამ, ვისაც სურს ლაპარაკი ქრისტიანობის სახელით, უნდა აღიაროს ქრისტეს გზა. ხოლო ქრისტეს გზა გოლგოთაა, რომელიც დიდი სიყვარულით მთავრდება. ჩვენ შეგვეყვარა ღმერთმა, რათა ჩვენც გვიყვარდეს ერთმანეთი: „რამეთუ განფენილ არს გულთა შინა ჩუენთა სულითა წმიდითა, რომელი — იგი მოციქულ არს ჩუენდა“ (რომ. 5, 5). ეკლესია ისტორიულად ფლობს ადამიანის აღზრდის მრავალ საშუალებას, რომელთაგან ერთ-ერთია ეს დამოწმება წმიდა სახარებიდან: „და შეიხსენით

ფერხთა თქუნთა განმზადებულებანი სიხარბისა მის მშვიდობისაი... და ჩაფხუტი იგი ცხოვრებისაი დაიდგით და მახვილი იგი სულითაი, რომელ არს სიტყუაი ღმრთისაი“ ისინი თესენ მშვიდობას, როგორც შორეულთა ისე მახლობელთა შორის (ეფეს. 6:2,5,17). მოყვასის სიყვარული — ეს არის ერთადერთი გზა დედამიწაზე მშვიდობის დასამკვიდრებლად და კაცობრიობის გადასარჩენად: ადამიანებს ურთიერთსიყვარული მოუპოვებს ერთმანეთისადმი ნდობას, ხოლო ნდობა მშვიდობას დაედება საფუძვლად, მშვიდობა კი თავისთავად შეიცავს სამართლიანობას. სამი საღვთისმეტყველო სათნოებიდან პეტრე მოციქული გამოარჩევს სიყვარულს და დაბეჭდვით ამბობს — „ხოლო აწ ესერა პეტის: სარწმუნოებაი, სისოებაი, და სიყვარული, სამი ესე; ხოლო უფროის ამათსა სიყვარული არს“ (I კორინთ. 13,13).

დღეს, როდესაც ადამიანები ყოფნა-არყოფნის არჩევანის წინაშე დგანან, რწმენასა და სიყვარულს ვანუზომელი მნიშვნელობა ენიჭება. ქრისტიანული რწმენა და სიყვარულია მიზეზი ყოველი სიკეთისა, რომელთა დაჩლუნგებას შეიძლება მოჰყვეს საბედისწერო შედეგები. პირველი ასეთი შედეგი იყო ქვეყნის შემოქმედის მიერ ადამისა და ევას სამოთხიდან განდევნა. თუ როგორი იქნება ბოლო შედეგი, ამას ნათლად მიგვანიშნებს საბჭოთა კავშირისა და ამერიკის შერთებული შტატების ეკლესიათა ერთობლივი განცხადება, რომელშიც ამაღლელებად არის ნათქვამი: „ქმანო და დანო, თქვენს ყურადღებას მივაქცევთ ავტორიტეტულ წინასწარმეტყველებას, რომ 1990-იანი წლებისათვის თერმობრივული ომი მოსალოდნელი გახდება. ამ მეტად სარისკო ათწლეულში ჩვენ ვუახლოვდებით ჩვენი ათასწლეულის დასასრულს, ... როდესაც ჩვენ მოწოდებულნი ვიქნებით ლოცვით აღვნიშნოთ ჩვენი უფლისა და მხსნელის, იესო ქრისტეს დედამიწაზე მოსვლის ორი ათასი წლისთავი... როგორ შევხვდებით ამ დღეს?“

პირველ საუკუნეში გაისმა იოანე ნათლისმცემლის მოწოდება: „შეინანეთ, რამეთუ მოახლოებულ არს სასუფვეელი ცაია“. განკაცებულმა ღმერთმა იხსნა მამის ჩვენი წუთისოფელი. მაცხოვარმა გვასწავლა ცოდვათა ჩვენთა გამოსყიდვა. სინანული და ცოდვათა გამოსყიდვა იხსნის დღევანდელ კაცობრიობას მოსალოდნელი ატომური კოშმარისაგან. ლოცვა და სისოება ღვთისა მიმართ — აი, ქვეყნის მხრები გზა მშვიდობისა და სამართლიანობისაკენ. ის, რაც პაველ მოციქულმა უთხრა ფილიპელებს, შესაძლოა მოეცა კაცობრიობის



მისამართით ითქვას: „ნურარას ზრუნავთ, არამედ ყოველითა ლოც-  
ვითა და ვედრებითა მადლობით თხოვანი ეგე თქუენნი საცნაურ  
იყვენე ღმრთისა მიმართ. და მშვიდობიან ღმრთისაგან, რომელი  
ჰმატს ყოველთა გონებათა, შეზღუდენნი გულნი თქუენნი და გო-  
ნებანი ქრისტე იესოს მიერ“ (ფილიპ. 4.6—9); ე. ი. ღმერთი მშვი-  
დობისა მაშინ იქნება ჩვენთან, თუ ჰეშმარტად ვივლით ქრისტეს  
მოციქულთა გზით. გალატელთა მიმართ ეპისტოლეში პავლე მო-  
ციქული ბრძანებს: „ხოლო ყოველი სჯული ერთითა სიტყვითა  
აღსრულებს: შეიყუარო მოყვასი შენი, ვითარცა თავი თვისი“  
(5.14). უფლისაგან რომ მშვიდობა მივიღოთ, უნდა ყოველდღიურ  
ცხოვრებაში აღვასრულოთ პეტრე მოციქულის მიითება: „მოიცი-  
თხვედით ურთიერთას ამბორის-ყოფითა სიყუარულისათა, მშვი-  
დობაი თქუენდა, ყოველნი, რომელნი ხართ ქრისტე იესოს მიერ.  
ამინ“ (I პეტრე, 5.14).

**ურთიერთობა და მშვიდობიანი თანარსებობა.** ბიბლიური სი-  
ტყვა „შალომი“ ნიშნავს არა მხოლოდ „შეთანხმებას“, რომელიც  
საშუალებას იძლევა იცხოვრო მშვიდად — მშვიდობიან დროს, არა-  
მედ იგი ნიშნავს აგრეთვე კეთილდღეობას — ყოველდღიურ არსე-  
ბობაში; ე.ი. გამოხატავს ადამიანის მდგომარეობას, მცხოვრებს  
პარმონიულად ბუნებასთან, მოყვასთან, თავის თავთან და ღმერთ-  
თან.

ვინც მშვიდობის საფუძვლად თვლის გამაღებულ შეიარაღებას,  
ცდილობს მთელი მსოფლიოს სამხედრო ბლაკებად დაყოფას, —  
ის ცრუ და კერბთაყვანისმცემლური იმედების მქონეა. ასეთია  
შექმნილი ვითარების უბრალო ლოგიკა.

მეთოხედი საუკუნის განმავლობაში ორი მსოფლიო ომი და ისევ  
ფიქრები ახალ ომზე.

ნერვების წიწკნა-გლეჯა, ფარული „ცივი ომის“ ფსიქიკური  
დაძაბულობა გაძლიერდა. სად არის გამოსავალი ამ ქაოსიდან? —  
ისევ მსოფლიო ომი? მაგრამ თანამედროვე შეიარაღების პირობებ-  
ში ვინ გამოვა გამარჯვებული ასეთი ომიდან? — ცხადია, ცოდავსა  
და ბორბტებას დარჩება გამარჯვება.

შეუმცდარმა სამართალმა შთააგონა ადამიანს .ერთადერთი გა-  
მოსავალი — მშვიდობიანი თანარსებობა. მოსწონს ვინმეს ასეთი  
თანარსებობა, თუ არ მოსწონს, — ეს მდგომარეობას ვერ შეცვ-  
ლის, რადგანაც სხვა გონივრული გზა არ არსებობს. დარწმუნებუ-  
ლი ვართ, რომ მსოფლიო ქრისტიანული ეკლესიები, ძალების დიდი  
დაძაბვის შედეგად, შეძლებენ გაატარონ ცხოვრებაში მშვიდობიან  
თანარსებობა და ძმათა სიყვარულის პრინციპი, რომლისკენაც  
მოგვიწოდა უფალმა ჩვენმა იესო ქრისტემ: „გვიყვარდეს მოყვასი  
შენი, ვითარცა თავი შენი“. სწორედ ამიტომ, ქრისტიანულმა ეკლეს-  
იებმა თავიანთი აქტიური მოღვაწეობითა და ევანგელიზაციის  
გზით უნდა ამრავლონ ხალხთა შორის სიყვარული.

**კონკრეტული გზები:** ყოველმხრივად ინფორმირებულ და გა-  
თვითცნობიერებულ თანამედროვე ადამიანს უფრო ღვთაებობისა-  
კენ მიუძღრთავს მზერა და აღტაცებას ვერ ფარავს, როდესაც ღვთი-  
ური სამართლიანობით წყდება მსოფლიოს სასიცოცხლო პრობლე-  
მები; ქრისტიანულ სამყაროს მიანიძის, რომ განიარაღების მიღწევას

ხელს უშლის სახელმწიფოთა მცდელობა უპირატესი პირობების  
შენარჩუნებისა. მთელი სიბრძნე ბიბლიისა გადმოცემულია სრულიად  
უბრალოდ, მარტივად და გაურთულებლად. ასეთი ბიბლიური სისა-  
დავით უნდა იმსჯელონ და იმოქმედონ ყოველი სახელმწიფოთა-  
შორისო მოლაპარაკების მონაწილეებმა, მხოლოდ მაშინ აღსრულ-  
დება წმიდა ესაიას წინასწარმეტყველება და მახვილი გადაკეთდებ-  
ა სახნისად. ამ დიდ საქმეში უდიდესი ნაბიჯი იყო ჰელსინკის ხელ-  
შეკრულება, რომელმაც ცხოველყოფილი როლი შეასრულა მშვი-  
დობისა და სამართლიანობის განმტკიცებაში. ყოველივე ამის აღს-  
რულება ხომ რეალური და ხელშესახები საქმეა, თუკი ამას მოინ-  
დომებენ ისინი, ვიზუდაც არის პასუხისმგებლობა ღმერთისა და  
ხალხის წინაშე.

ჩვენ, ქრისტიანებს, მთელი სიცხადით გვაქვს შეგნებული ჩვე-  
ნი პასუხისმგებლობა საერთაშორისო მშვიდობის ბედისადმი, რის  
გამოც თითოეული ჩვენგანი შეუძლებელი და უღალატოდ „აჲ უკვე  
მშვიდობასა შევუდგეთ და აღშენებასა ურთიერთას“ (რომ. 14.19).


განიარაღების დიდ საწინდარს იძლევა მიმდინარე წელს საბ-  
ქოთა კავშირისა და ამერიკაში შეერთებული შტატების სახელმწი-  
ფოთა მეთაურების მიერ ვენაში დადებული ხელშეკრულება —  
ოსე-2, რომლის დროული რატიფიცირება, ამერიკის მხრივ, ხელს  
შეუწყობს ახალი მოლაპარაკების დაწყებას ასეთი მესამე ხელშე-  
კრულების დასადებად. ამ ფრიად გლობალურ საქმეში ეკლესიებს  
შესწევთ უნარი, შეასრულონ მნიშვნელოვანი როლი საერთაშორისო  
აზრის მშვიდობის მიზნისაკენ წარმართვის გზით, რაც უწევს ქრის-  
ტიანისაგან მოითხოვს უაღრესად აქტიურ მოქმედებას. და თუ სა-  
ჭირო იქნება, ქრისტიანულ თავგანწირვას კაცობრიობის გადასარ-  
ჩენად.

ჩვენ, ქრისტეს მომდევარნი, იმედს არ ვკარავთ, რომ ღღევან-  
დელ მსოფლიოში კეთილგონიერება გაიმარჯვებს უგუნურებაზე,  
როგორც XII საუკუნის გენიალური ქართველი პოეტი შოთა რუს-  
თველი ამბობს: „ბოროტსა სძლია კეთილმან, არსება მისი გრძე-  
ლია“. ბოროტი ნების ადამიანები ვერ შესძლებენ ღვთის მიერ კა-  
ცობრიობისათვის ნაანდერძევი მშვიდობის წართმევას. იმავე პოე-  
ტის სიტყვებით რომ ვთქვათ: „რაცა ღმერთსა არა სწადდეს, არა  
საქმე არ იქნების“.

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმიდესი და  
უნეტარესი ილია II თავის საახალწლო ეპისტოლეში მშვიდობის  
შესახებ ხატოვნად ამბობს: „წმიდა ტაძარში საღმრთო მსახუ-  
რების — წირვა-ლოცვის აღსრულების დროს მოძღვარი ასე წარ-  
მოთქვამს ხოლმე — „მშვიდობა ყოველთა“. ჩვენც ამასვე ვუსურ-  
ვებთ ღვთისაგან გაჩენილ ჩვენს დედამიწასა და ჩვენს სამშობლოს.

მთელა მსოფლიოს ქრისტიანები ჩვენი უფლის იესო ქრისტეს  
ხორციელად შობის ორი ათას წლისთავამდე დარჩენილ დროს ვა-  
ცხადებთ „მშვიდობის პერიოდად“, რათა სულიერი მოღვაწეობით  
განვამტკიცოთ მშვიდობა ხალხთა შორის.

მადლი უფლისა ჩვენისა იესო ქრისტისი და სიყვარული ღვთი-  
სა და მამისა და ზიარება სულისა წმიდისა იყავნ თქვენ ყოველ-  
თა თანა. ამინ!



## კ ო მ უ ნ ი კ ე

1. სრულიად საქართველოს კათოლიკოს — პატრიარქის, მისი უწმიდესობისა და უნეტარესობის ილია II მოწვევით, ქრისტიანთა სამშვიდობო კონფერენციის (მსკ) საერთაშორისო საკითხების კომისიამ საქართველოს სსრ დედაქალაქ თბილისში 1979 წლის 29.XI-დან 3.XII-მდე ჩატარა თავისი — დამფუძნებელი მე-5-ის შემდგომი სხდომა. ქსკ-ის პრეზიდიუმის წარმომადგენლის, ვიცე-პრეზიდენტის, პროფესორ გერპარდ ბასარაკის (ბაბრ) თანდასწრებით, ქსკ-ის საერთაშორისო საკითხების კომისიამ — ამ მოძრაობის გენერალური მდივნის, პასტორის დოქტორ ლიუბომირ მერაივისკის (ჩსსრ) ხელმძღვანელობით, თავისი მუშაობა მიუძღვნა თემას: „ჩვენი წუთისოფელი, მისი პრობლემები და იმედები ქრისტიანული თვალსაზრისით“. მუშაობაში მონაწილეობდა 16 ქვეყნის 41 წარმომადგენელი — ყველა კონტინენტის სხვადასხვა ქრისტიანული კონცეფციისა და ტრადიციის მქონენი.

2. სხდომა საზეიმოდ გახსნა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, მისმა უწმიდესობამ და უნეტარესობამ ილია II. მან მოგვარა, რომ საქართველოს ავტოკეფალური წმიდა მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია განვლილი ორი ათასი წლის მანძილზე მრავალი ათასი სიცოცხლის ფასად იცავდა ქრისტიანულ რწმენას, თავის კულტურასა და ეროვნულ თვითმყოფლობას. რაკი მშვიდობა არის ნორმალური ლეგიტიმური წესის მსოფლიო სიცოცხლისა, თითოეული პიროვნებისა და მთელი ეკუმბრიობის პარამონული განვითარებისა, — მაშინ ნათელია და გასაგებია, თუ რატომ უნდა იბრძოდეს ადამიანი მშვიდობისათვის — როგორც ლეგიტიმური წესრიგის საფუძვლისათვის; ჩვენთვის ძვირფასია სიცოცხლისა და მშვიდობის აღქმა, რომელიც, ღვათაბრები შემრიგებლის განხორციელებისა და გამოსყიდვის მაღლით, რეალობად იქცა. თავის სამაღლობელ სიტყვაში გენერალურმა მდივანმა დოქტორმა ლიუბომირ მერაივისკიმ ხაზგასმით მიუთითა, რომ საქართველოში პირველად ჩატარებული ეს სხდომა ქსკ-ის ერთ-ერთი ორგანიზაციის გვეციხეზე საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიისა და ქსკ-ის მრავალწლოვანი ერთგული და პროდუქტიული თანამშრომლობის დიდი მნიშვნელობის შედეგად და იძლევა ახალ იმპულსებს უფრო ინტენსიურ ღონისძიებათათვის მშვიდობისმყოფელობის ფარგლებში მთელი მსოფლიოს ყველა ქრისტიანისათვის.

3. თავის ძირითად მოხსენებაში — თემაზე: „თანამედროვე მსოფლიო მშვიდობისა და სამართლიანობის ძიებაში“ — საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის წარმომადგენელმა ეპისკოპოსმა ქრისტეფორემ ნათელყო, რომ ქრისტიანი ქართველი ხალხი ყველა დროში მტკიცედ იცავდა მშვიდობას, როგორც განსა და არასოდეს დაურღვევია ომი და თარეშით სხვა ხალხის მშვიდობა და მართლწესრიგი. იმასთან დაკავშირებით, რომ ეკუმბრიობის წინაშე საბედისწეროდ ღვას „ყოფნა არყოფნის“ საკითხი, სარწმუნოება, სიყვარული და სულიერი სხვა ღირებულებანი იძენენ უაღრესად დიდ მნიშვნელობას. ძალეობით, რომელიც ეთამაშებოდა მთელი პლანეტის განადგურების რისკს, არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება შემრიგებლობა — ფიცი ქრისტეს სახელით. როგორც ქრისტეს მიმდევარი, ჩვენ აღგვაგვებს სასოება იმისა, რომ გონიერება სძლეეს განადგურების მექანიზმის უგუნურებს. სწორად ამიტომ ქრისტიანებმა მთელი დარჩენილი დროის მონაკვეთი, — ვიდრე დადგებოდეს ორი ათასი წელი დიდძალი ხორციელად შობისა ჩვენი ღვთისა და მაცხოვრის იესო ქრისტესი, — უნდა გადავაქციოთ მშვიდობის საქმისათვის ინტენსიური ღვაწლის პერიოდად.

4. პროფესორი დოქტორ გერპარდ კადეს (დასავლეთი ბერლინი — ვენა) მოხსენებაში — თემაზე: „ქრისტიანებისა და ეკლესიების ჩაბმა დაძაბულობის განმუხტვის საქმეში“ — გაანალიზებუ-

ლია თანამედროვე სადრთხე და დაძაბულობის განმუხტვის პოლიტიკის შანსები. მოხსენებაში — თემაზე: „ქრისტიანები და განიარაღების ამოცანები“ — ბ-მა ბრაიენ კუპერმა (დიდი ბრიტანეთი) განიხილა განიარაღების საქმეში ქრისტიანთა ჩაბმის საღვთისმეტყველო ფუნქციონირების საკითხები.

5. ქ-მა ლიოს კრიოლერმა (კუბა — აშშ) ილაპარაკა მოწოდება-თა შესახებ მთელი მსოფლიოს ქრისტიანთა და ეკლესიათა მიმართ, რომლებიც მომდინარეობენ ლათინური ამერიკისა და კარიბის აუზის ქვეყნების ხალხთა ბრძოლიდან გათავისუფლებისა და განვითარებისათვის, მშვიდობისათვის, სამართლიანობისა და ადამიანური ღირსებისათვის. განსაკუთრებით ხაზგასმულია ნიკარაგუელი ხალხის გამათავისუფლებელი ბრძოლისათვის ხელშეწყობა ქრისტიანთა და ეკლესიათა მხრივ. ქსკ-ის გენერალურმა მდივანმა მოგვარა ინფორმაცია ლათინური ამერიკის კონტინენტზე ჩატარებული საღვთისმეტყველო და ეკლესიათა კონფერენციების შესახებ, რომლებიც მიეძღვნა მსოფლიოს ამ ნაწილის ხალხთა გათავისუფლებასა და განვითარებას.

6. პასტორმა პ. დრეგსმა (გერმანია), სრულიად საქრისტიანოს IV და V სამშვიდობო კონგრესთაშორის პერიოდის საერთაშორისო საკითხების კომისიის თავმჯდომარემ, შემაჯამებელ ანგარიშებში შეაფასა კომისიის მიერ წინა შედი წლის განმავლობაში გაწეული მუშაობა; ამასთან დაახსიათა მისი საგრძნობი წვლილი და შედეგები მოძრაობის მთელი საქმიანობისათვის.

7. კომისიამ განაგრძო მუშაობა და კონსულტაციები სამ ჩვეულ-განხილულია შემდეგი თემები: 1. დაძაბულობის განმუხტვა და განიარაღება, 2. გათავისუფლება და განვითარება, 3. თანამშრომლობა ეკუმენის ორგანიზაციებთან და ორგანიზაციებთან, საერთაშორისო მშვიდობისმყოფელ მოძრაობასთან და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სისტემასთან. საქმიანმა ჩვეულებმა განსაზღვრეს პრიორიტეტი და შეიტანეს განსაკუთრებული წინადადებანი მოძრაობის შემდგომი ქმედებისათვის — ანგარიშებებში, რომელნიც დისკუსიის წესით განიხილება. უპირატესი ყურადღება მიექცა საორგანიზაციო-მოსამზადებელ სამუშაოთა კომიტეტის შემდგომ სხდომას. საქმიანმა ჩვეულებმა შეიმუშავეს სპეციალური ანგარიშებანი.

8. საერთაშორისო საკითხების კომისიის სხდომის მონაწილეებმა განიხილეს თემა და მასთან დაკავშირებული ამოცანები გულისხმობისა და მშური სულსკვეთებით. ისინი მიესალმნენ მშვიდობისმყოფელ საქმიანობას — ერთი მხრივ, პოლიტიკოსებისა და, მეორე მხრივ, ხალხებისა; ამასთან განსაკუთრებულად აღინიშნა განიარაღების უახლესი წინადადება საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარისა და სკკპ გენერალური მდივნის ლ. ი. ბრეჟნევისა, წამოყენებული 1979 წლის 6 ოქტომბერს ბერლინში; აგრეთვე — სსკპ უმაღლესი საბჭოს მიერ მიღებული დადგენილება საბჭოთა კავშირის სამხედრო ბიუჯეტის შემცირების შესახებ. სხდომის მონაწილეებმა განაცხადეს, რომ საჭიროა დაუყოვნებლივ ჩატარდეს მოლაპარაკებანი ლ. ი. ბრეჟნევის წინადადებათა თაობაზე. ხოლო ამ მოლაპარაკებათა პერიოდში უარყოფილი უნდა იქნას ეგრეთწოდებული მორატორიუმების „იარაღით შევსების“ ყოველგვარი მცდელობა. მათ თანხმობა გამოუთხადეს ბაბრ-ის ცამეტი მილიონი მოქალაქის ნება-სურვილს ლ. ი. ბრეჟნევის წინადადებათა მიმართ; აგრეთვე მხედველობაში მიღებულია აქციები — „წუმცე ყოფილა ნეიტრონული ბომბი“ ნიდერლანდებში.

მონაწილეებმა განაცხადეს თავისი მხარდაჭერა ქრისტიანული და სხვა მოძრაობებისადმი, რომელთაც გამოთქვეს სურვილი, ხელი შეუწყონ სტრატეგიული იარაღის შეზღუდვის მე-2 პროგრამისათ-

ვის შეთანხმებას, ეს კი გზას გაუხსნის მე-3 პროგრამას. მონაწილეებმა გამოთქვეს შეშფოთება ჩრდილოეთ ატლანტიკის პაქტის წევრი დასავლეთ ევროპის ქვეყნების ბაზებში დამატებითი ბირთვული შეიარაღებისათვის საშუალო რადიუსზე მოქმედი რაკეტების განლაგებასთან დაკავშირებით — იმ გადაწყვეტილების თაობაზე, რომელიც უნდა მიიღოს ჩრდილო ატლანტიკის სამხედრო პაქტის საბჭომ ბრიუსელში 1979 წლის დეკემბერში. ისინი მხარს უჭერენ ყველა მოქმედებას მსა-ისას, მისი წევრი ეკლესიებისას რეგიონული კომიტეტებისას ისევე, როგორც სხვა რელიგიური და არარელიგიური მოძრაობებისას, რომელნიც გამოდიან ამ განლაგების წინააღმდეგ. მათ მიანიჩიან, რომ ბირთვული იარაღის ევროპის ტერიტორიაზე განლაგებისათვის უარის თქმა მნიშვნელოვანდ გააძლიერებს მოლაპარაკებათა გაგრძელებას განიარაღების თაობაზე. სხდომის მონაწილეებმა გამოთქვეს რწმენა იმასთან დაკავშირებით, რომ ევროპაში უშიშროებისა და თანამშრომლობის ჰელსინკის კონფერენციით დაწყებული პროცესი უნდა გაგრძელდეს: ამასთან, ევროპაში დაძაბულობის განმუხტვისა და განიარაღების პრობლემის გადაწყვეტა მიიღებს მთელ აუცილებელ მხარდაჭერას. მათ გამოხატეს თავისი ნება იმის თაობაზე, რომ ქსკ-მ ყველა საჭირო ნაბიჯი გადადგას, რათა ჰელსინკის დასკვნით აქტის ხელისმომწერნი 35 სახელმწიფოს ეკლესიები აღიძრან აქტიური ღონისძიებათა ხელშეწყობად ევროპაში უშიშროებისა და თანამშრომლობის მეორე კონფერენციის მოწვევასათვის, რათა მხარი დაუჭირონ დაძაბულობის განმუხტვისა და განიარაღებას. მსა-ის საორგანიზაციო-მისიონარულ სამუშაოთა კომიტეტის სხდომისათვის ბლრ-ში 1980 წლის ოქტომბრამდე უნდა ჩატარდეს გამოკვლევა განიარაღების საკითხის მდგომარეობისა და პროგრესის თაობაზე, დაძაბულობის განმუხტვის სფეროში მსოფლიო თანამედროვე მდგომარეობის გათვალისწინებით. მონაწილეებმა მხარი დაუჭირეს საქმიანი კომისიის მიერ სოფიაში 1979 წლის ნოემბერში მიღებულ წინადადებას, რომ საორგანიზაციო-მისიონარულ სამუშაოთა კომიტეტმა თავის შემდგომ სხდომაზე გულმოდგინედ განიხილოს „განიარაღებისათვის და შიმშილის წინააღმდეგ ისაიის კონფერენციის“ მომზადების შესაძლებლობანი. კომისიამ დაწერილებით განიხილა ურთიერთობანი გათავისუფლებასა და განვითარებას შორის: ნამდვილი განვითარება შეუძლებელია გათავისუფლების გარეშე, — ესაა პრაქტიკა, რომელშიც „ყოველ პროგრესს მიეცემა შესაძლებლობა, განვითაროს თავისი ადამიანური ღირსება“. შეუძლებელია ამისი უპირატესი გაზომვა ეკონომიკური ზრდის ნორმებით, ამასთან, ქრისტიანებისა და ეკლესიებისათვის. გადაწყვეტად გვეკვლინება ბრძოლა პოლიტიკური და ეკონომიკური წინადადებისათვის გათავისუფლების გზით ნამდვილი განვითარებისაკენ. კომისიამ აუცილებლობად ცნო, აღიკვეთოს საყოველთაო გამალებული შეიარაღება და სამხედრო დიქტატურებთან იარაღით ვაჭრობა ლათინურ ამერიკაში, აფრიკასა და აზიაში.

განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო ტრანსნაციონალური კონცერნების მიერ მესამე სამყაროს ქვეყნების ნეოკოლონიალისტური ექსპლოატაციის დიქტების გზების ძიებას. ხაზგასმით აღინიშნა მნიშვნელობა მუდმივი სწრაფვისა ახალი საერთაშორისო ეკონომიკური წესის შესაქმნელად. კომისია უცხადებს თავის სოლიდარობას მიუხეობრად სახელმწიფოთა მოძრაობას და მიესალმება ამ მოძრაობის შედეგებს 1979 წლის სექტემბრის კონფერენციაზე კუბის დედაქალაქ ჰავანაში. კომისია რეკომენდაციას იძლევა, ზუსტად იქნას შესწავლილი და შეფასებული კავშირები — რელიგიური ტრადიციებისა და სულიერობისა, ერთი მხრივ, და ერთი-ნულ, კულტურულ და ეკონომიკურ გათავისუფლებას შორის, მეორე მხრივ. მხოლოდ მშვიდობიანი თანარსებობის პირობებშია შესაძლებელი ახალი პროგრესი სამართლიანი და ადამიანის შესაფერისი შედეგების მქონე ყველა პროცესის მსოფლიო განვითარების მიღწევის საქმეში. ვიეტნამისა და კამბუჯიის ხალხები განიცდიან

წარმოუდგენელ წამებას ინდოჩინეთში მიმდინარე 30-წლიანი ომის შედეგების გამო. კომისიის წევრებმა ხაზგასმით აღნიშნეს, რომ მოყვანისა და ქრისტიანული სიყვარული აღგებრავს სოლიდარობისთვის ამ ხალხებისადმი, რომელთა მიმართ აქვთ მნიშვნელოვანი ცილისწამების საშიში კომპანია. საერთაშორისო საკითხების კომისიამ მიიღო ინფორმაცია ახლო აღმოსავლეთის საკითხების სპეციალური კომისიის საქმიანობის შესახებ, რომლის სხდომები 1979 წლის დასასრულს მიმდინარეობდა ერიოპის (სომხეთის სსრ) და მთლიანად დაეთანხმა მის მიერ ჩატარებული მუშაობის შედეგებს. საერთაშორისო საკითხთა კომისიის ამოცანა ის არის, რომ ხელი შეუწყოს მსა-ის მუშაობას საერთაშორისო პრობლემების შესწავლით და ქრისტიანული საზოგადოებრიობისათვის მისი განცხადებების მომზადებით. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ქრისტიანთა და ეკლესიათა ინფორმირება მათთვის შესაფერისი ფორმით. შეიქმნა მსა-ის ამოცანას წარმოადგენს ღვთისმეტყველების თვალსაზრისით განმარტება, თუ რა გზით შეუძლიათ ქრისტიანებს გამოიმუშაონ სხვა კონფესიებთან და რელიგიებთან ერთად, აგრეთვე სხვა მსოფლმხედველობრივ და იდეოლოგიურ ჯგუფებთან — ერთობლივი პოლიცია და გაატარონ ცალკეული აქციები დაძაბულობის განმუხტვის, განიარაღების, გათავისუფლებისა და განვითარების მხარდასაჭერად.

დიდი ეზრდლება პოვა მსა-ის თანამშრომლობამ რელიგიურ და არარელიგიურ ორგანიზებთან და ორგანიზაციებთან და არასახელმწიფოებრივი ორგანიზაციების სისტემაში მათა თანამშრომლობამ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ორგანოთა სისტემაში.

9. საერთაშორისო საკითხთა კომისიამ აირჩია ახალი ხელმძღვანელობა მსა-ის შემდგომ კონგრესამდე პერიოდისათვის. ეს პასუხისმგებლობა იკისრეს კომისიის შემდეგმა წევრებმა: ბ-ნი სამარაჯია (შრი ლანკა) — თავმჯდომარე, ერთი ადგილი დატოვებულია მსა-ის ერთი ვიეტნამელი წევრისათვის, პასტორი პ. დრევისი (ბვზრ), პრფ. ი. პანჩოესკი (ბულგარეთი), პროფ. კ. პრილოვ (უნგრეთი), ბ-ნი ს. შაური (ტანზანია) — თავმჯდომარის მოადგილე, მაგისტრი ზ. ერლერი (დასავლეთ ბერლინი) — მდივანი.


10. კომისიამ დიდი მადლობითა და სიხარულით ისარგებლა შემთხვევით, რომ გასცნობდა ქართველი ხალხის საეკლესიო და კულტურულ ცხოვრებას. 1979 წლის 2 დეკემბრის სხდომის მონაწილენი მცხეთის სვეტიცხოველში დაესწრნენ ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის ღვთისმსახურებას, რომელიც ჩაატარა კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II და რომლის დროსაც იქადაგა პასტორმა, დოქტორმა ლ. მერქვიციანი.

ფილმებმა — კათოლიკოს-პატრიარქის ილია II ინტრონიზაცია და „ქართული საეკლესიო საგალობლები“ — ცხადი წარმოადგინა შეგვიქმნეს ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის ცხოვრების შესახებ, მისი იერარქიის მოღვაწეობასა და მორწმუნეთა კეთილმსახურებლობაზე. ღრმა და წარუშლელი შთაბეჭდილება დაგვიტოვა ქვეყნის მუზეუმების დათვალიერების შემდეგ საქართველოს დიდ კულტურულ სიმდიდრეებზე.

11. 1979 წლის 3 დეკემბერს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილემ ქ-მა ვიქტორია სირაძემ მიიღო სხდომის მონაწილენი, რომლის დროსაც საქართველოს მთავრობამ და მთელმა ხალხმა შეაფასა მსა-ის მუშაობა.

12. კომისიის წევრებმა უღრმესი მადლობა გამოთქვეს მასპინძლების — საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიისა და მისი მეთაურის, მისი უწმიდესობისა და უნეტარესობის, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II, საქართველოს სსრ მთავრობისა და ხალხის მიმართ — ტრადიციული, დიდსულოვანი სტუმართმოყვარეობისათვის, მუშაობის ბრწყინვალე პირობებისათვის და გულითადობის სულისკვეთებისათვის, რაც სხდომის დროს სუფევდა.





## უწმიდესი და უნეტარესი ილია II ჭყონდიდის ეპარქიაში

მიმდინარე წლის ზამთარში უწმიდესმა და უნეტარესმა, სრულიად საქართველო კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II წყალტუბოში მკურნალობის ჟამს იწვებს ჩაბრძანება ჭყონდიდის ეპარქიაში, კერძოდ — ცხაკაიაში. 5 ნოემბერს მის უწმიდესობას წყალტუბოში ეახლა ჭყონდიდელი და აგარაკ-წალკელი მთავარეპისკოპოსი იოანე, რომელსაც ახლდნენ: მენჯის მთავარანგელოზთა ტაძრის წინამძღვარი არქიმანდრიტი იოაკიმე (ასათიანი), ზუგდიდის რაიონის სოფელ ჩხორობას დეკანოზი დავით ფიფია და ფოთის ივერიის დვთისმშობლის ხატის ტაძრის ეკლესიის აღმასრულებელი ორგანოს თავმჯდომარე იპოდიაკონი იოანე კლიმენკო.

წყალტუბოდან მისი უწმიდესობა და მისი თანხლებნი პირნი გამოემართნენ ქ. ცხაკაიასკენ. მის უწმიდესობას აგრეთვე ახლდნენ ნიკორწმიდელი და მარგველი ეპისკოპოსი ამბროსი, თბილისის სიონის საპატრიარქო ტაძრის პროტოდიაკონი დვთისო შალიკაშვილი და საპატრიარქოს თანამშრომელი ვიქტორ შიოლაშვილი.

ცხაკაიაში მისვლისას მისმა უწმიდესობამ იწვეა ჯერ თეკლათის მონასტრის მოლოცვა-დათვალიერება; მას მონასტრის კრებულნი ზარების საზეიმო რეკვითა და დიდი სიხარულით შეეგება. ყოვლადწმიდა დვთისმშობლის შობის ტაძარში შებრძანებამდე ილია II ხელზე ემთხვია მონასტრის უხუცესი მკვიდრი და დიდი მლოცველ-მოღვაწე, 87 წლის მონიზონი მარგალიტა, ერთბაში — მარია მქესიმეს ასული გიგინეიშვილი.

ტაძრის კარიბჭესთან, წესისამებრ, მის უწმიდესობას შეეგებნენ: ჯვრით ხელში — მონასტრის მღვდელთმსახური არქიმანდრიტი კონსტანტინე (ქვარაია), რომელიც ამ მონასტერში 1948 წლიდან მოღვაწეობს ნეტარსენებული კათოლიკოს-პატრიარქის კალისტრატეს ლოცვა-კურთხევით, მონასტრის წინამძღვარი ილუმენია ელენე (აღამია) და იეროდიაკონი ალექსი (ჯალაღონია). საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა დალო-



ცხაკაია-მენჯის მთავარანგელოზთა ტაძარი.



თეკლათის მონასტრის მღვდელმსახური კონსტანტინე და ილუმენია ელენე.


ცა კრებული, შემდეგ დაანთო სანთლები წმიდა ხატთა წინაშე და უფალს შევედრა წმიდა მონასტერი და სრულიად საქართველოს სულიერი სამწყსო. შემდეგ მან დაათვალიერა ტაძარი და მონასტერი და დიდად ესაიამოვნა, როდესაც იქ იხილა სიწმიდე, წესრიგი და აღდგენითი სამუშაოები.

თეკლათის მონასტრიდან საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი გაემართა ჭყონდიდელი მღვდელმთავრის სახლისაკენ, საიდანაც მცირეოდენი შესვენების შემდეგ წაბრძანდა ცხაკაიამენჯის (წინათ თეკლათის ზედა სავანედ წოდებული) მთავარანგელოზთა ტაძარში. მის უწმიდესობას, წესისამებრ, აქაც ზარების საზეიმო რეკვით შეხვდა ჭყონდიდის ეპარქიის სამღვდელთა და ეპარქიის სხვადასხვა მხრიდან — ცხაკაიადან, ფოთიდან, ზუგდიდიდან, წალენჯიხიდან და სხვა ადგილებიდან სპეციალურად ჩამოსული მორწმუნეები. ჯვრით ხელში მას ტაძრის კარიბჭესთან შეეგება ტაძრის წინამძღვარი არქიმანდრიტი იოაკიმე (ასათიანი), ზუგდიდის რაიონის სოფელ ჩხობიას დეკანოზი დავით ფიფია, ფოთის ივერიის ღვთისმშობლის ხატის ტაძრის მღვდელმსახური — მღვდელმონაზონი ვასილისკო, მღვდელი ზურაბ ცხვარაძე და ჩხოროწყუს რაიონის სოფელ ზედა გარახის მღვდელი არსენ კვიციანი. „ღირს არსის“ გალობისას მისი უწმიდესობა ემთხვია წმიდა ჯვარს, ამხსვევინა მის თანმხლებ და იქ დამხვდურ მღვდელმთავრებსა და სამღვდლოებს, დალოცა მორწმუნე ერი და სიწმიდითა მოლოცვის შემდეგ დაათვალიერა ტაძარი და მისი მიდამო. მისმა უწმიდესობამ აქაც დიდი კმაყოფილება გამოთქვა, როდესაც იხილა კარგად შეკეთებული და მოვლილი ტაძარი.

ამის შემდეგ გამოემართა ჭყონდიდელი მღვდელმთავრის სახლისაკენ. როგორც შეხვედრისას, ასევე გაცილებისას ისმოდა საზეიმო რეკვა ტაძრის ზარებისა.

ჭყონდიდელი მღვდელმთავრის, სამღვდლოებისა და მორწმუნე ერის თხოვნით მისმა უწმიდესობამ იწეა დაზრუნა საზეიმო სადილზე, რომელსაც ესწრებოდნენ კათოლიკოს-პატრიარქის თანმხლებნი და ჭყონდიდის ეპარქიის სამღვდლოება და მორწმუნე ერისკაცნი. სადილზე დამსწრენი სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა დამოძღვრა დვთივსულიერი სწავლებით.

6 ნოემბერს, შუადღისას, ილია II წაბრძანდა კვლავ წყალტუბოში. უწმიდესი და უნეტარესი კათოლიკოს-პატრიარქი და მისი თანმხლები პირები წყალტუბომდე გააცილა ჭყონდიდელმა მთავარეპისკოპოსმა.





# ახალი ხაჯები სიონის ჯაქარები



ყოვლადწმიდა ღვთისმშობელი



იესო ქრისტე



წმ. ნინო



წმ. გიორგი




# ახალი ხაჯები სიონის ზაქარში



წმ. კეთილმსახური თამარ მეფე



წმ. ქეთევან წამებული



ღირსი მამა იოანე ზედაზნელი



წმ. მოწამენი დავით და კონსტანტინე

## ქართულ ეკლესია-ტაპართა გაფუჟენიერება- აღდგენისათვის

როგორც ცნობილია ხელისუფლება ღიდად ზრუნავს კულტურის ძეგლების დაცვაზე, მათს აღდგენა-განახლებაზე, რასაც დიდი სახელმწიფო სახარები სძარდება. ამ საშვილიშვილო საქმეში თვისი წვლილი შეაქვს აგრეთვე ქართულ მართლმადიდებელ ეკლესიასაც.

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმიდესისა და უნეტარესის ილია II ლოცვა-პურთხევით საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ეპარქიებში ტარდება დიდი სამუშაოები ეკლესია-ტაპარების გამშენიერებისა და აღდგენისათვის.



მთლიანი რეკონსტრუქცია უკვედება თბილისის სიონის საპატრიარქო ტაძრის ინტერიერს, რომელსაც მოხატავს დამახაურებული მხატვარი ლევან ცუციერიძე. მიმდინარეობს სამუშაოები აღმოსავლეთის კარიბჭის აღსადგენად.

მალე დასრულდება თბილისის დიდუბის ღვთისმშობლის ტაძრის მთლიანი მოხატვა, რომელსაც ასრულებს მხატვარი ალექსანდრე ბანძელასე. იმედია, რომ ჩვენი საზოგადოება ახლო მომავალში იხილავს ქართული კედლის მხატვრობის კიდევ ერთ შესანიშნავ ნიმუშს.

ქ. ბათუმში დასასრულს უახლოვდება თურქთა მიერ XVIII საუკუნეში დაგრეულ ტაძრის ადგილას ახალი ეკლესიის მშენებლობა, რომლის ავტორია არქიტექტორი შ. ცინცაძე. მშენებლობას ხელმძღვანელობს ბათუმ-შემოქმედელი ეპისკოპოსი დავითი.

აღსანიშნავია, რომ ეპისკოპოს დავითის, თაოსნობით სოფელ ნორიოში დაშთავრდა VI საუკუნის დაზიანებული ტაძრის აღდგენა-გამშენიერება. ტაძარში კვლავ აღდგენილია მორწმუნეთათვის წირვა-ლოცვანი.


საქართველოს საპატრიარქო შეუდგა სვეტიცხოვლის ტაძრის მეღქისედუკის კარიბჭის აღდგენა-გამშენიერებას. აქვე, კარიბჭის გვერდით დანგრეულ სამრეკლოზე აღიმართება ქართული, ტრადიციული ბაღდახინი. პროექტის ავტორია ახალგაზრდა არქიტექტორი თ. აბაშიძე. ამჟამად მიმდინარეობს ჭიხუთის მონასტრის რესტავრაცია — გამშენება.



მხატვარი ა. ბანძელასე, რელიგიის საქმეთა რწმუნებული გ. მახარაძე, ხელოვნების მუზეუმის დირექტორი თ. სანიკიძე, უწმიდესი და უნეტარესი ილია II, ხელოვნების მუზეუმის სეიფის გამგე გ. აბრამიშვილი და მიტროპოლიტი გიორგი დიდუბის ეკლესიაში ახალი მოხატულობის დათვალიერების შემდეგ.



# ხელთდასხმისათვის



ეპისკოპოსი კონსტანტინე  
(ბიოგრაფია)

კონსტანტინე ურბნელი ეპისკოპოსი (ერო-  
ბაში დიმიტრი სიმონის ძე მელიქიძე) დაი-  
ბადა 1925 წლის 12 თებერვალს (ძვ. სტი-  
ლით) სოფ. ბალანთაში (ბორჯომის რ-ნი)  
გლეხის ოჯახში. სოფლის ოთხკლასიანი და  
ბაკურიანის შვიდკლასიანი სასწავლებლების  
ლაშქარების შემდეგ იგი შევიდა ბორჯომის  
სატყეო ტექნიკუმში. 1966 წელს დაამთავრა  
საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინს-  
ტიტუტი და მრავალი წლის განმავლობაში  
მუშაობდა სატყეო მეურნეობაში.

1970 წლიდან დიმიტრი მელიქიძე შეუდგა  
ღვთისმსახურებას. მანამდე კი, 13 წლის  
ასაკიდან, სწავლობდა საღმრთო წიგნებს.

1972 წლის 3 დეკემბერს ეკურთხა დიაკვ-  
ნად სიონის საპატრიარქო ტაძარში, 1973  
წლის 21 ოქტომბერს კი ამავე ტაძრის

მღვლელად და დაინიშნა სოფ. ატოცის წმ.  
გიორგის ეკლესიის წინამძღვრად. 1974—  
1978 წლებში იგი ხაშურის იოანე ნათლის-  
მცემლის ეკლესიის მღვდელი და წინამძღვ-  
რია.

1978 წლის 20 ოქტომბერს იგი აღიკვეცა  
ბერად წმ. ნინოს ტაძარში და სახელად ეწოდა  
კონსტანტინე, ხოლო იმავე წლის 22 ოქ-  
ტომბერს ეკურთხა არქიმანდრიტის ხარისხ-  
ში, სიონის საპატრიარქო ტაძარში.

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატ-  
რიარქის უწმიდესისა და უნეტარესის ილია  
მეორისა და საქართველოს ეკლესიის სი-  
ნოდის გადაწყვეტილებით, კონსტანტინე გა-  
მორჩეული იქნა ურბნისის ეპარქიის ეპის-  
კოპოსად. მისი ხელდასხმა ეპისკოპოსის ხა-  
რისხში მოხდა 1978 წლის 29 ოქტომბერს  
და ამიერიდან იგი იწოდება ურბნელ ეპის-  
კოპოსად.

## ეპისკოპოს კონსტანტინეს სიტყვა

ვმადლობ ღმერთსა — უფალსა, რომელმან მომანიჭა ცნობი-  
ერება, რათა შემეცნო იგი — შემოქმედი ქვეყნისა.

ვმადლობ — ღმერთსა უფალსა, რომელმან ამ „მიწივე მბრუ-  
ნავ“ წუთისოფელში შთამბერა რწმენა წმიდა სამებისა, სამ სახო-  
ვანის და ერთარსება ღვთისა.

ვმადლობ ღმერთსა უფალსა, რომელმან მომცა სასოება  
ბრწყინვალე და ძლიერადმოხილი ჭვრისა და აღიარება კაცობრიობის  
მსხნელითა, უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი.

მწამს უფლისა ღვთისა და შევხოვ, რომ მუდამ მოწყალედ  
გამომიწოდოს ხელი უხილავ წინააღმდეგობათა, ბოროტ ძალთა  
დათრგუნვის საქმეში.

„უკეთო სმენით ისმინოთ ხმისა ჩემისა და ჰყოთ ყოველი,  
რომელთა გბტყვი თქვენ, ვემტერო მტერსა თქვენსა და წინააღმდ-  
გომ წინააღმდგომთა თქვენთა, რამეთუ წარვიდის ანგელოზი ჩემი  
წინამძღვრად თქვენდა“. (მოსე, წიგნი ბ გამოხვ. თავი კბ-კბ-კბ).

მე, მონა ღვთისა ამ იმედით და უფლისმიერი ხიყვარულით  
გამოვიხაზე პირკვარს და ვამბობ კრძალვით: სახელითა მამისათა,  
და ძისათა და ხულისა წმიდისათა, ამინ!

ამ სიტყვებით ვიწებ და ვამთავრებ ჩემს ყოველდღიურ  
ცხოვრებასა და საქმიანობას. ამავე სიტყვებით შევუდგები შესრუ-  
ლებას ეპისკოპოსის მაღალი მოვალეობისას, რაიცა მამაწივეთერის  
განგებით მატვირთეთ უღირსსა მონასა ღვთისასა — უწმიდესმა და  
უნეტარებმა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, დიდ-  
მა მეთუფემ ილია II და ჩვენი ქვეყნის მართლმადიდებელი  
სამოციქულო ეკლესიის მაღალმა სინოდმა.

აწ ჩემი ხული ადვხილია სისარულით, რამეთუ არა განმაძეთ,

ვითარცა უღირსი და ნაკლული, არამედ უმაღლეს ხარისხსა ზედა  
ჩემს ახვლას გულით უთანაგრძნეთ საქართველოს ეკლესიის  
მღვდელთმთავართა, სამღვდელთა და სამონოზვნო წესთა და კეთილ-  
მორწმუნე ერმანს...

აღვითქვამთ ყველას ნეტარების მომნიჭებელ იმ მორჩილებას,  
რომელიც წუთისოფლის ნარეკლიან, ძნელსავალ გზებს გვიადვი-  
ლებს ქრისტეს ხარწმუნოების მიმდევართ.

მოკლედ მოგიხარობთ, რომ ჭეშმარიტებისაკენ ღტოლვა ძა-  
ლიან აღერ ვიგრძენი. ბავშვობისას ხშირად ვხედავდი ჭვარს ხიზმ-  
რად, მაგრამ მინახავ ცხადადაც ჰაერში ჩამომდგარი, გაბრწყინე-  
ბული ჭვარი პატოსანი. ყოველ ბილვას ძელი ცხოველისას რადაცა  
სიკეთე მოჰქონდა ჩემთვის: მაშინვე იმხსნებოდა დამაბრკოლებელი  
ჭებირები, ქრებოდა უძღურება, ითრგუნებოდა ბოროტება.

ჩვენებათაგან, რაც ახალგაზრდობისას მიღირსა ხილვად, მთა-  
ვარი ის იყო, რომ ცის სამხრეთ-აღმოსავლეთით ვიხილე ოქროს-  
ფერი ნათლით გაბრწყინებული ღვთისმშობელი და მის გარშემო  
ხხვა წმიდანები — ახეთივე ნათლით გაბრწყინებულნი, მაგრამ  
უფრო მომცრონი. დედა ღვთისა უხმოდ შთამავონებდა მაღლიდან,  
რომ ხსოვება არ დამეკარგა მის მიმართ, გადამეწერა პირკვარი და  
მქონოდა მისი დახმარების იმედი.

ხხვა ჩვენებებში თეთრ-სვეტაკი ღრულით მოსილი მამა-  
ღმერთი და ძე-ღმერთი ვიხილე ერთად, ცხა ქვეყანას შუა ჩამო-  
დგარი და მათ მარჯვნივ — დედა ღვთისა. ჭერ იყო დუმილი ცათა  
შინა და მერე მამა-ღმერთმა წარმოხსოვკვა: „მე მსურს დედამიწა ცას  
შევუერთო... და იქვე დახსინა: „დედ, მიწამ შეიგნოს და თვითონ  
მიუახლოვდეს ცას“, მერე კი დაუმატა: „ჩვენ გვინდა დედამიწას



უფრო დაუახლოვდეთო“. შემდეგ დედა ღვთისამ გადმოხარა თავი ცათა ხილვით, ჩანჩქერად გადმოუშვა თეთრი თმები და წარმოსთქვა: „მე მსურს ჩემი თმებით მივიწიო დედამიწა“ ადვილი გასაგებია, რომ დედამიწის დაახლოება ზეცასთან ეს არის უზენაესის ნება და ამას ხელი უნდა შეუწყონ თვით მორწმუნე ადამიანებმა. დედა ღვთისას ნათქვამიც გასაგებია: მისი თეთრი თმები მიწაზე მყოფი რჩეული მრევლია, რომელთა მეტებით უნდა მოხდეს მიწის მიწოდვა ზეცის მიმართ. ღვთაების თეთრად შემოსვა დიდხანს მშვიდობას უნდა მოახწავებდეს ქვეყნად, რაც, მაღლობა ღმერთს, გრძელდება, თუმცა ანგარების მოუყარულმა წრებმა შექმნეს მესამე მსოფლიო ომის საშიშროება და ამ ომში ბირთვული იარაღის გამოყენების საფრთხე, მაგრამ ომის გაჩაღების მოსურნენი მიზანს ვერ ეწევიან. ჩვენი სამოხლო და პროგრესული კაცობრიობა მტკიცედ დგანს მშვიდობის სადარაჯოზე — ჩვენი ვალა ბევრი ვილოცოთ მშვიდობისათვის და იგი იქცევა ძალად, უზენაესი შეისმენს ლოცვას მართლისას.

სწრაფა სასულიერო განთლებიყენ იმთავითვე მქონდა, რადგან იღუმელი გულისხმა ღვთიური მომიწოდებდა. აღერ დავეწაფე ძველი და ახალი აღთქმის სიბრძნეს, „ქართლის ცხოვრებას“, ლიტურგურასა და ფილოსოფიას (თუმცა ნაკლებ ტალანტს ვგრძნობ-

დი ჩემში). მე დიდხანს ვიყავი სამოქალაქო სამსახურში და უფალს ვთხოვდი გზების გახსნას.

არასოდეს მავიწყდებოდა მაცხოვრის ტკბილი მოწოდება — „ითხოვდით და მოგეცეს თქვენ, ეძიებდით და პოვოთ, ირეკდით და განგებდით თქვენ“. თუმცა მოწოდება იყო ღვთიური, მაგრამ, საოცარია, კეთილი ძალა მანაც თავისუფალ ნებას მიტოვებდა. სურვილი, თანაც ძლიერი, ჩემი უნდა ყოფილიყო. ბოლოს სულმა იმძლავრა და მე ეკლესიაში აღმოვჩნდი. დედა-ეკლესიამ ისე მიმიღო, როგორც უძღვები ზვილი მშობლიური წიაღიდან, ღვთისაგან მოწვევით და უკან მობრუნებული. და მე ვიგრძენი, რომ საქართველოს წმიდა მართლმადიდებელი ეკლესიის გარეშე ჩემი ცხოვრება არასრული იყო. ეკლესიაში მოსულს დახმარების ხელი განომიწოდეს კეთილმა მამებმა, მღვდლებმა, მღვდელთმთავრებმა და თვით უწმიდესმა ილია II. ამ მშობლიურ-ღვთაებრივი ზრუნვის შემდეგ მე მტკიცე ნიდაგზე დავდექი და აწ მინდა ყველა მზარუნელობა და კეთილისმყოფელს აღუთქვა მორჩილება და არ ვადაუხვებო ჩვენი წმიდა სამოციქულო ეკლესიის განჩინებას, მის ალაღ-წესებას, შეძლებისდაგვარად კეთილი გულით ვიღვაწო მისთვის, ვიღვაწო მარად წმიდა სამების განდიდებისათვის, ერის ძლიერებისათვის, და ეს მცირე სიტყვა პირჭვარის გადაწერით და წმიდა სამების მოწოდებით დავამთავრო — სახელითა მამისათა და ძისათა და სულისა წმიდისათა, ამინ!



ეპისკოპოსი ამბროსი

(ბიოგრაფია)

ნიკორწმიდელი და მარგველი ეპისკოპოსი ამბროსი, (ერობაში — ალექსანდრე ტრიფონის ძე ქათამაძე) დაიბადა 1942 წელს ტყეზის რაიონის სოფ. მენჯიორში (ამჟამად ახალსოფელი), მუშის ოჯახში. ქ. ქუთაისში დაამთავრა საწვავლო სკოლა, რის შემდეგ მოინახა საეკლესიო სამხედრო სამსახური.

1963 წელს ჩააბარა მისაღები გამოცდები მცხეთის ორწლიან სამოდერო-საღვთისმეტყველო სასწავლებელში, რომლის დამთავრებისთანავე დირექტორის (შემდგომ სემინარიის რექტორის), მიტროპოლიტ ილიას რეკომენდაციითა და უწმიდესი და უნეტარესი ეფრემ მეორის ლოცვა-კურთხევით ჩაირიცხა მოსკოვის სასულიერო სემინარიაში, რომელიც დაამთავრა 1969 წელს.

1966 წლიდან მედავითნედ მუშაობდა ქაშვეთის ეკლესიაში. 1971 წელს ალექსანდრე იკურთხა მთავარდიაკვნად. 1972 წელს მოხდა მისი ხელდასმვა მღვდლად და იგი დაინიშნა მოწამეთას ტაძარში. 1974 წელს იგი ქუთაისის წმ. გიორგის ტაძრის მღვდელია, 1975 წლიდან კი — წინამძღვარი.

სრულიდ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმიდესი და უნეტარესი ილია II ლოცვა-კურთხევით, 1977 წელს ექსტერნის წესით ჩააბარა მცხეთის წმ. ანდრია პირველწოდებულის სახელობის სასულიერო სემინარიის სრული კურსის გამოცდები, მიიღო პირველი ხარისხის დიპლომი და ჩაირიცხა მოსკოვის სასულიერო აკადემიაში.

1978 წლის გაზაფხულიდან ქუთაისის წმ. პეტრე-პავლეს საკათედრო ტაძრის მღვდელია, იმავე წელს დაინიშნა რაჭაში ახლად-

გახსნილ ნიკორწმიდის საკათედრო ტაძრის წინამძღვრად.

1979 წელს, სრულიდ საქართველოს წმიდა მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის დიდი მესვეურის, ილია II ბრძანებით, ალ. ქათამაძე დაინიშნა სიონის საპატრიარქო ტაძრის დეკანოზად. იმავე წლის 13 აგვისტოს აღყვანილია ეპისკოპოსის ხარისხში; (10 აგვისტოს კი იგი აღიკვეცა ბერად და ეწოდა ამბროსი. იმავე წლის 11 აგვისტოს ილია II იგი აღიყვანა არქიმანდრიტის ხარისხში).

ეპისკოპოსი ამბროსი მონაწილეობდა საბჭოთა კავშირში და მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში მიმდინარე მრავალ ქრისტიანულ კონგრესებში. მეგობრული ვიზიტით არის ნამყოფი მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში. მის მიღებული აქვს მრავალი ჯილდო: სრულიდ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმიდესმა და უნეტარესმა ილია II დააჯილდოვა ძვირფასი თევზებით მოოქვილი ოქროს ჭვრით, ბულგარეთის პატრიარქმა, უწმიდესმა მაქსიმემ „წმ. მოციქულთასწორთა — კირილესი და მეთოდეს“ მედალით, ათენში მან მიიღო „წმ. ვასილი დიდის“ დიდი კერცხლის მედალი, ყოველთა სომეხთა პატრიარქმა ვაზგენმა მას გადასცა ძვირფასო თვლებიანი ოქროს ჭვარი.

ეპისკოპოს ანტონის სიტყვა

უწმიდესო და უნეტარესო საკეთილშობილო სრულიად საქართველოს წმიდა მართლმადიდებელი სამოციქულო და ავტოკეფალური ეკლესიისა, დიდო მუუფეო ილია!

მაღალყოვლადუსამღვდელმოსწიწაო წევრო ივერიის წმიდა სინოდისა!

ქრისტესმიერ საყვარელნო მოძმენო, სულიერნო მამანო! უტკბესნო მართლმორწმუნენო ღვთისმშობლის წილხვედრი ჩვენი ქვეყნისა!

ქრისტეანული რწმენით, სასოებითა და სიყვარულით ვემორჩილები ღვთის განგებასა და თქვენს ნებას, რათა ვიტვიტოთ ეპისკოპოსის მძიმე და საპატიო მოვალეობა.

როდესაც ფეხი შემოვდგი ეკლესიაში, ფიქრიც არ გამიხდია, თუ ოდესმე ღირსი გავხდებოდი ამ დიდი ნდობისა; მით უფრო ვერ წარმოვადგენდი ამას მაშინ, როდესაც ურთობისა კრძალვით ვეხდებოდი ხოლმე ღვთის სახლს. იმ შორეულ წლებში მიზიდავდა ჩვენი ერის სასიქადულო პოეტის, გალაკტიონის მიერ ქება-შესხმული, „ცამდე აღერილი“ გუმბათებისა ის, რომ მათი „შერა ქართულია“, ხოლო „სვეტთა შეკონება“ აღვიქვი „ნატურის ასრულებად“. განა ვის შეეპარება ეგვიპტე, რომ მხოლოდ ერთ ტაძარს არ ეგება პოეტის სიტყვები: „ბრწყინავს საქართველოს ქებად ნიკორწმინდა“.

ნიკორწმინდა მხოლოდ ნაწილია საქართველოს დედა-ეკლესიისა. ქართველ ხუროთმოძღვართა არაერთმა თაობამ „ცთო გააშუენა“ მრავალი საუდარი და ყოველი მათგანის აგების დღიდან დაუსრულებლად „უღერს ქვის ჰარმონია“. მაგრამ მხოლოდ აღტაცება როდეს მუუფულებოდა მაშინ... ამავე დროს მაკრთობდა „სიერციხის დაუნჭებით“ გამოწვეული რაღაცა გრძნობა, მაკრთობდა გამოუცნობი იდუმალება, რომელიც სუფევს ეკლესია-მონასტრების შიდა და გარე სიერციხეში. როდესაც მოვიწიფე და გამიმახვილდა გულიხუერი და ეკლესიის ზარმა მამცნო ქრისტესმიერი დიდი, ყოვლისმომცველი სიყვარული, — მაშინდა მივხვდი, რომ ცად აჭრილი სვეტები, მათზე დანდობილი კამარებით, აღმართული სულის სწრაფვაა ღმერთისაკენ, „რომელმან აღმართა ცანი, ვითარცა კამარანი“ (I ეს. 40, 42). იმასაც მივხვდი, რომ ურთობიდანვე განცდილი კრძალვა იმისი შიშია, რომელიც შეიქმნა სიყვარულსა და თავდადებას ღმერთის მიმართ, რამეთუ წინასწარმეტყველმა დავითმა თქვა: „ჰმოინთ უფალსა შიშით“ (ფს. 2:11). ახლა ისიც ვიცი, რომ ქრისტეანულ ეკლესიაში გამეფებული იდუმალება — ეს არის ერთად შეკონილი შვიდი საიდუმლო: ნათლისღება, მირონცხება, სინანული, ზიარება, მღვდლობა, ქორწინება, ზეთის კურთხევა. ჭერ კიდევ სრულიად ახალგაზრდამ ვიგრძინი დაუოკებელი

სწრაფვა ჩვენი უფლისა და მაცხოვრის, იესო ქრისტეს სარწმუნოებისადმი და თავყანი ვეცი წმიდა ჭვარს იმ ღრმა შეგნებით, რომ „არა პურითა ხოლო მსცხონდების კაცი, არამედ უოვითა სიტყვითა, რომელი გამოვალს პირისაგან ღმრთისა“ (მ. 4:4). თანდათან აღავსეს ჩემი სულიერი სამყარო წმიდა წერილებმა და ფხალმუნებმა, თანდათან დაიპყრო ჩემი გონება წმიდა სახარებამ და ვეზიარე იმ მაღალ ჭეშმარიტებას, რომლისკენაც ვისწრაფვი მთელი ჩემი არსებით, რამეთუ ღვთისმიერი სიტყვა გვარწმუნებს: „მე ვარ გზაი და მე ვარ ჭეშმარიტებაი და ცხოვრებაი“ (ი. 14:6).

საეკლესიო იერარქიის ყოველი მაღალი საფეხური თანდათან მაშორებს საკუთარ თავს და მშატებს პასუხისმგებლობას. მე ვგრძნობ მოწოდებას, რათა გონების თვლით დავანახო ჩემს მრევლს ქრისტესმიერი მარადიული გზა, მორწმუნეთა გულები მივანწვინო განუყოფელ ჭეშმარიტებას, რომელიც არის ერთარსება და სამსახურავი ღმერთი, სამება — როგორც ერთი.

როდესაც აღმართული გულისხმიერება გამახვილებულია სასულიერო საწყისის მიმართ, იგი უფრო ცხადად აღიქვამს ღვთაებრივ მცნებებს, რომელთაგან დღეს საჭიროებოდა საკითხად უნდა გამოვარჩიოთ — „არა კაც ჰქლა“. როგორც ჩვენი ეკლესიის დიდი მესვეური, ილია II ამბობს. ეს ნიშნავს: არავინ იფიქროს საყოველთაო კაცისკვლავ — ომზე, ყველამ იზრუნოს მხოლოდ მშვიდობაზე; ამას გვიდასტურებს ცხრა ქრისტეანული ნეტარების ორი მცნება: „ნეტარ იყვენ მშვიდნი, რამეთუ მათ დაიშვიდნენ“ (ქვეყანა“ და „ნეტარ იყვენ მშვიდობისმყოფელნი, რამეთუ იგინი ძედ ღვთისად იწოდენ“. რაოდენ ბრმა გული და ბნელი სული უნდა ჰქონდეს მას, ვინც ამ მცნებებს გალაულებდა.

აქ მე შემთხვევით არ დავიმოწმე ჩვენი კათოლიკოს-პატრიარქის სიტყვები. ჭერ კიდევ მცხეთის ხეშინარიში ვსწავლობდი მისგან სასულიერო სიბრძნესა და სულიერი ცხოვრების წესს. ვიმედოვნებ, რომ შემდგომაც არ მომაკლდება ღვთის შემწეობა და ჩვენი ეკლესიის საკეთილშობილის ღოცვა-კურთხევა ჩემს ახალ საქმიანობაში.

დღევანდელ საზეიმო დღეს მინდა ფიცით განვაბტკიცო ჩემი მოწოდება, რომ ძალღონეს არ დავიშურებ ჩემს ეპარქიაში ქრისტესმიერი სულიერი საწყისის გახალისებლად და განსამტკიცებლად. ამას აღვუთქვამ მაღალ ღმერთს!

ამას აღვუთქვამ სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს, ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს პრეზიდენტს, უწმიდესსა და უნეტარეს ილია III!

ამას აღვუთქვამ წმინდა სინოდს! აღვუთქვამ ჩემს სულიერ ძმებსა და დებს! აღვუთქვამ ჩემს ახალ სამწყსოს!





იესო ქრისტე  
(დიდუბის ეკლესიის ახალი მოხატულობა. მხატვარი  
ა. ბანძელაძე).



## საქართველოს ეკლესიის წმიდა სინოდი



სხედან: (მარცხნიდან მარჯვნივ) ცხუმ-აფხაზეთის მთავარეპისკოპოსი ნიკოლოზი; ალავერდელი მიტროპოლიტი გრიგოლი; მიტროპოლიტი ზინობი თეთრწყაროელად წოდებული; კათოლიკოს-პატრიარქი ილია II; მანგლელი მიტროპოლიტი გიორგი; ქუთათელ-გაენათელი მიტროპოლიტი შიო; ჭყონდიდელი მთავარეპისკოპოსი იოანე;

დგანან: (მარცხნიდან მარჯვნივ) ბოდბელი ეპისკოპოსი აიანასე; ურბნელი ეპისკოპოსი კონსტანტინე; ბათუმ-შემოქმედელი ეპისკოპოსი დავითი; წილკნელი მთავარეპისკოპოსი თაღეუზი; ნიკორწმიდელი ეპისკოპოსი აგბროსი; ახალციხელი ეპისკოპოსი ქრისტეფორე.

# პირველთაგან იყო სიზყვია...

## კვალი განათლებული

(საქართველოში ნაბეჭდი პირველი წიგნი „სახარება“ — 270 წლისა)

უფლისა მიმართ ვილოცოთ, ვინც ჩვენთვის ქვეყნად დარეგდა,  
ვისგანცა მოსე ძლიერსა, ბრძოლით ფარაოს დარეგდა,  
დასცა ძლიერი ერთიერთ, ზღვასა ქვიშასა დარეგდა,  
სიყრმიტვან ქრისტე ცნობილი თვით უვნებელად დარეგდა.

თვით ვახტანგ ბრძანებს: „იესო ღმრთად ჭეშმარიტად მე მყოფა  
პირველ იესეს ძირი ვარ, არცა ძმაღ, დათა მეყოფა,  
შემწულ მყავს წმინდა სამება, სამოთხედ მინდა მე ყოფა  
სტამბას მოვიხვენ, შევამკობ, ჩემთვის ეს ლხინად მეყოფა.

ვახტანგ VI



ვახტანგ VI


ქართული ხატოვანი ასო-ნიშანი, საერთოდ, ქართული წიგნი თავისი ფესვებით ღრმად მიდის საუკუნეთა წიაღში. როგორც „ქართლის ცხოვრებაშია“ ნათქვამი, მეფე ფარნაოზმა: „განავრცო ენა ქართული, და არლა იზრახებოდა სხვა ენა ქართლსა შინა თვინიერ ქართულისა და ამან შექმნა მწიგნობრობა ქართული“.

დიდმა ქართველმა მეცნიერმა, აკადემიკოსმა ივ. ჯავახიშვილმა აღნიშნა, რომ ძველ საქართველოში ყოველ ცალკე ხელნაწერს, დანიშნულებისა და შინაარსის მიუხედავად, „წიგნი“ ეწოდებოდა — „წიგნი საღმრთოი“, „წიგნი მეფისაი“, „წიგნი სააქიმოი“, „ანდერძის წიგნი“ და ა. შ.

ქართული წიგნი რომ ერთ-ერთი უძველესია მსოფლიოში, ეს დამოწმებულია მისი განვითარების საფეხურებით: „ზეპირი წიგნი“, „ქვის წიგნი“, „ხელნაწერი წიგნი“ და ბოლოს, „ნაბეჭდი წიგნი“. ერთი მხრივ, ქართულმა დამწერლობამ შემოინახა ძველი ქვეყნების ენებიდან ნათარგმნი ისეთი ნაწარმოებები, რომელთა დედნები ჯერაც ვერ მიუკვლევიათ; მეორე მხრივ, ქართულ ენაზე შეიქმნა მხატვრული, ისტორიული, ფილოსოფიური თხზულებანი, რომელთაც შორს გაუთქვეს სახელი ჩვენს სამშობლოს. ამასთან, დიდი ყურადღება ექცეოდა წიგნის გაფორმება-მოკაზმულობას და ეს იმდენად მაღალ პროფესიულ დონეზე სრულდებოდა, რომ უთუოდ ამ დარგს დახელოვნებული ოსტატები ემსახურებოდნენ. „საკმარისია, ადამიანმა ოქრომქანდაკეების ბეჭა ოპიზარის მიერ მოჭედილი სახარების ყდას გადაავლოს თვალი, რომ მაშინდელ განათლებულ ქართველ მომგებელთა დიდი მხატვრული მოთხოვნილება და გემოვნება ცხადი შეიქნეს“<sup>1</sup>.

მაგრამ ხელნაწერი წიგნი ვერ აკმაყოფილებდა არა მხოლოდ სახელმწიფოებრივ, არამედ ქართული ეკლესიამონასტრებისა და განათლებული ოჯახების მზარდ სულიერ მოთხოვნილებას. მათი გადაწერა დიდ დროსა და მრავალი სხვა სირთულის დაძლევის მოითხოვდა. ამასთან, გადამწერთა შეცდომების გამო, მახინჯდებოდა შინაარსი და ტექსტების აღდგენა-გამართვისათვის სავანეებო მუშაობა უხდებოდათ შემდგომ თაობებს.

1440 წლიდან იოჰან გუტენბერგის მიერ საბეჭდი მანქანის გამოგონებამ წიგნის გავრცელების სირთულენი თანდათან მინიმუმამდე დაიყვანა. ეს მიგნება სწრაფად გავრცელდა მთელს ევროპაში უკვე XVI ს-ის დასასრულ-



მამად მიჩნეულმა დიდმა სულხან-საბა ორბელიანმა "შათუნერგა მას სრულიად საქართველოს აღორძინების იდეა. ვახტანგს საშუალება მიეცა, ფართო პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული გარდაქმნები წამოეწყო. იგი ასე დაგვიხასიათა ვახუშტი ბაგრატიონმა: „ქვრივ-ობოლთა, გლახაკთა მიმცემელი, შემბრალები, ეკლესიათა მამუნებელი, ხატთა და ჯვართა მამკობელი, მოწყალე, ცოდნის მოყვარე, ბრძენი, მხნე და ახოვანი, შვენიერ-პაეროვანი, მუშაკი, უხვი და მშვიდი. მოიღო მბეჭდვე-ლობა ვლახეთიდან და განამრავლნა წიგნნი საღმრთონი, რამეთუ უმეცარნიცა სამლუდელთა წერილთა იკითხვი-დიან, განაწყენა სპანი რაქითა მცველად თვისად. დას-წერა წიგნი სამართლისა და მით სჯიდიან მსაჯულნი, მოშალა ტყვის სყიდვა, დაამდაბლნა თითარნი და უმე-ტეს თბილისს ციხისმცველნი, აღამაღლნა ქართველნი, გაიღო რუნი და აღაშენნა მრავალნი დაბნები“.

ვახტანგ VI შემოიკრიბა ქვეყნის კულტურულ-ინტე-ლექტუალური ძალები და არაერთი საშვილიშვილო საქ-მე განახორციელა. გვირგვინოსანი მწიგნობარი სათავეში უდგა მის მიერ ჩამოყალიბებულ სწავლულკაცთა კომი-სიას, რომელიც ასე გვაცნობს თავის დანიშნულებას: „პა-ტრიოსანო და დიდებულნო ქართველნო! ყამთა ვითარე-ბისაგან ქართლსა შინა „ქართლის ცხოვრება“ შემცირე-ბულ იყო, ხოლო მეფემან ვახტანგ, ძემან ლეონისამან და ძმისწულმან მეფის გიორგისამან, შევკრიბენ სწავლუ-ლი კაცნი და სხუთა წერილთა და გუჯართაგან და რო-

ლიდან. უმთავრესად და ყველაზე დიდი ტირაჟით იბეჭ-დებოდა საეკლესიო ლიტერატურა, და წიგნის ბეჭდვის საქმეს წარმატებით ეუფლებოდნენ სასულიერო ქრის-ტიანი მოღვაწენი.

საქართველოში, გართულებული შინა და საგარეო პოლიტიკური ვითარების გამო, საკაცობრიო კულტურის ამ უმნიშვნელოვანესი მონაპოვრის დანერგვას მისი გა-მოგონებიდან 250 წელზე მეტი დრო დაჭირდა; თუმცა კი, 80 წლით ადრე, პირველნაბეჭდმა ქართულმა წიგნმა იტალიაში იხილა დღის სინათლე. 1629 წელს ქალაქ რომში დაიბეჭდა „ქართული ანბანი ლოცვებითურთ“ და „ქართულ-იტალიური ლექსიკონი“. სტეფანე პაოლი-ნისთან ერთად, ამ გამოცემის ავტორია ნიკიფორე (ნი-კოლოზ) ირბახი (ჩოლოყაშვილი), რომელიც თეიმურაზ პირველის (1606—1663) დავალებით ჩავიდა ევროპაში დიპლომატიური მისიით.

ქართული წიგნის ბეჭდვის საქმემ 1705 წელს უკვე მოსკოვში გადაინაცვლა, სადაც რუსეთს გადახვეწილი მეფე არჩილის დიდი მეცადინეობით დაარსებულ სტამ-ბაში ბეჭდური წესით პირველად გამოიცა ქართულ ენა-ზე „დავითნი“.

XVIII საუკუნიდან მწიგნობარმა ქართველმა კალამს შეაშველა საბეჭდი დაზგა. ეს საქმეც აღსრულდა ქვეყ-ნის ერთ-ერთი ისტორიული ძეგლებდობის ხანაში. 1703 წლიდან ქართლს განაგებდა ვახტანგ მეექვსე (1675—1737). უფლისწულობისას მისმა აღმზრდელმა — ერის







მელნიმე სხუათა ენათაგანცა გამოვიღეთ და ესრეთ შევთხზენით და აღვწერეთ“<sup>2</sup>.

ისტორია იცნობს ვახტანგის სტამბის არაერთ მოღვაწესა და მწიგნობარ-რედაქტორს, რომლებიც რედაქციას უწევდნენ დასასტამბ ტექსტებს. ცნობილია, რომ ვახტანგის დაარსებულ სტამბაში დასაბეჭდი წიგნები დიდი გულმოდგინებით ირჩეოდა. სულხან-საბა ორბელიანის ძმა ნიკოლოზ ორბელიანი რედაქტორობას უწევდა პირველი ქართული ეროვნული სტამბის შვიდ სხვადასხვა გამოცემას და მათ შორის 1709 წელს გამოცემულ „სახარებას“. ვახტანგის სტამბის მეორე დიდი მოღვაწეა გერმანე მღვდელ-მონაზონი, რომელმაც რედაქცია გაუკეთა 1710 წლის „კონდაკს“; მისივე უშუალო ავტორობითა და რედაქტორობით 1711 წელს დაიბეჭდა სახელმძღვანელო „სწავლა, აუ ვითარ მართებს მომოდვარსა სწავლება მოწაფისა“.

წიგნის ბეჭდვის დანერგვას საქართველოში არა მართო კულტურული, არამედ ფართო პოლიტიკური მნიშვნელობაც ქონდა. ვახტანგ VI ხელისუფლების სათავეში მოსვლისთანავე ენერგიული ზომები მიიღო ამ მიმართულებით და 1709 წელს ამუშავდა მისი ღვაწლით დაარსებული პირველი ქართული ეროვნული სტამბა.

შემთხვევითი არ არის ის ფაქტი, რომ ვახტანგის სტამბის პირველი ნაბეჭდი წიგნები სასულიერო ხასიათისაა და პირველად სწორედ რომ „სახარება“ გამოიცა ჩვენს მიწა-წყალზე ბეჭდური წესით. იმ დროს, როდესაც ოსმალეთის სულთანი და ირანის შაჰი საქართველოში მაჰმადიანობის გავრცელებაში ქვეყნის ბრძოლისუნარიანობისა და სუვერენიტეტის მოშლის საუკეთესო საშუალებას ხედავდნენ, „წიგნნი საღმრთონი“ ქართველ ხალხს მამა-პაპის სარწმუნოების დროშის ქვეშ რაზმავ-

დნენ, უფლის მიმართ ერთგულებასა და თავდადებას ღალატდებდნენ, — ეს კი ეროვნული თვითმყოფადობისა და სრულიად საქართველოს აღორძინებისათვის ბრძოლას ნიშნავდა. ვახტანგისეული სტამბის სასულიერო წიგნები ციხე-სიმაგრეებად ექცნენ ომებით გატანჯულ ქვეყანას და ნათელ სვეტებად დაუდგნენ ქართულ მართლმადიდებლურ სარწმუნოებასა და ეროვნულ შეგნებას.

პირველი ქართული სტამბის საწყისებთან აგრეთვე დგანან სამშობლოს მოწყვეტილი შვილი — ანთიმ ივერიელი და ვლახელი ოსტატი მიხაილ იშტვანოვიჩი. სწორედ ანთიმ ივერიელმა გამოგზავნა ვლახეთიდან (რუმინეთის სამხრეთის ისტორიული სახელწოდება) საქართველოში თავისი საუკეთესო მოწაფე მიხაილ იშტვანოვიჩი, რომელმაც თბილისში ტექნიკური თვალსაზრისით ხორცი შეასხა ვახტანგის ჩანაფიქრს.

ანთიმ ივერიელი წარმოშობით ქართველია. გარკვეულია, რომ ზედწოდება — „ივერიელი“ ანთიმის ეროვნულ წარმოშობაზე მიგვითითებს. ქვეყნის ავბედობამ მის პირად ცხოვრებასაც დააჩნია კვალი. როგორც ბევრი მისი თანამემამულე, დატყვევებული ანთიმიც გასაყიდათ ჩაიყვანეს კონსტანტინეპოლის ბაზარზე. იგი ტყვეობიდან გამოისყიდა იერუსალმის პატრიარქმა დოსითეოსმა. იერუსალმის პატრიარქის კარზე ყოფნისას იგი ჩინებულად დაეუფლა რამდენიმე უცხო ენას; ამავე დროს შეისწავლა მესტამბეობა ქ. იასში დაარსებულ სტამბაში, რითაც შემდგომ დიდი სამსახური გაუწია თავის ერსაც.

დაახლოებით 1690 წელს ვლახეთის მმართველმა კონსტანტინე ბრინკოვიანუსმა მოიწვია იმ დროისათვის უკვე სახელგანთქმული პოლიგრაფისტი ანთიმ ივერიელი და მალე იქ წიგნის ბეჭდვის საქმე ისე მყარად დაფუძნდა, რომ „ვლახეთი გადაიქცა ცენტრად, რომელიც მთელ საქრისტიანო აღმოსავლეთს წიგნებით კვებავდა“<sup>3</sup>. ანთიმ ივერიელის საქმიანობა ვლახეთში მართო წიგნების ბეჭდვით არ შემოფარგლულა, მან თავისი ხელი დაატყო რუმინული კულტურის არაერთ დარგს და, რაც მთავარია, დაიმკვიდრა რუმინული ენის რეფორმატორის საპატიო სახელი; მის კალამს ეკუთვნის მრავალი ორიგინალური ნაწარმოები. დაბოლოს ანთიმ ივერიელი გახდა ვლახეთის საეკლესიო იერარქიის მეთაური და ცხოველ მონაწილეობას იღებდა ქვეყნის პოლიტიკურსა და კულტურულ ცხოვრებაში.

ანთიმ ივერიელი არასოდეს არ უშვებდა ხელიდან შემთხვევას, თავისი ქართველობა აღენიშნა. დღესდღეობით რაიმე პირდაპირი ცნობა ვახტანგ მეექვსისა და ანთიმ ივერიელის ურთიერთობის შესახებ მიკვლეული არ არის, თუმცა, უნდა ვივარაუდოთ, რომ ვლახეთში გადახვეწილი ივერიელი საქართველოს ცხოვრებას უდავოდ იცნობდა; ხოლო ქართლის მეფეს ამ დიდი ქართველისა და ვლახელის შესახებ ცნობები უსათუოდ ჰქონდა ვაჭრებისაგან და საკუთარი ძმის — დომენტის საშუალებით, რომელიც ბევრს მოგზაურობდა უცხო ქვეყნებში.

ვახტანგის სამეფო კარმა გადაწყვიტა სტამბის გამართვის საქმეში დახმარებისათვის ვლახეთის ხელი-

სუფალათავის მიემართა, შუამდგომლობა კი იერუსალიმის პატრიარქს ქრიზანტეს სთხოვა. რუმინეთში დაცულ ვახტანგის სტამბის პირველნაბეჭდ სახარებაში, ჩაკრულია ხუცური შრიფტით ნაბეჭდი ლექსი — მიძღვნა, რომელშიც უმნიშვნელოვანესი ცნობებია დაცული ქართული ეროვნული სტამბის დაარსების შესახებ. ეტუობა ქართული სტამბის ორგანიზატორებს იგი სწორედ რუმინეთში გასაგზავნად ეგზემპლარში მოუთავსებიათ, ვინაიდან სხვა ცნობილ ცალეში იგი არ მოიპოვება. აქ ვახტანგისა და პატრიარქ ქრიზანტეს ურთიერთობის შესახებ შემდეგია ნათქვამი:



„პატრიარქსა წიგნი ჰკარა, საქმელი, არ უწყსო: უმჯებესო მოციქულო, ქრისტეანეთ მამა, მწყემსო, მისო მსგავსო, ქრისტეს ძალით ვინც რომ ცეცხლით ვერ დასწვესო, ერთსა სტამბის ხელოვნასა გთხოვთ, აქ მინდა დაეწვესო“.

ეს თხოვნა, როგორც ამავე ლექსიდან ირკვევა, იერუსალიმის პატრიარქს გულმოდგინებით შეუსრულებია და ვლახეთის მთავრისათვის გადაუცია სათანადო შუამდგომლობით. კონსტანტინე ბრინკოვიანუ ქართველთა თხოვნას, როგორც ჩანს, საგანგებოდ აცნობს ანთიმ ივერიელს: ჯერ — როგორც სასტამბო საქმის უდიდეს მკოდნესა და ორგანიზატორს, მერე — როგორც ქართველს. მართლაც, ანთიმ ივერიელს ძალ-ღონე არ დაუზოგია, რომ ქართველთა დიდი ეროვნული საქმე კეთილად დაგვირგვინებულყო.

ანთიმ ივერიელს ქართული ეროვნული სტამბის გასამართავად გამოუგზავნია მის მიერ აღზრდილი, ბეჭდვითს საქმეს ჩინებულად დაუფლებული მიხეილ იმტავნოვიჩი — ვლახელი გლეხის შვილი. ოსტატის მოლოდინში არც ქართველები ყოფილან გულხელდაკრეფილნი

და, ვახტანგის განკარგულებით, სტამბისათვის სპეციალური შენობა აუგიათ „მტკვრის მარჯვენა მხარეს, მეფის სასახლის ახლოს, ანჩისხატისა და სიონის ტაძრის შუა“.<sup>4</sup> მიხეილ იმტავნოვიჩი თბილისში ჩამოსულა, დაახლოებით, 1707 წლის პირველ ნახევარში. ერთი მხრივ, ქართველთათვის ახალი საქმე იყო თავის მიწა-წყალზე სტამბის მოწყობა; მეორე მხრივ, წიგნის ბეჭდვის საკითხი იმ დროს იმდენად მომწიფებული ყოფილა, რომ ვლახელ ოსტატს ორი წელიც არ დასჭირვებია სრულიად ახალ გარემოში და უკვე 1709 წელს სამი გამოცემა შედინებდნენ განუხორციელებია.

ქართულ ენაზე პირველად დასტამბული „სახარება“ დაბეჭდილია ადვილად გასარჩევი ნუსხური შრიფტით, რომლითაც იმავე წელს გამოიცა „დავითნი“ (მოსკოვურის შემდეგ — მეორე გამოცემა) და „სამოცუქილო“ (აგრეთვე — პირველნაბეჭდი ქართულად). დღეისათვის ზუსტად არ არის ცნობილი ამ გამოცემათა ტირაჟი (ცალ-ცალკე და ერთად), უნდა ვიფიქროთ, რომ სულ რამდენიმე ასეული ცალი დაისტამბა. გაფორმების თვალსაზრისით ეს გამოცემები მხატვრულად და ტექნიკურად მაღალ დონეზეა შესრულებული და აშკარად მიუთითებს ქართველების მიერ ხელნაწერი წიგნების მოკავშირა-გაფორმებაში დაგროვილ დიდ გამოცდილებაზე და ვლახელი ოსტატის ხელოვნებაზე. ვახტანგის სტამბის წიგნებს დართული აქვს ანდერძები ანუ წინასიტყვაობანი და ბოლოსიტყვაობანი, ვახტანგის პორტრეტი, ბაგრატიონთა საგვარეულო ნიშანი და სხვა. ვახტანგის ანდერძში, რომელიც ქართული ეროვნული სტამბის წიგნებს მცირე ვარიაციებით ერთვის, შემდეგია აღნიშნული:



„მადიდებელი წმიდისა სამებისა, მე გვართობით, ძირმოდგომით და ვითიანმან, მის ძემან სახელგანთქმულის მეფის ვახტანგის მან, მისწულმან ქეპულის მეფის არჩილისა და დიდად სახელოვანის ქართველთა მეფისა გიორგისამან და ძემან დიდად პატრონის ლევანისამან, მპყრობელმა საქართველოსმან ვახტანგ მოვიყვანე მესტანზე ვლახეთით და გავაკეთე სტამბა, საოხად სულთა წინათქმულთა მეფეთასა; მამისა და დედისა ჩემისა გურიელის ასულის თუთასათვის, სალხინებლად სულისა ჩემისა და მეუღლისა ჩემისა ჩერქეზის ბატონის ასულისა დედოფლისა რუსუდანისა და ძეთა და ასულთა ჩვენთა აღსაზრდელად“.

ვლახელი ოსტატი მიხაილ იმტვანოვიჩი საქართველოში 1712 წლამდე დარჩა. უნდა ითქვას, რომ მისი „ღვაწლი მხოლოდ საბეჭდავის მოწყობით, სტამბის ტექნიკურად გამართვითა და ათი ჩინებული გამოცემით არ ამოწურულა. მან უდიდესი ამაგი დასდო ქართულ კულტურას ქართველ მბეჭდავთა გაწვრთნითაც“<sup>5</sup>.

მართლაც, ვლახელის წასვლის შემდეგ ქართული წიგნების ბეჭდვის საქმემ, მისი ქართველი მოწაფეების ხელში გადაინაცვლა და მათაც წარმატებით გაართვეს თავი ამ საპატიო ამოცანას. პირველ ქართველ მესტამბედ ხელმწიფის კარის დეკანოზის შვილი მიქელია მიჩნეული, რომელიც 1712 წლის „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის ბოლოს დაბეჭდილ ლექსშია მოხსენიებული. მის

გარდა ისტორია იცნობს სხვა ოსტატებსაც: გიორგი მხატვარს, გაბრიელ მღვდელს, სალუყაზანაშვილ აბრამას და სხვებს.

არსებობის მცირე ხნის განმავლობაში — 1709 წლიდან 1723 წლამდე — ქართველი პატრიოტების დაუღალავი შრომისა და მონდომების ფასად, ვახტანგისეულმა სტამბამ ოცამდე გამოცემა განახორციელა. 1723 წელს თურქებმა ააოხრეს თბილისი და სტამბასაც ბოლო მოუღეს, ხოლო ვახტანგ მეექვსე იძულებული იყო რუსეთს გახიზნულიყო დიდი ამალით, მაგრამ მისმა ნამოღვაწარმა დატოვა კვალი განათლებული ყოველი ქრისტიანი ქართველის გულში და სრულიად საქართველოს მიწაწყალზე.

#### ლიტერატურა:

1. ივ. ჭავჭავაძე. ქართული პალეოგრაფია, თბ., 1949, გვ. 77.
2. ეგნატაშვილი ბერი. ახალი ქართლის ცხოვრება, თბ., 1940, გვ. 6.
3. თ. გვინჩიძე, ანთიმ ივერიელი, თბ., 1973, გვ. 3.
4. შ. მესხია, დ. გვრიტიშვილი, მ. ღუმბაძე, ა. სურგულაძე. თბილისის ისტორია, 1958, გვ. 323.
5. ბ. გუგუშვილი. ქართული წიგნი, თბ., 1929.

ა. პარაჯანიანი





## ბასილი კესარიელი

(დაბადებიდან 1650 წლისთვის გამო)



ბასილი — კესარია-კაპადოკიის ეპისკოპოსი და ბონტოს ეგზარქოსი, ქრისტიანულ სამყაროში ბასილი დიდის სახელით არის ცნობილი. გამოჩენილმა საეკლესიო მოღვაწემ და ჭკვიანმა პოლიტიკოსმა სიცოცხლეშივე მიაღწია საყოველთაო აღიარებას. მის დიდი შეერქვა არა მარტო ბრწყინვალე ლიტურგიატურული შრომებისათვის, არამედ იმ დროს შთაბეჭდილების გამო, რასაც ასდენდა თანამედროვეებზე თავისი ცხოვრებითა და ხასიათით.

ბასილი დაიბადა 330 წელს კაპადოკიის დედაქალაქ კესარიაში, ბონტოელი დიდგვაროვანი ოჯახში (ამ ოჯახში ბიზანტიის ეკლესიას სამი ეპისკოპოსი აღუზარდა: ბასილი დიდი, გრიგოლ ნოსელი და პეტრე სეპასტიელი). მისი მამა, უფროსი ბასილი, ქველმოქმედებითა და სიწმიდით ცნობილი ბიტორი, თავისი შვილის პირველი მასწავლებელი იყო. შედგომ ბასილმა განათლება სრულყო კესარიის, კონსტანტინეპოლისა და ათენის სასკოლო სასწავლებლებში.

ათნიდან კესარიაში დაბრუნებულმა ბასილმა დაიკავა ბიტორიის კათედრა. მალე მოინათლა, მოლიანად მიეცა დემონს და გადაწყვიტა ასკეტური ცხოვრება დაეწყო. სამონასტრო საქმისა და ცხოვრების შესწავლად მან იმოგზაურა აღმოსავლეთში (ეგვიპტეში, პალესტინაში, სირიასა და მესობიაში). ბონტოში დაბრუნების შემდეგ შეაბრჩა განმარტოებელი და მუდრთი ადგილი მდინარე ირისის ნაპირსა და იქ დასსლდა სამოღვაწეო. სწორედ აქ დაწერა ბასილიმ ცნობილი მეორე ეპისტოლე, რომელშიც მოკლედ ჩამოაყალიბა თავისი პირითადი ასკეტური შესჯერებანი.

364 წელს კესარიის მთავარეპისკოპოსის ეგვიპტის ბრძანებით ბასილი კესარიაში დაბრუნდა და აქტიურად ჩაება არიონის ერესის წინააღმდეგ ბრძოლაში, რადგან ამას მართლმადიდებლური ეკლესიის ინტერესები მიუთხოვდა.

ეგვიპტე კესარიელმა იგი მივლად აკურთხა და საქმეების დიდი ნაწილი მას გადააბარა. ბასილი უკვე ეგვიპტის სიცოცხლეშივე ანაოფიკალურად მართადა კესარიის ეკლესიას, სოლო ეგვიპტის გარდაცვალების შემდეგ მოუსწრა და გატყვეულ წინააღმდეგობათა გაღალახვა, რათა ოფიციალურად მიეღო კესარიის საეპისკოპოსო კათედრა.

ბასილი მოღვაწეობდა ეკლესიის ჩამოყალიბების მძიმე ხანაში. იგი წინ აღუდგა იმ დროისათვის ყველაზე ძლიერად ბიზანტიის იმპერატორებს, ჯერ — წარმატებულად იულიანეს, სოლო შემდეგ — არიონის მიმდევარ ვალენტის, რომლის ტახტზე ასვლისთანავე ეს ერესი განსაკუთრებით პოპულარული გახდა. ბასილი არაიონისთან ბრძოლაში მამინ ჩაება, როდესაც მრავალჯერ ექსორაქშილმა, მოსულმა და ძლიერმა ათანს ალექსანდრეოელმა დატოვა იგი. არიანელები ეკლესიებს ართმევენდნ მართლმადიდებლებს და ფიციურადც კი უსწორდებოდნენ. როდესაც ეს ერესი ოფიციალურ რელიგიად გამოცხადდა აღმოსავლეთის ეკლესიაში, ბასილი კვლავ განაგრძობდა თავგანწირულ ბრძოლას იმპერატორ ვალენტისა და მის მომხრეთა წინააღმდეგ. იმპერატორის ბრძანებით, კესარიის ეპისკოპოსი ბრეფექტთა სასამართლოს წინაშე წარადგინეს. ბასილი არ შეუშინდა არც ქონების ჩამოტომევის, არც განდევნას და სიკვდილს. ამ გასამართლებამ დიდი არეულობა გამოიწვია კესარიის მცხოვრებლებში. იმპერატორი იძულებული გახდა უკან დაესხა. სწორედ ბასილის პირად დამსახურებას მიეწერება, რომ მართლმადიდებლთა დევნა აცდა მის ეპარქიას — კაპადოკიას.

ბასილი დიდმა ხანმოკლე სიცოცხლის მანძილზე ჩამოაყალიბა სამღვრდლოების ფუნქციები, რეფორმა მოახდინა კესარიის ეკლესიის ლიტურგიკაში, თავშესაფრები აუშენა და ენმარბოდა ღირბებს, ავადმყოფებს, მოსუცებსა და მოგზაურებს.

მძიმე, ასკეტურმა ცხოვრებამ, აგრეთვე „ხორცთა უძლეუბამან ბრველი მასაიათვე ვიდრე სიბერემდე მის თანა აღზრდილმან და დვილიის ბოროტ-მდებარებამან ადრე მოუსწრაფა სიცოცხლე“. გარდაიცვალა ბასილი დიდი 379 წელს, გულწრფელად დატრბებული თანამედროვეთაგან და განსაკუთრებით კაპადოკიელების მიერ.

მრავალმხრივმა და დიდმა ლიტურგურულმა შემკვიდრებამ სიცოცხლეშივე გუთქვა სახელი ბასილი დიდს, როგორც განაოლებულ ეპისკოპოსს

და შესანიშნავ მწერალს. მის ზოგადი თხზულებების ქართველები მშობლიურ ენაზე კითხულობდნენ VII-VIII საუკუნეებში. X საუკუნიდან იწყება ბასილის შრომების ინტენსიური თარგმნა. თითოეული თარგმანი მნიშვნელოვანი მოვლენა იყო საქართველოს კულტურულ ცხოვრებაში. ექვთიმე ათონელის მიერ თარგმნილი ბასილის ჰომილეტიკური კრებულის გადასაწერად და ჩამოსატანად დავით კურაპალატმა საქართველოდან საბერძნეთში საგანგებოდ გაგზავნა ბერი იორდანი, რომელმაც შესრულა ეს ბრძანება.

ქართულ ენაზე თარგმნილი ამტყვევებელი ბასილის თხზულება „ქვესთა დელოა“, მისი პირველი თარგმანი შესრულებულია VIII-IX საუკუნეებში, მეორე კი XI საუკუნეში, გიორგი მთაწმინდელის მიერ.

სრულიად ასალგაზრდა ექვთიმე ათონელმა, თავისი მამის იორანის სიტყვებით თარგმნა ბასილის შესანიშნავი ჰომილეტიკური მეტეფორიკა — საუბრები სხვადასხვა თემაზე, ფსალმუნთა განმარტებები და „კანონი დღიობა-დღეთა ცთომილთა“.

ორჯერ თარგმნეს ქართველებმა XI საუკუნეში ბასილის ასკეტური თხზულებების კრებული „ასკეტიკონი“. პირველი თარგმანი შესრულებულია პროთო მღვდლის, მეორე კი ეფრემ მცირის მიერ.

როგორც ჯერ კ. კეკელიძე აღნიშნავს, იორანი საბანისებს ამო ტფილელის მარტვილობის პირველი წინადადება „მარტვილობა ქსენებისა ვინაჲმეცა განაღდა მარტვილთყოუარე“, უცვლელად გადმოიტანა „ორმოცთა მარტვილობის“ ქართული თარგმანიდან<sup>1</sup>.

ქართველებს უფროდღობად არ დუტოვებიათ არც ბასილის ეპისტოლარული მეტეფორიკა, სამ ათუჯზე მეტი წერილი თარგმნეს ექვთიმე ათონელმა, ეფრემ მცირემ, გიორგი მთაწმინდელმა, არსენ იყალთოელმა.

განუზომებელი ბასილის დამსახურება ქრისტიანული ლიტერატურის ყველა დარგში, მაგრამ პირველ რიგში იგი მანც დიდ ინტერესს ატყვევს როგორც მოქადაგ.

